PRIME Time

N46 (244), ორშაბათი 18 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი

www.ptpress.ge

დაბრუნდება თუ არა სააკაშვილი?!

დღეიდან დაჭერების ახალი ტალღა დაიწყება?! რისი ეშინიათ ნაციონალებს

„სააკაშვილი მშიშარა არსებაა. ის, საკუთარი თავის გადასარჩენად თავისი გუნდის ყველა წევრს გაწირავს. ამათ დატოვებს და თვითონ გაიქცევა, როგორც ეს ომის დროს გააკეთა“



გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი

2008 წლის ომის სამხედრო ბრძანება, რომელიც რუსეთს ხელში ჩაუვარდა და 41-ე ბატალიონი გაანადგურა

გიგი კალანდაძე: „ეს ბრძანება აქამდე არ მინახავს და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩემი ხელმოწერა არ არის“

ვინ გასცა საიდუმლო კოორდინატები

EXCLUSIVE

ტრისტან წითელაშვილი: „თუ ვინმე ამბობს, რომ ეს გაყალბებულია, ეს არის მხოლოდ თავის მართლება და მეტი არაფერი. როგორ ფიქრობთ, ადეიშვილი და სააკაშვილი თავის საწინააღმდეგოდ გამოიძიებდნენ საქმეს?“

ახალი პოლიტიკური ძალა – ნინო ბურჯანაძე და ლევან ვასაძე?

კახი კახიშვილი: „არ არის გამორიცხული, კოალიცია შეიქმნას“

EXCLUSIVE

ზურაბ აბაშიძე: „ჩემთვის ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ ალასანია აღარ იყოს პოლიტიკაში. თუ ის პირადად გადაწყვეტს ამას, ეს იქნება პირადი გადაწყვეტილება“

EXCLUSIVE

WikiLeaks: „უცხოპლანეტელები დედამიწას გაანადგურებენ“

კაცობრიობა ორ თვეში განადგურდება

უცხოპლანეტელების სამი გიგანტური სამხედრო ხომალდი დედამიწისკენ მოემართება

EXCLUSIVE

პირველად „პრაიმტაიმში“

ექსკლუზიური ინტერვიუ არქიმანდრიტ ბართლომესთან

„მიდიოდა ყველა სასულიერო პირის სატელეფონო საუბრის ჩანერა, რომელიც შემდეგ ჩანერილიც და დანერილიც მინახავს“

EXCLUSIVE

„მეუბნებიან, რომ, თუ სასულიერო პირი ხარ, პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიო. ეს ერთი წელიწადია, მას მერე, რაც 2012 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა, ვცდილობდი, საერთოდ არ გამოვჩენილიყავი და ინტერვიუც არ მიმეცა, მაგრამ...“

დიდი „რაზბორკები“ ნაციონალებში

EXCLUSIVE

რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ვაშაძე-მაჭავარიანის დაჯგუფებები, ვინ ლობირებს გიგა ბოკერიას პოლიტიკური მდივნის პოსტზე და როგორ მართავს ვანო მერაბიშვილი პარტიას ციხიდან

კახა ბენდუქიძე: „ფინანსთა სამინისტრო წინ ვერ აღუდგა პოპულისტურ ტალღას“

EXCLUSIVE

გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან მიდის

EXCLUSIVE

ტელევიზია თუ ამერიკა – „ქდმ“-ს ლიდერის არჩევანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინაუგურაცია

პრეზიდენტის მშობლები

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲞᲐ ᲩᲘᲩᲣᲐ

ირაკლი ალასანიას მეუღლის მოქმედება ინაუგურაციაზე სოცქსელებში განხილვის თემად იქცა

ნათიკა ქანთარია

მე-4 პრეზიდენტის ინაუგურაცია მშვიდად და ყოველგვარი ხმაურის გარეშე ჩაივლიდა, რომ არა ერთი უხერხული კადრი, რომელსაც სოცქსელებში აქტიური განხილვა მოჰყვა. თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას მეუღლემ, ნათია ფანჯიკიძემ ინაუგურაციის მსვლელობისას, კამერების წინ კოლგოტი ხელით გაისწორა. მინისტრის მეუღლის ამ საქციელს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ამ კადრის გავრცელების პარალელურად სოცქსელში უამრავი კომენტარი გაჩნდა, მათ შორის ისეთიც, რომელიც ფანჯიკიძის ამ ქმედებას უარყოფითად არ აფასებდა და მის ბუნებრიობას უსვამდა ხაზს. თუმცა იყო კომენტარებიც, რომელიც ფანჯიკიძეს ეტიკეტსა და ზრდილობას უწუნებდა.

თავდაცვის მინისტრის მეუღლის საქციელს „ფეისბუქის“ კედელზე პოსტი მიუძღვნა ჟურნალისტმა მერაბ მეტრეველმაც.

მერაბ მეტრეველი: „ვგიჟდები იმ ხალხზე, ვინც თავდაცვის მინისტრის ცოლის საქციელით არის აღშფოთებულ-შეშფოთებული და არასდროს იმჩნევდა, საქართველოს უკვე ყოფილი პრეზიდენტი ცხვირს ხელით პირდაპირ ტრიბუნაზე რომ იხოცავდა ხოლმე...“

facebook: „მოდით, ხალხო, ერთ რამეში შევთანხმდეთ. რაც არის ცუდი, იმაზე ვთქვათ, რომ ცუდია და არა იმაზე, ვინ უფრო ცუდად აკეთებდა. არ მომეწონა ალასანიას მეუღლის საქციელი ამ კონკრეტულ სიტუაციაში, რომელსაც თქვენ იხილავთ და მეორე სიტუაცია, როდესაც პირდაპირი ჩართვა იყო და ალასანიასგან უნდოდათ ინტერვიუს აღება. ამ ქალბატონმა გამაოგნა თავისი თავდაუჭერლობით“.

facebook: „მე ვუყურე, შესაძლოა, რაღაც პრობლემა ჰქონდა ფეხსაცმელთან დაკავშირებით – მერე რა! ბუნებრივია. უბრალოდ, კამერა უნდა მოეშორებინათ, მაგრამ არ მოაშორეს!“

facebook: „მე მიმაჩნია, რომ ოფიციალურ ღონისძიებებზე ცხვირი ხელით არ უნდა მოიხოცო, ხელი ნერწყვით არ უნდა დაისველო „კალგოტკის“ გასასწორებლად და ა.შ.“

facebook: „მე, პირიქით, მივესალმები უბრალო, ადამიანურ გამოვლინებებს „ეტიკეტებისა“ და „კლიშეების“ გარეშე. გაუმარჯოს უბრალოებას“.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ქვეყანას არ აქვს და კიდევ დიდხანს

ქეთი ხატიაშვილი

„ლარიბაშვილი ამ მემთხვევაში სუფთა ფურცელია, რომელზეც არ ვიცი, რა წერია“

„ფინანსთა სამინისტრო წინ ვერ აღუდგა პოპულისტურ ტალღას“

რა ხდება ქართულ ეკონომიკაში, რა ტენდენციებს აჩენს ბიუჯეტის სეკვესტრი და ლარის კურსის ცვლილება... რატომ ურჩევს კახა ბენდუქიძე საზოგადოებას, იფიქროს ლარის სხვა ვალუტით ჩანაცვლებაზე ან მიბმაზე, დოლარი თუ ევრო – რა იქნებოდა ფინანსური სტაბილურობის გარანტი საქართველოსთვის? რა გამოწვევების წინაშე დადგება ახალი პრემიერ-მინისტრი და რა რესურსები აქვს ირაკლი ღარიბაშვილს ვითარების შემოსაბრუნებლად? რა შეცდომები დაუშვა ფინანსთა მინისტრმა და მთლიანად ეკონომიკურმა გუნდმა? უნდა დააფინანსოს თუ არა ივანიშვილმა ახალი მთავრობა, ისევე როგორც „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებას აფინანსებდა? ამ საკითხებზე „პრაიმტაიმი“ კახა ბენდუქიძეს ესაუბრა.

– ბატონო კახა, 9 წლის შემდეგ პირველად მოხდება ბიუჯეტის სეკვესტრი. ამ ფონზე უნდა დადგეს ეკონომიკური გუნდის ან ეკონომიკურ გუნდში ფინანსთა მინისტრის გადაყენების საკითხი, რომელმაც ვერ მოახერხა ბიუჯეტის გაანგარიშება...

– მგონია, რომ ეს ნიშნავს საკითხის ჩამოლაბორანტებას. რადგან ეს არ არის ეკონომიკური გუნდის ბრალი. ეს ეკონომიკური გუნდის არც დამსახურებაა და არც ბრალი. ეს არის მთლიანად მთავრობისა და მმართველი გუნდის შეცდომების შედეგი, პარლამენტის ჩათვლით. და არა იმის ბრალი, რომ ფინანსთა სამინისტრომ რაღაც ვერ გათვალა. მე არ ვარ ფინანსთა მინისტრის პოლიტიკის მომხრე და არ ვთვლი, რომ მას ქვეყანა სწორი ეკონომიკური პოლიტიკისკენ მიჰყავს, მაგრამ, ვთქვა, რომ ბიუჯეტის ასეთი ცვლილება არის ფინანსთა სამინისტროს ბრალი, სწორი არ იქნება. ვფიქრობ, ფინანსთა სამინისტრომ და მთლიანად ეკონომიკურმა ბლოკმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა იმ სისულელეებს, რომელიც საქართველოში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მრავლად ითქვა თუ განხორციელდა, დაწყებული პარლამენტის აქტივობებიდან, დამთავრებული მთავრობის აქტივობებით. აი ეს ეს არის შეცდომა.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ?

– უშუალოდ რა შეცდომა დაუშვა ფინანსთა სამინისტრომ? არასწორი იყო, რომ საშემოსავლო გადასახადი არ შემცირდა... ეკონომიკურმა ბლოკმა რა გააკეთა, რამაც ვარდნა გამოიწვია? ბევრი ვერაფერი. რა არ გააკეთა? ფინანსთა სამინისტრო წინ ვერ აღუდგა პოპულისტურ ტალღას. პოპულისტური ტალღა შედგება რამდენიმე ნაწილისაგან, დაწყებული ახალი ცუდი რეგულაციებით, და დამთავრებული მუდმივი მუქარებისგან, რომ სამართლიანობა მალე აღდგება. ესეც პოპულიზმის ნაწილია და ასეთი პოპულიზმი ეკონომიკას არ შველის.

– უარყოფითად მოქმედებს?

– ცხადია. 2004 წელსაც ანალოგიური სიტუაცია იყო. მაშინ მთავრობის გარკვეული ნაწილი, ქორები დავარქვათ, ამბობდა, რომ შევარდნაძის დროს შეძენილი კაპიტალი კრიმინალურია, ეს კაპიტალი ყველას უნდა ჩამოერთვას. მიმაჩნდა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან ეს ეკონომიკას დაანგრევდა. ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა არსებობდეს აკუმულირებული კაპიტალი,ანუ ვიღაცას აქვს რაღაც ქონება და შემდეგ ეს ადამიანი ამ ქონებას საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს. როგორც კი ჩვენ ამ კაპიტალის დაშლას ვიწყებთ, ახალი კაპიტალი მაშინვე არ წარმოიშობა. ახალი კაპიტალის აკუმულირებას სჭირდება ასევე დრო და ეს ეკონომიკისთვის უზარმაზარი პაუზაა. პაუზა ნიშნავს, რომ ეკონომიკა არ იზრდება. ჩვენ თუ მზად ვართ, რომ ვითომდა სამართლიანობის განცდისთვის გავწიროთ ქვეყანა, რომ ხუთი წელი არ იზრდებოდეს ეკონომიკა, მაშინ შეიძლება ამაზე წასვლა. თან კარგად გვესმის, რომ რეალურად ამას სამართლიანობასთან კავშირი არა აქვს. ეს იქნება პროცესი, რომელიც კორუფციის წყაროებს წარმოქმნის. ისევე როგორც წარმოშობს განცდას, რომ ეს ახალი კაპიტალიც, ადრე თუ გვიან, გადანაწილდება...

– შეიძლება ხელისუფლება ამიტომაც ვერ დგამს ნაბიჯებს ამ მიმართულებით...

– რა მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იტყვის თუ გააკეთებს კიდეც. მაგალითად, ერთი თვის წინ გავიგე, რომ პრეზერვატივების შესახებ კანონი თურმე არ მიუღიათ. ერთი წელი ვიცოდი, რომ მიღებული იყო... საერთოდ, ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღებაში ძალიან დიდი როლი უკავია ადამიანის წარმოდგენას ანუ რა ხდება და რა შეიძლება მოხდეს. ამიტომ მისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო ის, თუ რა არის, არამედ – რა ჰგონია.

– ახალი ხელისუფლება მუდმივად აპელირებს იმაზე, რომ ვარდნა გასული წლის გაზაფხულზე დაიწყო...

– გაზაფხულზე არ დაწყებულა. ეკონომიკის შეჩერება არჩევნების წინ დაიწყო და ეს გასაგებიც იყო. წესით, ვინაიდან არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და უმრავლესობამ გაიმარჯვა, არჩევნების შემდეგ აღმასვლა ეგრეევ უნდა დაწყებულიყო. ეს რას ნიშნავს – იმას, რომ არავითარი დისონანსი მოლოდინსა და შედეგს შორის არ არის. მოლოდინი იყო, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა და შედეგიც იყო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, ანუ არავითარი დისონანსი არ მომხდარა... ამიტომ ცხადია, ამას არ უნდა შეეშალა ხელი ეკონომიკური ზრდისთვის.

– და რა მოხდა?

– მოხდა ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ახალი გეგმა აღმოაჩნდა, რომელიც დაფუძნებული იყო ამ ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის“ და შურისძიების იდეაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ განადგურებაზე. ითქვა, რომ არსებული ბიზნესი დანაშაულებრივი ბიზნესია – ეს იდეა თვითონ მოვისმინეთ ჩვენივე ყურით, რომ ყველა ეს კომპანია ადრე არასწორად მუშაობდა. ისმოდა მუდმივი მუქარა, რომ მალე გაასაჯაროებდნენ, როგორი ალიანსი იყო მთავრობასა და ბიზნესს შორის, რომ მათ დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ ესენი მსხვერპლი არიან, რომ ახლა დაადგინენ სწორი საბაზრო ფასები... ანუ ყველაფერმა ამან შექმნა გაურკვევლობა, რომელსაც დაემატა სიგნალი და პირდაპირი განცხადებები, რომ ჩვენ ამას დავხურავთ, იმას ავკრძალავთ და ასე შემდეგ.მერე ამას დაემატა კონკრეტული შემზღუდველი რეგულაციები ... ნუ, რა გაჭირვება აქვს ვიღაც ინვესტორის - გინდა ქართველს და გინდა უცხოელს, რომ მაინცდამაინც ახლა გარისკოს და არა ერთი წლის შემდეგ.

– თქვენი აზრით, კოაბიტაცია არ იყო ვარდნის მიზეზი?

– არაფერ შუაშია, ეს მოგონილი ტყუილია, რომელიც ნიჭიერად დააჯერეს ხალხს, რომ ეს კავშირში იყო. რაში შეუშალათ ხელი კოაბიტაციამ?

– მაგალითად, პრეზიდენტმა არ დანიშნა ელჩები და ამიტომ ინვესტიცია ვერ შემოვიდა...

– სადაც დანიშნულია, იქიდან ხომ კრამიტებს ხეთქავენ... ნახეთ, ახლა რა გამოდის... განცდები არის გადამწყვეტი. საქართველოს არ გააჩნია არავითარი წიაღისეული სიმდიდრე, ოქროს ან ალმასების საბადო, გაზის ან ნავთობის საბადო... ასეთ ქვეყნებში ომის დროსაც კი დებენ ფულს... ჩვენ არ გაგვაჩნია უზარმაზარი ბაზარი, როგორც ინდოეთს ან ჩინეთს. ინდოეთში ან ჩინეთში უცხოური კომპანიის გახსნას აზრის აქვს იმიტომ, რომ რეალურად შეგიძლია ასობით მილიონი ან მილიარდი დოლარის საქონელი გაყიდო. ამიტომ აზრი აქვს.

ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა, ეკონომიკურად ჩვენ ვართ, მაგალითად, როგორც ერთი ქალაქი – დიუსელდორფი ან სარატოვი. საქართველომ შეიძლება გაყიდოს რა? ჩვენ შეიძლება გავყიდოთ პერსპექტივა და კანონმდებლობა, ანუ ჩვენთან ყველაფერი არის დალაგებული, მარტივი, გამჭვირვალე და პერსპექტივა კარგია. ანუ ქვეყანაში მარტივი კანონმდებლობაა და ეკონომიკა იზრდება. ამიტომ იჩქარეთ, რომ უფრო ნაკლები ფულით დიდ შედეგს მიაღწიო და იმდენად მზარდია, რომ ათი წლის შემდეგ ეს უკვე სერიოზული ადგილი შეიძლება გახდეს. ეს არის შინაარსი ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის, თუ რა შეიძლება საქართველომ გაყიდოს. ანუ ჩვენთან ორი მთავარი ფაქტორია: რამდენად ადვილია ბიზნესის კეთება და მეორეა, რამდენად იზრდება ეკონომიკა... ანუ მე ამ ეკონომიკის ზრდის მონაწილე ვარ, თუ მე ეკონომიკაგაჩერებულ ქვეყანაში ვდებ ფულს. „ეკონომიკა არ იზრდება“ – ეს უკვე ცუდი სიგნალია. მეორე ნაწილში კი სიგნალი იყო უარესი - დაწყებული იმ განცხადებებიდან, რომ საქართველოში არავითარი ეკონომიკური თავისუფლება არ არის, არავითარი წინსვლა არ არის, ბიზნესში ეს რეიტინგები ტყუილია, რაღაც საშინელი კორუფციაა, რასაც ჩვენზე კარგს წერდნენ ამერიკაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში, რომ ეს ყველაფერი არის სიცრუის მანქანის შედეგი, დასრულებული იგივე სასამართლო სისტემით, როცა აცხადებენ, რომ ეს სასამართლო სისტემა არ ვარგა, ის უნდა დაიშალოს, კუბლაშვილი გასაგდებია და ასე შემდეგ...

ამ სიტუაციაში რა გაჭირვება უნდა მქონდეს, რომ ასეთ ქვეყანაში ფული დავაბანდო? ნუ, თუ ქართველი ვარ, აქ ვცხოვრობ და ფული მაქვს, მაშინაც შეიძლება მოვიცადო... თუ უცხოელი ვარ, მით უმეტეს, გაუგებრობაში ვხვდები...

ეკონომიკა არ არის ორი ან სამი სამინისტრო, ეკონომიკა არ არის სპეციალიზებული კანონები და სპეციალიზირებული ქცევები. ეკონომიკა შედგება ყველაფრისგან, სასამართლო სისტემისგან, განათლების სისტემისგან, ბიუჯეტისგან, მაკროეკონომიკისგან, ხარჯებისგან, ვალუტისგან, ტრანსპორტირებისგან, ამინდისგანაც კი. ჯამში, ყველაფერი გვაძლევს ეკონომიკას.

– რუსეთის ბაზარი არის ჩვენთვის „საბადო“?

– არა, რადგან იქ დიდი კონკურენციაა. გარდა ამისა, ეს არის დიდი რისკის შემცველი ბაზარი, ვიდრე ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი თავისთვის. ის, რასაც მთავრობა საქართველოზე ამბობდა ცუდს, რუსეთში რეალურად ხდება. რუსეთის ეკონომიკა ძალიან ნელა იზრდება. ამ დღეებში ვუყურებდი რუსეთის მთავრობის მიერ გაკეთებულ ეკონომიკური ზრდის პროგნოზს 2030 წლამდე. მინდა გითხრათ, მათ ეკონომიკა, საშუალოდ, 2,5%-ით გაიზრდება, ანუ 55%-ით გაიზრდება 17 წლის განმავლობაში. რომ შევადაროთ, საქართველოს ეკონომიკა ცხრა წლის განმავლობაში 70%-ით გაიზარდა. თუმცა რუსეთის ბაზარი დიდია. თან მანძილებიც დიდია, ამიტომ სეზონური პროდუქციის გაყიდვაში, როგორიც არის ჩვენი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რაღაც ფანტასტიკურ შედეგს ვერ მივაღწევთ.

რუსეთი ახლა არის ზომით მეხუთე პარტნიორი საქართველოსთვის, ესეც ძირითადად რუსეთიდან იმპორტის გამო და თუ ამ მეხუთე ადგილიდან მეოთხე ადგილზე გადავა, ეს უკვე კარგი შედეგი იქნება. თუმცა, რომ ჩავთვალოთ, რომ რუსეთის ბაზარი რაღაც ფანტასტიკურ შედეგს მოგვცემს, ასე არ არის და ამას კონკრეტული მიზეზები აქვს.

რაც შეეხება ხილსა და ბოსტნეულს, აქ მნიშვნელოვანია მანძილები და ტემპერატურა. ხილი და ბოსტნეული უნდა გაგზავნოთ ისე, რომ გზაში არ გაიყინოს. რაც შეეხება ღვინოს, აქ პრობლემა ის გახლავთ, რომ, როდესაც რუსეთში წარმატებულად იწყებთ ღვინის გაყიდვას, რუსეთში იწყება მასიური ფალსიფიკაცია. თქვენ ყიდით 20 მილიონის ღვინოს, ვიღაც იწყებს 20 მილიონი ფერადი წყლის გამოშვებას ქართული ეტიკეტით, ანუ თბილისში ჩამოსხმულ ნატურალურ ღვინოს მოუწევს, კონკურენცია გაუწიოს მოსკოვთან ახლოს ჩამოსხმულ შეფერილ სპირტიან წყალს, რომელიც ორჯერ უფრო იაფადაც რომ გაიყიდოს, უფრო დიდ მოგებას დატოვებს. ამიტომ ეს არის სერიოზული პრობლემა, კონტრაფაქტი ადვილი გასაკეთებელია იქ. „ბორჯომსაც“ ექნება ეგ პრობლემა.

სხვა პროდუქცია, რომელიც შეგვიძლია რუსეთში გავყიდოთ, დიდი რაოდენობით არ გვაქვს. გარდა ამისა, კიდევ ერთი პრობლემაა, როგორ კრძალავს რუსეთი პოლიტიკური ნიშნით იმპორტს. ეს საკუთარ თავზე კარგად ვიწვნიეთ. ამის გარდა, შეგვიძლია ვნახოთ, როგორ აკრძალა რუსეთმა ღვინის იმპორტი უკვე სამჯერ მოღდოვადან, როგორ აკრძალა კანფეტების შეტანა უკრაინიდან. ეს იყო აბსოლუტურად პოლიტიკური მოქმედება, რადგან პიროვნება, რომელსაც ეს კომპანია ეკუთვნოდა, არის მთავრობაში და უკრაინის ევროპულ გზას უჭერს მხარს. ასევე, კრძალავდა პოლონურ ღორის ხორცს, ახლა აკრძალულია ამერიკული ღორის ხორცი, რადგან მიიჩნევენ, რომ ამერიკაში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არ ექნება მყარი ფინანსური სისტემა“

„უცნაური იდეაა ვალუტის სუვერენიტეტთან მიბმა. არანაირი სუვერენიტეტის ნიშანი ვალუტა არ არის“

EXCLUSIVE



არ იციან ღორის გაზრდა და ასე შემდეგ. ეს პოლიტიკური იარაღია და დამატებით რისკებს წარმოქმნის კომპანიებისთვის... ამიტომ ძალიან რისკიანი ბაზარია. ამასთანავე, ამერიკულ კომპანიას მაინც მთავრობა უდგას ზურგსუკან და მას შეუძლია, სერიოზული ხმით დაელაპარაკოს რუსეთს, ხოლო ქართველ მეწარმეებს როგორც არ უნდა დაუდგეთ მთავრობა უკან, ვფიქრობ, ნაკლები ბერკეტი ექნებათ.

– რაც შეეხება ლარის კურსის ვარდნას, რომელმაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია... ეს ხელოვნური პროცესია თუ ბუნებრივი?

– რეალურად, ასეთ მცირე მერყეობას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ზოგადად თუ ვიტყვით, ქვეყანას არ აქვს და კიდევ დიდხანს არ ექნება მყარი ფინანსური სისტემა... სტაბილური სისტემის შექმნისთვის კი რამდენიმე მეთოდი არსებობს:

პირველი, ოფიციალური დოლარიზაცია – როდესაც ქვეყანაში ეროვნული ვალუტის გარდა, ოფიციალურად მოძრაობს სხვა განვითარებული ქვეყნის ვალუტა... დოლარი, ევრო... ასე გააკეთა, მაგალითად, მონტენეგრომ... მონტენეგროში ლოკალური ვალუტა აღარც არის, ევრო მოძრაობს. ასე გააკეთა პანამამ, სადაც ლოკალური ვალუტაც არსებობს, მაგრამ ის, ასე ვთქვათ, ხურდის ფუნქციას უფრო ასრულებს. ასეთ მეთოდს სხვა ბევრმა ქვეყანამაც მიმართა.

მეორე მეთოდია, როდესაც ვალუტა მიბმულია სხვა ვალუტაზე. მაგალითად, ჩინური ვალუტა მიბმულია დოლარზეა. ასე არიან ბალტიის ქვეყნები, რომლებიც ჯერ ევროზე არ გადასულან, ჯერ ისევ ევროზე არიან მიბმული. ასეა სინგაპური, რომელიც ერთდროულად ევროსა და დოლარზეა მიბმული. ასეა დუბაი და არაბეთის გაერთიანებული საამიროები. ქვეყნების უმრავლესობაში ვალუტა მიბმულია სხვა ქვეყნის ან ევროზე ან დოლარზე ან მათ კომბინაციაზე.

ამ გეგმამ საზოგადოებაში უნდა მოიპოვოს კონსენსუსი. დე ფაქტო კონსენსუსი უკვე მოპოვებული აქვს: ჩვენი თანამოქალაქეების უმრავლესობა ფინანსების ხანგრძლივვადიან დაგროვებას ევროში ან დოლარში ახდენს; ვადიანი დეპოზიტების დიდი ნაწილი (თუკი ის ხანგრძლივვადიანია) დოლარში ან ევროშია, იგივეა ჩვენს მეზობელ ქვეყნებშიც. ამით ინფლაციური პროცესების დაზღვევა ხდება.

ინფლაცია ხომ გარკვეული ბიზნესრისკებია? დავუშვათ, რაში უნდა დააფიქსირო ექსპორტის ფასი, იმპორტის ფასი, გაყიდვების ფასი? ამიტომ ქვეყნებმა, რომლებმაც ოფიციალური დოლარიზაცია მოახდინეს, მაშინვე იგრძნეს „დაზღვევის“ სიკეთე...

– თუმცა, საქართველოში სხვა ვალუტაზე გადასვლამ შესაძლოა, ისეთი განცდა გააჩინოს, თითქოს ქვეყანამ თავისუფლება დაკარგა...

– რა თავისუფლება დაკარგა ავსტრიამ, რომ ავსტრიული შილინგი აღარ არის და არის ევრო? ან რა თავისუფლება დაკარგა პანამამ? რა თავისუფლება დაკარგა ამით საამიროებმა? რა თავისუფლება დაკარგა ამით ჩინეთმა, რომ მათი ვალუტა დოლარზეა მიბმული.

უცნაური იდეაა ვალუტის სუვერენიტეტთან მიბმა. არანაირი სუვერენიტეტის ნიშანი ვალუტა არ არის. როდესაც 1801 წელს მოხდა საქართველოს ოკუპაცია, რუსებმა ჩაატარეს გარკვეული აღწერა და შეისწავლეს, რა ქვეყანა ჩაიგდეს ხელში. მინდა გითხრათ, რომ აქ ყველანაირი ვალუტა მოძრაობდა და ქართული ფულის გამოშვება რეალურად გაყიდული იყო – ბერძნები უშვებდნენ და მაშინ ეს სუვერენიტეტის განცდასთან არანაირად არ იყო დაკავშირებული. ეს იყო უცნაური პერიოდი, XIX-XX საუკუნეების ნაწილი, როდესაც ეს ითვლებოდა სუვერენიტეტის ერთ-ერთ გამოხატულებად. ჰიმნი, გერბი, ჯარი გარკვეულწილად არის სუვერენიტეტის გამოხატულება. აი, საკუთარი ვალუტა კი არანაირად არ არის...

– ლარის კურსის ცვლილებამ დიდი პანიკა გამოიწვია, შესაძლოა იმიტომაც, რომ ბევრს ახსოვს ეგრეთწოდებული შავი პარასკევი დაახლოებით 3 წლის წინათ, როცა ლარის მკვეთრი ვარდნა მოხდა... ფიქრობთ, ახლა პროცესი შორს არ წავა?

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, არც ეროვნული ბანკის ანგარიშებში და არც სხვა მონაცემებში ამის ნიშნები არ არის. ანუ ეკონომიკური სიტუაცია რომ კარგი არ არის და ზრდა შეჩერებულია, ეს ერთი საკითხია, და ვალუტას რომ არაფერი მნიშვნელოვანი ასე უცბად არ შეიძლება მოუვიდეს, ესეც ფაქტია.

– მითებისკენ ჩვენი მიდრეკილების გამო მაინც გკითხავთ: კურსის ცვალებადობა ხდება იმიტომ, რომ ამ დროს სახელმწიფო დიდ ფულს ჭრის თავისთვის, ან იმიტომ რომ ნაციონალებმა რაღაც მოაწყვეს და ასე შემდეგ...

– ნაციონალებმა რაღაც მოაწყვეს ახლა?

– ანუ ნაციონალებს ეროვნულ ბანკში რაღაც ფული ჰქონდათ შენახული და ახლა გაიტანეს ბაზარზე...

– არა, ეგ სისულელეა. იმედია, რომ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები, რომლებიც არა მგონია, ნაციონალებისადმი სიმპათიით იყვნენ განმსჭვალული, მაგდაგვარ სისულელეს, ალბათ, საკადრის პასუხს გასცემენ.

– ამ ყველაფრის ფონზე, რაზეც ისაუბრეთ, რამდენად შეძლებს ახალი პრემიერი ღარიბაშვილი ვითარების შემობრუნებას?.. რამდენად აქვს მას ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა?

– ეკონომიკური პოლიტიკის ხედვა ცალკე არ არსებობს. არსებობს პოლიტიკის ხედვა. იმისთვის, რომ საქართველო გამოვიდეს იმ სტაგნაციიდან, რომელშიც ახლა ვართ, საჭიროა ძალიან სერიოზული მუშაობა. ეს მუშაობა უნდა მოიცავდეს, მათ შორის, გაფუჭებულის გაკეთებას; ეს უნდა მოიცავდეს ახალი კონსენსუსის მოძებნას საზოგადოებაში, რომელიც ეკონომიკისთვის მავნებელი არ იქნება; და ეს უნდა მოიცავდეს დამატებით რეფორმებს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ვერ გატარდა ან არ გატარდა. თუმცა ეს უნდა იყოს რეალური და არა ფსევდორეფორმები, რომელიც ვითომდა ევროპასთან მიგვაახლოებს. აქ ლაპარაკია ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის გაზრდაზე. მაშინ ამ გარკვეული გადამეტებით შეგვიძლია, აღვადგინოთ ეკონომიკური ზრდა, ან კიდევ უფრო კარგ შედეგს – 9%-იან ზრდას მივაღწიოთ. შეუძლებელი არაფერია.

მინდა გარკვეული ირონიით ან თუნდაც ნიშნის მოგებით ვთქვა, რომ როდესაც მე ვიყავი პასუხისმგებელი და ერთ-ერთი თანამონაწილე ეკონომიკურ თუ არაეკონომიკურ საკითხებში, მაშინ ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი ეკონომიკური ზრდა. მე ვიცი, ეს როგორ უნდა მოხდეს და ამისთვის რა არის საჭირო. ხოლო იმ ხალხის დადებულ შედეგებს, რომელმაც იცოდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს სხვანაირად, ვხედავთ, რაც არის.

– იმუშავებდით ახალ ხელისუფლებასთან ეკონომიკურ საკითხებზე?

– ეკონომიკური საკითხები ცალკე აღებული არ არსებობს. მიმაჩნია, რომ არსებობს მთლიანად ჯამში ყველაფერი და ამ ჯამზეა სამუშაო.

– ითანამშრომლებდით ახალ ხელისუფლებასთან?

– ბუნებრივია, ეს ჩემი ქვეყანაა...

– ირაკლი ღარიბაშვილში რა პოტენციალს ხედავთ?

– მიჭირს ამის თქმა. პრემიერის მოვალეობა ხომ არ არის, რომ ყველა საკითხში ექსპერტი იყოს. მისი მოვალეობაა, იყოს პოლიტიკური ლიდერი, განსაკუთრებით ახალ რეალობაში. პრემიერმა უნდა შეძლოს, პრობლემა დაინახოს სწორად და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღოს. ღარიბაშვილი ამ შემთხვევაში სუფთა ფურცელია, რომელზეც არ ვიცი, რა წერია.

– დაბოლოს, ივანიშვილი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეხმარებოდა საკაშვილის ხელისუფლებას. მათ შორის, ხელფასებითაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ... ფიქრობთ, რომ ის გაიღებს ხარჯებს საკუთარი ხელისუფლებისთვის?

– არ ვიცი და ვთვლი, რომ ეს არც არის საჭირო. 2004 და 2005 წლებშიც არ მომწონდა ივანიშვილის ასეთ პროცესში მონაწილეობა, მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი. მიმაჩნია, რომ მართალი ვიყავი, რადგან უფასო ფული არ არსებობს, ყველაფერს ფასი აქვს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ არ

my View
ინგა გრიგოლია

„წყევლა არ ითვალისწინებს იმას, რომ ეს არის განაჩენი ამ ადამიანისთვის. მე ადრეც გამოვაქვეყნე 70 დეპუტატის სია“

წინა კვირის სამშაბათს მომზადებულ გადაცემას, „უნდა ერეოდეს თუ არა ეკლესია პოლიტიკაში“, არქიმანდრიტ ბართლომეს მორიგი პოსტი მოჰყვა „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე: „გრიგოლია დაუკრეფავში არ გადავიდეს, თორემ...“ სიმართლე რომ ვთქვა, არქიმანდრიტის ეს პოსტი არც გამკვირვებია, რადგანაც გადაცემა მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წყევლას შეხებოდა, რომლის ავტორიც სწორედ მამა ბართლომე იყო და ველოდი კიდეც მის რეაქციას... ბევრს აინტერესებდა, რა იქნებოდა ჩემი პასუხი – ვუპასუხებდი თუ არა არქიმანდრიტს ასევე „ფეისბუქით“... გადავწყვიტე, არაფერი მიმეწერა, პირადად შევხვედროდი და ინტერვიუ ამეღო. დავურეკე და ინტერვიუზეც უპრობლემოდ შევთანხმდით...

– როდესაც წინა კვირას გავაკეთე გადაცემა თემაზე: „უნდა ერეოდეს თუ არა ეკლესია პოლიტიკაში“, „ფეისბუქის“ თქვენს გვერდზე ახალი პოსტი გაჩნდა: „გრიგოლია დაუკრეფავში არ გადავიდეს, თორემ...“ რა იყო ეს, მორიგი მუქარა? რას ეძღვნებოდა თქვენი პოსტი? რით გამოვიწვიე თქვენი ეს ფრაზა?

არქიმანდრიტი ბართლომე: პირველ რიგში, მოხარული ვარ, რომ გაგიცანით და ყოველთვის დიდ პატივს გცემდით. თავიდანვე, როდესაც „მზეზე“ და სხვა ტელეკომპანიებში მუშაობდით, თქვენი ყველა გადაცემა ნანახი მაქვს. რაც შეეხება ამ პოსტს, დავდე იმიტომ, რომ მე ვიყავი აქ. თქვენს გადაცემაში კი მონვეულები იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისთან ერთად შეიძლებოდა მეც ვყოფილიყავი. ჩემი პოსტი იყო იმის გამოხატულება, რომ მე აქ გახლდით, ტაძარში და საქმის კურსში ვიყავი, რომ ეს გადაცემა მიმდინარეობდა ტელევიზიით.

– როგორ ფიქრობთ, იმ გადაცემით გადავედით „დაუკრეფავში“?

– მინდა გითხრათ, ვიცოდი, რაც ხდებოდა, მაგრამ სპეციალურად არ ვნახე... ლინკიც გადმომიგზავნეს, მაგრამ მაინც არ ვნახე. არა იმიტომ, რომ არ მაინტერესებდა ეს ყველაფერი... შეიძლება ცუდი რამე ვთქვა, მაგრამ გულწრფელი ვარ. ჩემთვის ის სტუმრები, რომლებიც სტუდიაში გყავდათ, სასულიერო პირებზე არ მაქვს საუბარი, საინტერესო არ იყვნენ ამ კუთხით.

– იქ საზოგადოების სხვადასხვა ცნობილი სახეები თავისი პოზიციების მიხედვით შევაჯერეთ. გვინდოდა, ყველა მხარის პოზიცია დაფიქსირებულიყო.

– გულწრფელი ვიქნები, არ მინდოდა ჩემი თქვენდამი დამოკიდებულების გამო რაიმე ისეთი ყოფილიყო, რომ ამით შემდეგ განწყობა შემცვლოდა.

– ამ გადაცემის იდეა სწორედ იმ აჟიოტაჟის შემდეგ დაიბადა, რომელიც თქვენს წყევლას მოჰყვა. „წყეული იყოს მიხეილ სააკაშვილი და მისი ხროვა“!!! რა იყო ეს წყევლა? რამდენად ნორმალურია, როცა სასულიერო პირი ამას ამბობს? ხომ არ ფიქრობთ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მეტად უცნაურია, როცა სასულიერო პირი ასე ღიად ერევა პოლიტიკაში და წყევლის მოქმედ პრეზიდენტს?

– ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი უცნაურად ჟღერს. ვფიქრობ, ცხრა წელიწადიც უცნაურად ჟღერდა, რომელსაც კოშმარის წლებად მივიჩნევ. მეუბნებიან, რომ, თუ სასულიერო პირი ხარ, პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიო. ეს ერთი წელიწადია, მას მერე, რაც 2012 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა, ვცდილობდი, საერთოდ არ გამოვჩენილიყავი და ინტერვიუც არ მიმეცა, მაგრამ... როდესაც ვხედავ, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისეთი არასახელმწიფოებრივი სვლები დაიწყო, როგორიც არის თუნდაც ხურდა ფულივით მოქალაქეობის დარიგება... თურქეთიდან ქართველები შემომეხმიანნენ. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თუ ის ადამიანები დღეს თურქეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და ქართული სახელმწიფოს სივრცეში მოინდომებენ შემოსვლას, მაგრამ არსებობს რაღაც წესი, რაღაც დოგმა. არა მხოლოდ ზნეობრივი და მორალური, არამედ სახელმწიფოებრივი. სახელმწიფოს, მე მგონი, თავისი უმიშროების საკითხები აქვს და ასე ხელაღებით ყველას მისცე ქვეყნის მოქალაქეობა, ცოტა გაუგებარია. საერთოდ აღარ მინდოდა, ამაზე მელაპარაკა და აღარავის დავთანხმდებოდი, თქვენ რომ არ ყოფილიყავით. ისეთ ადამიანებს უშვებენ ციხიდან და იწყალებენ, რომელთა სასამართლო პროცესი ჯერ ბოლომდე არ არის მიყვანილი. იგივე თუნდაც ბუტა რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებული, მე ვერ ვიტყვი, რომ მკვლელი, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის.

– რომელიც ჩვენების შეცვლისთვის იყო გასამართლებული და არა მკვლელობისთვის.

– ასეთი ადამიანები აღმოჩნდნენ გარეთ შეწყალებით. ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი რჩება. 2005 წლის ბოლოდან, ჩვენს მონასტერში მუშაობდა ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრი ნარკომანებთან დაკავშირებით. უამრავ ადამიანს ვარ შეხვედრილი და ვიცი, სად, რა და როგორ. ისეთი ადამიანები შეიწყალეს, რომლებიც ნარკოტიკების გასაღებაზე იყვნენ დაპატიმრებულები... კონკრეტულად არ მოვყვები ფაქტებს. აქედან გამომდინარე, ჩემი განწყობა დავაფიქსირე. ვთვლი, რომ ეს არასახელმწიფოებრივია. წყევლა არ ითვალისწინებს იმას, რომ ეს არის განაჩენი ამ ადამიანისთვის. მე ადრეც გამოვაქვეყნე 70 დეპუტატის სია.

– ასევე, „ნაციონალური მოძრაობიდან“. მაშინაც შოკისმომგვრელი იყო თქვენ მიერ 70 დეპუტატის დაწყევლა...

– ამჯერად „ნაციონალური მოძრაობა“ არ დამწყევლია. თქვენ პოლიტიკაში იყავით გარკვეული პერიოდი და იცით, რომ პარტიაში ზოგი იმიტომ იყო, რომ მასწავლებლობა შეენარჩუნებინა, ზოგი ამიტომ და კიდევ სხვადასხვა მიზეზით. მათ რას ვერჩი, არაფერს.

– ხროვაში ვინ იგულისხმეთ?

– არ ჩამოვყვები. მგლის ხროვაში შვიდი თუ თორმეტი შედის. ჩემი მიზეზიც მქონდა ამასთან დაკავშირებით. სამწუხაროა ისიც, რომ Facebook-ზე იშიფრებოდნენ 2012 წელს უშიშროების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ სასულიერო პირების „დავერბოვკებაზე“ მუშაობდნენ. მე – მღვდელს, აღმომჩენია Facebook-ზე უშიშროების თანამშრომელი.

– თქვენზეც მუშაობდნენ?

– ჩემზეც მუშაობდნენ და სხვებზეც. სახელისა და გვარის დასახელება არ მინდა, ძალიან კარგად იციან, ვინ არიან. ასევე, მიდიოდა ყველა სასულიერო პირის სატელეფონო საუბრის ჩაწერა, რომელიც შემდეგ ჩაწერილიც და დაწერილიც მინახავს. სასულიერო პირების სახლებსა თუ რეზიდენციებში მიდიოდა მოსასმენი აპარატურის დაყენება. ამ კუთხით ხდებოდა დევნა. კიდევ ერთხელ ვამბობ, პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებ თუ კრიტიკული მდგომარეობა არ შეექმნება სახელმწიფოს.

– გინდათ-არ გინდათ, თქვენ მაინც ჩართული ხართ პოლიტიკაში... სხვა თუ არაფერი, ბევრჯერ ყოფილხართ მიტინგებზე... შეგახსენებთ ასევე „ქართული ოცნების“ ყრილობაზე თქვენს მისვლას... ეს პოლიტიკაში ჩართვას არ ნიშნავს?

– სხვათა შორის, როდესაც მიტინგზე გამოვჩნდი, რომელიღაც პარტიის პრეზენტაციაზე, მეორე დღესვე სახლში მომაკითხა პოლიციელმა და ჩემი მონაცემები ჩაიწერა.

– რა გითხრათ, რატომ მოგაკითხათ?

– ჩემი მონაცემები ჩაიწერა და წავიდა. პარტიის ყრილობაზე ვიყავი, როგორც სტუმარი და მეორე დღეს, დილით, 10:00 საათზე პოლიციელი, კარგი ახალგაზრდა მოდის ჩემთან, ცოტა შეშინებული იყო. როგორც ჩანს, დალაპარაკების შეეშინდა, რომ არავის მოესმინა (შეიძლება იცოდა კიდეც, რომ მოსასმენი აპარატურა იყო ჩემთანაც დამონტაჟებული და გადაწყვიტა, ფურცელზე დაეწერა თავისი სათქმელი. მიწერს, თქვენთან საუბარი მინდა, მაგრამ სახლში – არა, გარეთ გავიდეთო. ჩემს მეზობლად ბლოგბასტერი ცხოვრობს და 24-საათიანი ჩაწერა მიმდინარეობს და ეს ამბავი ვუთხარი, რომ გარეთ გასვლას აზრი არ ჰქონდა. მაშინ საბაზანოში შევიდეთო. შევედით სააბაზანოში და ამ კაცმა წყალი მოუშვა.

– ანუ მან იცოდა, რომ მოსასმენი იყო დამონტაჟებული?

– მოუშვა წყალი და მითხრა, თქვენ გითვალთვალებენ, დაგყვებიან, შეიძლება მოსასმენი აპარატურაც არის დამონტაჟებული სახლში. არ ვიცი, მაგრამ შესაძლებელია, რომ გარედანაც გისმენდნენო. ჩვენი საუბრის შემდეგ მან ჩაიწერა ჩემი მონაცემები, მერე ისევ შევედით სააბაზანოში, მოუშვა წყალი და ფურცელზე დაწერა და მაჩვენა ჩემი სურათი მღვდელმონაზვნობის, იღუმენობისა და არქიმანდრიტობის, სადაც ეწერა, რომ მე ვიყავი არაიდენტიფიცირებული პირი და ამიხსნა, რომ ჩემით კუდ-ი იყო დაინტერესებული. იმიტომ რომ მისი თქმით, მე ვიყავი პოლიტიკურად ჰიპერაქტიური მღვდელი... აი, სწორედ ამ ფაქტებიდან გამომდინარე ვსვამ კითხვას: სად იყო სიტყვის თავისუფლება. თქვენ არ გადაიტანეთ ეს ყველაფერი?

– სიტყვის თავისუფლების არარსებობასა და განცდაზე, რომ სრულიად ქვეყანას უსმენდნენ, გეთანხმებით...

– თუ ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, თუ მაქვს უფლება, რომ ხმა მივცე არჩევნებში და ჩემი ხმა დავაფიქსირო, ესე იგი მე ვირჩევ რაღაც პოლიტიკურ გუნდს და პოლიტიკაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ვმონაწილეობ.

– თუ ფიქრობთ, რომ ეკლესია უნდა ერეოდეს პოლიტიკაში?

– ეკლესია ყოველთვის ერეოდა პოლიტიკაში, სხვათა შორის, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საპრეზიდენტო არჩევნებში მე ხმა მიხეილ სააკაშვილისთვის მაქვს მიცემული.

– რატომ მიეციით ხმა და მერე რა მოხდა?

– ცვლილებებს დავუჭირე მხარი, მინდოდა, რომ შევარდნაძისდროინდელი უძრაობის ხანა შეცვლილიყო. ახლაც, სულ ვლოცულობდი და ვამბობდი, ღმერთო, ნეტავ, კიდევ უნდა დაიბადოს ვინმე გამორჩეული... ზვიადის პოლიტიკა არ მაინტერესებს, ქვეყანა, რომ უყვარდა და გულანთებული რომ იყო სამშობლოსთვის, ამაში ეჭვი არ მეპარება. ვფიქრობდი, რომ კიდევ უნდა დაიბადოს დისიდენტი და ახლა თუ დაიბადება, კიდევ 20 წელი უნდა ველოდოთ-მეთქი? და გამოჩნდა ასეთი ადამიანი, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემი ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილს დავუკავშირო.

– ბიძინა ივანიშვილს საჩხერიდან იცნობთ, იმ პერიოდიდან, როცა იქ მოღვაწეობდით?

– რა თქმა უნდა, მას საჩხერიდან ვიცნობ. მის სოფელში ვიყავი მღვდელი. 1999 წელს გავიცანი და 2000 წელს მას პირველად შევხვდი. მახსოვს, მასთან მივედი სახლში. მკითხა, რა გიჭირსო. ვუპასუხე, რომ არაფერი მიჭირდა, ისე ვცხოვრობ, როგორც მთელი სოფელი-მეთქი. რით დადიხართო და ვუპასუხე, რომ ფეხით დავდიოდი. მანქანა არ გყავთო? ვუპასუხე, – არა. თავის დაცვის უფროსს უთხრა, მამაოს მანქანა არ ჰყავს და სასწრაფოდ უნდა ჰყავდესო.... კიდევ რა გინდა, რომ გაგიკეთოო? ვუპასუხე, რომ მე არაფერი არ მინდოდა... ვუთხარი მხოლოდ შემდეგი: ...მე ვიცი მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სურვილი. მას უნდა, რომ წმინდა სამების სარდაფის სართული დამთავრდეს, რადგან სურს, რომ 2000 წლის შობა იქ სწიროს... თქვენ თუ მცირედს გადარიცხავთ, მე თქვენ კათალიკოსს შეგახვედრებთ-მეთქი.... მან მიპასუხა, პატრიარქის ნახვა რა საჭიროა, მე ბოლომდე ავაშენებ ამ ტაძარს, ის 50 მილიონზე მეტი ხომ არ დაჯდებაო, თუ, რა თქმა უნდა, ვინმე ხელს არ შემიშლისო. ეს იყო დაახლოებით 2000 წლის 5 აპრილი, 8 აპრილს მის უწმინდესობას ლოცვაზე შევხვდი. მახსოვს, უწმინდესი მოსული იყო მაშინდელი პრეზიდენტის – შევარდნაძისგან, რომელსაც 30 სიკვდილმისჯილი პატიმრის შეწყალება სთხოვა. უწმინდესს მოვუყევი ბიძინა ივანიშვილთან საუბრის შინაარსი და გადავეცი მისი სურვილი, რომ ის მზად იყო, საკუთარ თავზე აეღო სამების აშენება. რა თქმა უნდა, პატრიარქმა ძალიან გაიხარა. მეორე დღეს იყო ედუარდ შევარდნაძის მეორე ვადით არჩევნები. 11 აპრილს ბატონი ბიძინა საჩხერიდან წამოვიდა, გამოვყევი მას, შევახვედრე მის უწმინდესობას და აშენდა სამების ტაძარი.

– ბიძინა ივანიშვილი მორწმუნეა?

– ტრადიციული ქრისტიანი ყოველთვის იყო. ამ შემთხვევაში ვთვლი, რომ მორწმუნეა.

– მამაო, ძალიან საინტერესო ამბებს ყვებით... როცა ივანიშვილთან თქვენს ურთიერთობაზე საუბრობთ, ამის შემდეგ ბევრს, ალბათ, არ გაუკვირდება, რატომ გახდა სააკაშვილი თქვენი რისხვის ობიექტი... სააკაშვილის მიმართ თქვენი დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილს უკავშირდება???

„პოლიტიკაში ჩარევას არ ვაპირებ, თუ კრიტიკული მდგომარეობა არ შეექმნება სახელმწიფოს“

„მაჩვენა ჩემი სურათი მღვდელმონაზვნობის, იღუმენობისა და არქიმანდრიტობის, სადაც ეწერა, რომ მე ვიყავი არაიდენტიფიცირებული პირი და ამიხსნა, რომ ჩემით კუდ-ი იყო დაინტერესებული. იმიტომ რომ მისი თქმით, მე ვიყავი პოლიტიკურად ჰიპერაქტიური მღვდელი...“

„ამ ამბის შემდეგ, რა თქმა უნდა საპატრიარქოში ვიყავი. დეტალების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ეკლესიისგან ყოველთვის მივიღებ შენიშვნას, ცამდე მართალიც რომ ვიყო. ეპიტემიას ყოველთვის მივიღებ“

„ბიძინა ივანიშვილს საჩხერიდან ვიცნობ. მის სოფელში ვიყავი მღვდელი. 1999 წელს გავიცანი და 2000 წელს მას პირველად შევხვდი. მახსოვს, მასთან მივედი სახლში...“

„უწმინდესს მოვუყევი ბიძინა ივანიშვილთან საუბრის შინაარსი და გადავეცი მისი სურვილი, რომ ის მზად იყო, საკუთარ თავზე აეღო სამების აშენება. რა თქმა უნდა, პატრიარქმა ძალიან გაიხარა... 11 აპრილს ბატონი ბიძინა საჩხერიდან წამოვიდა, გამოვყევი მას, შევახვედრე მის უწმინდესობას და აშენდა სამების ტაძარი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირველად „პრაიმტაიმში“

„მეუბნებიან, რომ, თუ სასულიერო პირი ხარ, პოლიტიკაში არ უნდა ჩაერიო. ეს ერთი წელიწადია, მას მერე, რაც 2012 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა, ვცდილობდი, საერთოდ არ გამოვჩენილიყავი და ინტერვიუც არ მიმეცა, მაგრამ...“

„ეს ჩემი პირადი განცდა და ჩემი პირადი ემოცია იყო“

EXCLUSIVE

– სააკაშვილის მიმართ ასეთი დამოკიდებულება უკვე 2006 წლიდან მქონდა... არავის გამოჩენას არ უკავშირდება, ვლოცულობდი ამისთვის. ჩვენ, მონაზვნები და ბერები, ყოველდღე ვკითხულობთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომელს. სადაც ასეთი სიტყვებია: „გიხაროდენ, მძლავრთა კაცთმოძულეთა მთავრობისა განმდევნელო“. ვილაცა მეტყვის, რომ ეს წყევლა არ არის. განსაკუთრებით ამ მუხლს ყოველდღე ვკითხულობდი. არავის გამოჩენას არ უკავშირდება, ეს ჩემი პირადი განცდა და ჩემი პირადი ემოცია იყო.

– ძალიან საინტერესოა, ამის შემდეგ, თუ შეგეხმიანათ პატრიარქი, მგონი, ამ წყევლის შემდეგ ყველაზე სკანდალური და პოპულარული გახდით სასულიერო პირებს შორის...

– ამ ამბის შემდეგ, რა თქმა უნდა საპატრიარქოში ვიყავი. დეტალების დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ეკლესიისგან ყოველთვის მივიღებ შენიშვნას, ცამდე მართალიც რომ ვიყო. ეპიტემიას ყოველთვის მივიღებ. ეს ჩემი სულის გამოსწორებისა და წინ წასვლისთვისაა.

– როდესაც საუბრობთ ნაციონალური ხელისუფლების მიმართ თქვენს დამოკიდებულებაზე და ამბობთ, რომ ეს იყო უმძიმესი წლები, ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვის, წამებისა და ბევრი უკანონობის წლები, ამაში, ალბათ, საზოგადოების დიდი ნაწილი დაგეთანხმებათ, რადგან სწორედ ეს იყო არჩევნების წინ მათი პროტესტის მთავარი მიზეზი, თუმცა, ყოველთვის მიჩნდება ერთი კითხვა: ამ წლების განმავლობაში, მღვდლები ყოველთვის შედიოდნენ ციხეებში, იბარებდნენ აღსარებას, ესაუბრებოდნენ პატიმრებს და სავარაუდოდ, მათ კარგად იცოდნენ, წამების რა ფაქტებიც ხდებოდა საპატიმროებში. რატომ არ გახდა მათგან არასდროს ცნობილი ეს ამბავი, თუკი ქვეყანაში ასეთი სადიზმი ხდებოდა, თუ ციხეში პატიმრებს აუპატიურებდნენ, აწამებდნენ?.. მესმის, რომ აღსარების საიდუმლოს გათქმა არ შეიძლება, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ სასულიერო პირებს აეტეხათ განგაში ამ ამბებზე?.. თუნდაც ერთი ფრაზით ეთქვათ ეს ყველაფერი... რატომ იყვნენ გაჩუმებულები? პატარა ფრაზა მაინც ეთქვათ.

– მისმა უწმინდესობამ არაერთხელ თქვა ქადაგებაში, რომ ციხეებში არ არის კარგი სიტუაცია. უბრალოდ, არ აკონკრეტებდა, იქ ადამიანის ღირსების შემლახველი ამბები რომ ხდებოდა. მეც დავდიოდი ციხეში და როდესაც მსგავსი ინფორმაცია მოვისმინე, შევწყვიტე სიარული. რა თქმა უნდა, ვამბობდით, მაგრამ საჯაროდ არ ვსაუბრობდით, რადგან ნებისმიერ სასულიერო პირს მიადგებოდნენ და გაანადგურებდნენ. ნებისმიერ სასულიერო პირს უსმენდნენ, აშინებდნენ და „ავერბოვკებდნენ“. პატრიარქი სწორედ სასულიერო პირებისგან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე ამბობდა, რომ ციხეებში არ იყო კარგი სიტუაცია.

– ანუ მასთან ეს ინფორმაცია მიდიოდა?

– რა თქმა უნდა.

– ეკლესიას ამ ყველაფრის წინააღმდეგ რაიმე ქმედითი ნაბიჯები თუ გადაუდგამს, თუნდაც, თუ ყოფილა მცდელობა, რომ ვინც ადამიანებს აწამებდა, მათ ყურამდე მისულიყო, რომ სასულიერო პირები წამების ფაქტებზე ინფორმაციას ფლობდნენ?

– ვის რაში აინტერესებდა, მათ არ აინტერესებდათ... ჩვენ შეგვეძლო პატრიარქთან, ქორეპისკოპოსთან ამის თქმა. რა თქმა უნდა, ისინი იყვნენ საქმის კურსში. როდესაც უწმინდესი ამბობდა, რომ ციხეებში მძიმე სიტუაცია იყო, როდესაც ქალბატონ კალმახელიძეს სთხოვა, როგორც შვილებს, ისე მოეპყარი პატიმრებსო, – ეს ყველაფერი სწორედ აქედან გამომდინარე ხდებოდა...

– ამ წყევლისა და შეჩვენების შემდეგ როგორ ხართ? ეპიტემია დაგადეს და ისევ აპირებთ პოლიტიკურად ასეთი თამამი პოზიცია გქონდეთ?

– არ მაინტერესებს პოლიტიკა, თუმცაღა შინაგანად გვიწევს, რომ გვქონდეს ჩვენი პოზიცია... მე ჩემი საქმე მაქვს. ერთ-ერთ ინტერვიუში ვთქვი, რომ სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც ჩემი სინდისი მიკარნახებს და ჩემი ქვეყნისა და ეკლესიის სიყვარული.

– შალვა ნათელაშვილი მყავდა ეთერში, მან თქვა, რომ ეს არის პოლიტიზებული ეკლესია. სასულიერო პირები გადანაწილებულები არიან ან აქეთ, ან იქით. თქვენ ღიად უჭერდით მხარს ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“... თქვენ თქვენი დამოკიდებულება გქონდათ, საჩხერიდან მოყოლებული, ბიძინა ივანიშვილისადმი. მესმის ეს ყველაფერი... მაგრამ როგორია თქვენი რეაქცია, როცა „ოცნების“ მაისურს იცვამს სასულიერო პირი, დროშით ხელში დადის მიტინგზე, ან მიშა სააკაშვილის სურათი უკიდია ოთახში... რა ხდება ამ კუთხით ეკლესიაში?

– „ოცნების“ ყველა მიტინგზე ვარ ნამყოფი.

– მეოცნებე ხართ? მეოცნებე არქიმანდრიტი....

– მეოცნებე არ ვარ, მხარს ვუჭერდი ჩემი ქვეყნის განვითარებას. თუმცაღა ოცნება ცუდი არ არის. ოცნება ადამიანისთვის ყველაზე სასიამოვნო რამეა. თუკი იმ ოცნებას ოდესმე ახდენა უწერია. ალბათ, ვილაცები სამების ტაძრის აშენებაზეც ოცნებობდნენ და სამების ტაძარი დღეს დგას. ეს ოცნება ყველას აუხდა. თქვენ ვერ ნახავთ, რომ მე ან „ოცნების“ მაისური მიკიდია, ან დროშა მაქვს. პოლიტიკურად მიკერძოებული არ ვარ. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა ხმა და ვინ – „ოცნებას“. ყველა ეს ადამიანი ჩემთვის ერთია. საუბარი სხვა რამეზე მაქვს: რომ ადამიანები ჩვეულებრივ მოკვდავთ არ უნდა იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური ავი მიზნებისა და ზრახვებისთვის. მე ამაზე მაქვს რეაქცია. ერთმა მომწერა: მე ბაქრაძეს მივეცი ხმა და ნიშნავს, რომ მეც დავიწყევლეო? მას თავისი არჩევანი აქვს და შესაბამისად, ვისაც უნდა, იმას მისცემს ხმას.

– არსებობს ინფორმაცია, რომ არჩევნების წინ ქადაგებების დროს ბევრი მამაო მრევლს ეუბნებოდა, რომ არ აზიარებდა, მიცვალებულს წესს არ აუგებდა, ჯვრისწერას არ შეასრულებდა, თუ ხმას „ოცნებას“ არ მისცემდნენ. გაქვთ ასეთი ინფორმაცია?

– არ ვიცი, სად ხდებოდა კონკრეტულად და ვერ ვიტყვი.

– თქვენ არ გსმენიათ ამის შესახებ, რომ გამალებული პოლიტიკური მოწოდებები მიმდინარეობდა?

– ჩემთვის ეს მიუღებელია, მგონი, ჩემს ტაძარშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც „ნაციონალურ მოძრაობაში“ იყვნენ და არიან. ამის პრობლემა არასდროს მქონია. ვფიქრობ, ეს მათი შეცდომაა. ქრისტეს წმინდა ზიარება, სისხლი და ხორცი პოლიტიკური ნიშნით არ მიიცემა. ის მიიცემა აღსარების, მარხვის, ლოცვისა და გულწრფელი დამოკიდებულების რწმენის შედეგად. ადამიანი შეიძლება ერკვეოდეს, შეიძლება არ ერკვეოდეს და ბრმად სჯეროდეს. კომუნისტურ პარტიაში იყვნენ და ჩუმად დადიოდნენ ეკლესიაში და ეზიარებოდნენ. ტაძარში მდგომ ადამიანს პოლიტიკური ნიშნით როგორ განვასხვავებ?! ქრისტე ყველასთვის ერთია.

რამდენიმე დღის წინ დავწერე, არ ვიცი, რამდენად საინტერესოა: „დიდია ძალა უფალი ღმერთის. წყალობათა და სიკეთეთა მომნიჭებელი. დიდია მადლი ჯვარცმული და ამაღლებული იესოსი. საოცარი და გასაკვირია ადამიანების სიბრმავე და გულუბრყვილობა. ლაპარაკობენ თავისუფლებაზე და მის ხელშეუხებლობაზე. სად არის თავისუფლება? ნუთუ თავისუფლება და მისი მხარდაჭერა დუმილია ზოგიერთების უსაქციელობასა და სისასტიკეზე. მე გამოვაქვეყნე წყევლა იმ ჯალათებისადმი, რომელთაც ციხეები ადამიანთა დამცირების, ღირსების შელახვისა და მათი დემორალიზაციისთვის გამოიყენეს. ვწუხვარ, დღევანდელი ქომაგები ჯალათებისა რომ ვერ ხედავდნენ მათი დაცვის ობიექტთა სისასტიკეს სხვადასხვა სფეროში. მათ ღირსება და ვაჟკაცობა რომ ჰქონოდათ, იქნებ უამრავი ადამიანი გადაერჩინათ სულიერი განადგურებისგან. უფალს შეჰღაღადებს მრავალი მართალი ადამიანის სისხლი უმიზეზოდ ქუჩაში დახოცილებისა, ვითომდა სამხედრო ამბოხებათა მონაწილეებისა და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ხოლო დანგრეული ოჯახების, განადგურებული და წართმეული ბიზნესების რიცხვს ვინ მოთვლის. მინდა გავიხსენო 2011 წლის ბოლო და 2012 წელი, როცა განსაკუთრებით დევნიდნენ თავისუფალი აზრის გამოხატვას, როგორ სცემდნენ და უსწორდებოდნენ პოლიტიკურ შეხედულებათა გამო ადამიანებს. ეს იყო კოშმარი. ინტერნეტქსელში იშიფრებოდნენ სასულიერო პირებზე მომუშავე უშიშროების თანამშრომლები თუ აგენტები. მათ მიერ მიმდინარეობდა თვალთვალი სასულიერო პირებსა და ეკლესიის სხვა მსახურებზე. უშიშროებაში სასულიერო პირების სატელეფონო საუბრები იწერებოდა და სახლებსა თუ რეზიდენციებში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება მიმდინარეობდა.

„მიდიოდა ყველა სასულიერო პირის სატელეფონო საუბრის ჩაწერა, რომელიც შემდეგ ჩაწერილიც და დაწერილიც მინახავს“

„მეოცნებე არ ვარ, მხარს ვუჭერდი ჩემი ქვეყნის განვითარებას. თუმცაღა ოცნება ცუდი არ არის. ოცნება ადამიანისთვის ყველაზე სასიამოვნო რამეა. თუკი იმ ოცნებას ოდესმე ახდენა უწერია“

„თუ ვარ ამ ქვეყნის მოქალაქე, თუ მაქვს უფლება, რომ ხმა მივცე არჩევნებში და ჩემი ხმა დავაფიქსირო, ესე იგი მე ვირჩევ რაღაც პოლიტიკურ გუნდს და პოლიტიკაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ვმონაწილეობ“

„სამწუხაროა ისიც, რომ Facebook-ზე იშიფრებოდნენ 2012 წელს უშიშროების თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ სასულიერო პირების „დავერბოვკებაზე“ მუშაობდნენ. მე – მღვდელს, აღმომიჩენია Facebook-ზე უშიშროების თანამშრომელი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როგორ მოხვდა საიდუმლო სამხედრ

მარიამ ნადირაძე

ვინ გასცა კოორდინატები და რა მიზეზით განადგურდა 41-ე ბატალიონი 2008 წლის ომში?



ტრისტან ზითელაშვილი: თუ ვინმე ამბობს, რომ ეს გაყალბებულია, ეს არის მხოლოდ თავის მართლება და მეტი არაფერი. როგორ ფიქრობთ, ადეიშვილი და სააკაშვილი თავის საწინააღმდეგოდ გამოიძიებდნენ საქმეს?

„პროკურატურაში ძალიან მალე დაუძახებენ გიგი კალანდაძესაც, გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, გოგავასაც, დაპატიმრებულ კეზერაშვილსაც დაკითხავენ ამასთან დაკავშირებით, და სააკაშვილსაც. სავარაუდოდ, ეს დეკემბერში მოხდება“

ისევ ამოუწურავი თემა – 2008 წლის აგვისტოს ომი... მაგრამ არ ისმება კითხვა – ვინ დაიწყო საბრძოლო მოქმედებები.

საკითხი ერთ მეტად ფაქიზ თემას, საიდუმლო ბრძანებას შეეხება, რომელიც მეოთხე ბრიგადის მაშინდელი მეთაურის, გიგი კალანდაძის მიერ 2008 წლის 7 აგვისტოს არის ხელმოწერილი.

თუ ვინმე დავას დაიწყებს იმაზე, გვაქვს თუ არა საიდუმლო ბრძანების გამოქვეყნების უფლება, აქვე მოგახსენებთ, რომ ეს ბრძანება 2008 წლის 24 ნოემბერს უკვე გამოქვეყნდა რუსულ საიტზე, „კომპრომატ.რუ“-ზე და თანაც, კონტექსტი რთული მისახვედრი არ უნდა იყოს...

ჩვენს შემთხვევაში კი ვისაუბრებთ იმაზე, როგორ აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელზე ხელმიმწვდომთა რაოდენობა ორ ხელზე თითების რაოდენობასაც არ ითვლის და შეიძლება თუ არა ვისაუბროთ სავარაუდო „გამცემებზე“?

მაშ ასე, რუსული მხარე ამ ბრძანებას მოიშველიებს იმის არგუმენტად, რომ 7 აგვისტოს საქართველო უკვე კონკრეტულ ღონისძიებებს მიმართავდა საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად. ამიტომ, სჯობს, დეტალურად გავაანალიზოთ, რა შინაარსს შეიცავს ეს დოკუმენტი:

მასში ზემდგომი მეთაურის ამოცანად განმარტებულია: „ოპერატიულმა ჯგუფმა განახორციელოს საბრძოლო ოპერაცია სამაჩაბლოს რეგიონში და 72 საათის განმავლობაში გაანადგუროს მოწინააღმდეგე, აღადგინოს საქართველოს იურისდიქცია რეგიონში.

ზემდგომი მეთაურის ჩანაფიქრი:

– სწრაფი საბრძოლო მოქმედების განხორციელება;

– მშვიდობიანი მოსახლეობისა და მათი ქონების განადგურების რისკის შემცირება;

– ზუსტი წერტილოვანი დარტყმებით მოწინააღმდეგე ძალების დაცვა.

ამოცანა:

მეოთხე ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები მოვიდნენ საბრძოლო მზადყოფნაში დისლოკაციის ადგილზე არაუგვიანეს 2008 წლის 7 აგვისტოს 11:00 საათამდე, რათა განახორციელონ ოპერატიული დაჯგუფების მხარდაჭერა...

საბოლოო შედეგი:

– რეგიონში სეპარატისტული ძალების გაუვნებელყოფა;

– რეგიონში მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნა“.

ამავე ბრძანებაში მითითებულია კონკრეტული კოორდინატები, სად იქნებოდა განლაგებული ბრიგადა და მასში შემავალი ბატალიონები... წარმოდგენილია დაზვერვის პრიორიტეტული მოთხოვნები:

„1. საშუალებები/მეთოდები/რეჟიმები, რომელთაც გამოიყენებენ სეპარატისტული ძალები რეგიონის უსაფრთხოების დესტაბილიზაციისთვის;

2. სად ხდება უშუალოდ ძალების დაპირისპირება;

3. ვინ უჭერს მხარს სეპარატისტულ ძალებს;

4. სად მდებარეობენ სეპარატისტული ძალების ბანაკები და სამალავები;

5. სად აქვთ განლაგებული ძირითადი საცეცხლე საშუალებები;

6. რა შემადგენლობა და საშუალებები გააჩნიათ მოწინააღმდეგე ძალებს;

7. სად და როდის ჩაატარებენ მოწინააღმდეგე ძალების სხვადასხვა დაჯგუფებები კოორდინირებულ შეტევას საკუთარი ძალის წინააღმდეგ;

8. ვინ არიან გავლენიანი პირები (ლიდერები) ოპერაციის რაიონში.

რისკი:

– სამაჩაბლოს რეგიონში არსებული რუსული სამშვიდობო ბაზები ზრდის პროვოკაციის რისკს მათზე ცეცხლის გახსნის შემთხვევაში;

– მშვიდობიანი მოსახლეობისა და ლტოლვილთა გადმოადგილებისას საშიშროება, რომ მათ შორის აღმოჩნდეს სეპარატისტული დაჯგუფების წევრები, რომლებიც შეეცდებიან დესტაბილიზაციის შექმნას ზურგში“.

თუ ამ დოკუმენტით, ერთი მხრივ, რუსულ მხარეს უნდა, დაადასტუროს, რომ ომისთვის საქართველო 7 აგვისტოს უკვე მზად იყო, მეორე მხრივ სააკაშვილის ხელისუფლების ოპონენტები ამტკიცებენ, რომ რაკი ეს საიდუმლო ბრძანება მისი ხელმოწერიდან 24 საათში უკვე მოწინააღმდეგეს ჰქონდა, სწორედ მასში მითითებული კოორდინატების მიხედვით განხორციელდა რუსული ბომბდამშენებისგან საჰაერო დარტყმები, რომელმაც დიდი ოდენობით ცოცხალი ძალის დაკარგვა გამოიწვია, განსაკუთრებით კი მეოთხე ქვეით ბრიგადაში შემავალ 41-ე ბატალიონში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ბრძანებას ხელს აწერს მაშინ ბრიგადის მეთაური, მოგვიანებით კი გენერალური შტაბის უფროსი, მაშინ მაიორი, მოგვიანებით კი უკვე გენერალი გიორგი, იგივე გიგი კალანდაძე. შესაბამისად, თუ დავსვამთ კითხვას, ვინ არის პასუხისმგებელი საიდუმლო დოკუმენტის მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნაზე, რესპონდენტიც უკვე განსაზღვრულია.

მაშ ასე, „პრაიმტაიმის“ კითხვებს გიგი კალანდაძე უპასუხებს:

– ეს არის გამაფრთხილებელი ბრძანება #2. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ეს ბრძანება თავის დროზე გააყალბეს.

– მთლიანად ბრძანებაა გაყალბებული, თუ კონკრეტული მონაკვეთები?

– გაყალბებულია დრო.

– ეს ბრძანება ხელმოწერილია 7 აგვისტოს. ამაზე მიუთითებთ?

– ზუსტად არ ვიცი... მე გამოძიებასთან უკვე მქონდა ურთიერთობა. რამდენიმე დღის განმავლობაში დავდიოდი იქ. მქონდა კონკრეტული შეხვედრები...

– ამ დოკუმენტთან დაკავშირებით კითხვები დაგისვეს?

– არა... კითხვები იყო ყველაფერზე, რაც 2008 წლის მოვლენებს უკავშირდებოდა... სიმართლე გითხრათ, მაშინ უფრო დეტალურად მახსოვდა ყველაფერი. კითხვები ჩემთან მარტო ჩვენს გამოძიებას არ დაუსვამს. ძალიან ბევრ სხვადასხვა კომისიაში მაქვს განცხადებები გაკეთებული – ტალიავინის კომისიაში, ჩამოდიოდნენ ამერიკიდან სხვადასხვა კომისიები, რამდენიმე დღე ისხდნენ ჩემს ოთახში და ერთად, თანაც რამდენჯერმე გავდიოდით კონკრეტულ მოქმედებებს. არსად ეს ბრძანება არ შემხვედრია. როგორც ვხვდები, მთელი იმ მასალებიდან, რასაც იძიებდნენ, ეს არის ერთ-ერთი დოკუმენტი, ე.წ. გამაფრთხილებელი ბრძანება.

– თუ სწორად გავიგე, გინდათ თქვათ, რომ ბრძანება, რომლის გარშემოც ჩვენ ვსაუბრობთ, გამომდინარეობს გენერალურ შტაბში შექმნილი ძირითადი ბრძანებისგან?

– დიახ. სანამ მიიღებს ძირითად ბრძანებას ქვედანაყოფი, ნატოს სტანდარტებით, იძლევი პირველ გამაფრთხილებელ ბრძანებას, მერე მეორე გამაფრთხილებელ ბრძანებას, რომელიც უკვე ახლოსაა ამოცანის შესრულებასთან და მოქმედებასთან. მესამე გამაფრთხილებელში უკვე რაღაც კონკრეტული დეტალებია შესული. ამის მერე მოდის უკვე ძირითადი ბრძანება, ყველა პუნქტით გაწერილი – დაწყებული მოწინააღმდეგის ვითარებიდან, დამთავრებული კავშირგაბმულობის სახისებით. ამას მერე კიდევ მოსდევს ფრაგოები, ანუ ის ბრძანება, რომელიც კონკრეტულად ბრძანების მონაკვეთში, ან აღსრულებაში, ან კონკრეტულ სამეთაურო რგოლში შეიტანს რაღაც ცვლილებას.

– რაზეც ჩვენ უნდა ვისაუბროთ, მას აწერია გამაფრთხილებელი ბრძანება #2. გამოდის, რომ ამ ქრონოლოგიით, კონკრეტულ საბრძოლო მოქმედებებზე გადასვლამდე ჯერ კიდევ რამდენიმე საფეხურია დარჩენილი... და ეს დოკუმენტი თუნდაც 7 აგვისტოს რომ იყოს ხელმოწერილი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართული შეიარაღებული ძალები ომს აპირებდნენ, არა?

– დიახ. ისე, სიმართლე გითხრათ, ის აქამდე არ წამიკითხავს. შეიძლება გავეცნო?

– რა თქმა უნდა...

– მე მახსოვს, როდესაც თავის დროზე ამ ბრძანების შესახებ მიამბეს, მითხრეს, რომ თითქოს ეს არის ბრძანება ანტისეპარატისტული ძალების წინააღმდეგ... ახლა ამ სიტყვას ვეძებ და ვერ ვპოულობ...

– ეს თქვენი ხელმოწერაა?

– არა... ნამდვილად არა... ერთი სიტყვით, ბრძანებები იყო, საიდუმლო გრიფით და რა თქმა უნდა, მის შინაარსს ვერ მოგახსენებთ და ყველა ასეთი დოკუმენტი გამოძიებას ჰქონდა წაღებული.

– საუბარი გაქვთ ბრძანებებზე, რომლებიც ბრიგადაში იქმნებოდა?

– კი, ბატონო... ყველა, რაც მაშინ და მას მერე შედგა. როგორც მახსოვს, ეს კონკრეტული ბრძანება, რასაც თქვენ მაჩვენებთ, ჩემამდე არც მოსულა. ამაზე იუსტიციამ მაშინვე, 2008 წელს გააკეთა შეფასება, რომ ეს არის რუსული მხარის მიერ გაყალბებული ბრძანება და ეს არ შექმნილა ჩემს ბრიგადაში.

– არსებობს ეჭვი, რომ ვინაიდან ეს დოკუმენტი, რომელშიც ბრიგადისა და მისი ქვედანაყოფების განლაგებაზე კონკრეტული კოორდინატებია მითითებული, მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა, ამან მისცა საშუალება რუსულ ავიაციას, რომ კონკრეტულ, აქ მითითებულ კოორდინატებზე განეხორციელებინა საჰაერო დარტყმები... მეტიც, როგორც ჩვენ შეგვატყობინეს, მიუხედავად აქ მითითებული კოორდინატებისა, თქვენ გადაუხვიეთ ბრძანების კონკრეტულ პუნქტებს და სულ სხვა მონაკვეთში განახორციელეთ საბრძოლო მოქმედებები...

– ანუ, გინდათ მითხრათ, რომ ეს დოკუმენტი რუსებს ხელში მანამდე ჩაუვარდათ, ვიდრე ამ პოზიციებს დავიკავებდით და ზუსტად ისე გვბომბავდნენ, როგორც აქ არის მითითებული?.. არა მგონია, ეს მთლად სიმართლე იყოს, რადგან, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ბრძანება გაყალბებულია... არა მგონია, ბრძანების შექმნის დროს, რომელიმე სამხედრო მოსამსახურეს ეს რუსებისთვის გადაეცა. ვერ გეტყვით, მე რომ ვიძლეოდი ბრძანებებს, თუ ამას ვინმე რუსებს აძლევდა, არა მგონია. არაფერია გამორიცხული, მაგრამ მაინც მეეჭვება, ეს სიმართლესთან ახლოს იყოს. მოდით, ჰკითხეთ გამოძიებას... თუმცა, როგორც ვიცი, მასალები საიდუმლო გრიფით არის. მე მზად ვარ, ახლანდელ გამოძიებასთანაც ვითანამშრომლო. ასე რომ, ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს.

– ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, არაერთი „დუბლირებული სისხლის სამართლის საქმის“ მოწმენი ვართ. ჩვენს ტერმინოლოგიაში უკვე ხშირია „ეს გამოძიება“, ან „ის გამოძიება“, ეს ხელისუფლება“ და „ის ხელისუფლება“. ამიტომ, რომ დავკონკრეტდეთ, როდის, რომელი ხელისუფლების პირობებში და ვისი პროკურორობის დროს წარმოებული გამოძიების ფარგლებში მოხდა თქვენი დაკითხვა და რომელმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს დოკუმენტი ყალბია?

– რომელსაც აწარმოებდა იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის მოადგილე, ქალბატონი თინა ბურჯალიანი. მე ერთი-ორჯერ შევხვდი მას. იყვნენ სხვებიც, გამომძიებლები, მაგრამ მათი გვარები, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ო ბრძანება რუსული მხარის ხელში?

EXCLUSIVE

გიგი კალანდაძე: „არა მგონია, ბრძანების შექმნის დროს, როგელიმე სამხედრო მოსამსახურეს ეს რუსებისთვის გადაეცა. ვერ გეტყვით, მე რომ ვიძლეოდი ბრძანებებს, თუ ამას ვინმე რუსებს აძლევდა, არა მგონია“

„ეს ბრძანება მე აქამდე არ მინახავს და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩემი ხელმოწერა არ არის“

მათ მაშინ მითხრეს, რა შეკითხვებზე უნდა გამეცა პასუხი და ვიქნებოდი თუ არა მზად ამისთვის.

– ანუ, წინასწარ გაგაცნეს კითხვები, რაც თქვენი მისამართით ჰქონდათ?

– ყველაფერი ისე მოხდა, როგორც საერთოდ, გამოძიების პროცესში ხდება ხოლმე. მაშინ სამეთაურო რგოლიდან ყველა დაიკითხა, მათ შორის მეც.

– ამ გამოძიებისთვის თუ მოგიხდათ კითხვებზე პასუხის გაცემა?

– არა. ჯერ არ დაუძახიათ. თუ დამიბარებენ, პრობლემა არ არის.

– მოდით, ჩამოვყალიბდეთ: ამბობთ, რომ ეს თქვენი ხელმოწერა არ არის, ეს ბრძანება არ გახსოვთ...

– დიახ...

– როდესაც ასეთი საიდუმლო ბრძანებები დგება, ვინ არის მის საიდუმლოობაზე პასუხისმგებელი?

– საბრძოლო მოქმედებების დროს ჩვენ დავკარგეთ ბატალიონის მთელი შტაბი. დაიღუპა ბატალიონის მეთაური, შტაბის უფროსი, შტაბის წევრები და ძალიან მძიმე სურათი შეექმნა 41-ე ბატალიონს. ასევე, საარტილერიო ბატალიონის მეთაური დაგვეღუპა საავიაციო დაბომბვის დროს. ასე რომ, ასეთ დროს კონკრეტული საბუთების განკარგვასა და შენახვაზე განსაკუთრებული წესია...

– გინდათ თქვათ, რომ რაკი ეს ადამიანები დაიღუპნენ, „დამნაშავის“ ძიებას აზრი აღარ აქვს?..

– შეხედეთ, ამ ბრძანების პირველ გვერდზე ხელმოწერა ეკუთვნის 41-ე ბატალიონის მეთაურს, დოლიძეს. ასეთივე ხელმოწერაა მის სასაფლაოზე...

– ეს ხელმოწერა ადასტურებს იმას, რომ ბრძანება დავიდა ბატალიონის დონეზე?

– დიახ. ბატალიონმა მიიღო ბრძანება და მერე უკვე შეცვლილია, იქ ჩაწერეს რუსებმა, რაც უნდოდათ...

– სანამ ამ კონკრეტულ ხელმოწერას შევეხებოდით, მეგონა, ადასტურებდით, რომ თავად ბრძანება იყო ფალსიფიცირებული. ახლა კი ერთ ეგზემპლარზე აკეთებთ აქცენტს... ბატონო გიგი, ამ ბრძანების მიხედვით არსებობს მისი 7 ეგზემპლარი...

– შესაძლოა, მხოლოდ განსაკუთრებული მონაკვეთები იყოს გაყალბებული...

– გინდათ თქვათ, რომ რუსებმა ბრძანების ორიგინალში, ანუ ქართულ ვერსიაში შეიტანეს ცვლილება და შემდეგ უკვე გაყალბებული გადათარგმნეს რუსულად?

– ასე ვფიქრობ, სავარაუდოდ, რადგან ეს ბრძანება მე აქამდე არ მინახავს და კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ჩემი ხელმოწერა არ არის. ასე რომ, ეს არის ჩემი ვარაუდი, რა გააკეთეს რუსებმა და როგორ იქნა ეს გამოყენებული...

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ცოცხალი ძალის ასეთი დიდი დანაკარგი, რაც თქვენ გქონდათ, იმიტომ მიიღეთ, რომ მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა პოზიციების განლაგების შესახებ კოორდინატები?

– დამიჯერეთ, რა... სამწუხაროა, რომ ამხელა დანაკარგი გვქონდა. მე ყველა ადამიანის, ყველა კონკრეტული ქვედანაყოფის შესახებ მაქვს პასუხი გაცემული გამოძიებისთვის. პასუხი აქვთ გაცემული ქვედანაყოფების მეთაურებსაც იმის შესახებ, თუ ვინ, როდის, რა ბრძანება მიიღო. ყველა ადამიანზე, ყველა ბრძანებაზე, თითოეულ ტექნიკაზე მაქვს ჩამორთმეული ახსნა-განმარტება – ვინ, სად, როდის, რა დაკარგა. თითოეულ ჯარისკაცზე იყო დაწყებული გამოძიება, ვინც იმ დროს იარაღი დაკარგა. ყველაფერზე იყო გამოძიება დაწყებული.

– ომის გამოცდილება ითვალისწინებს იმასაც, რომ შეიქმნას დოკუმენტი, რომლითაც მოწინააღმდეგე შეგყავს შეცდომაში. სიმართლე გითხრათ, დიდი იმედი მქონდა, რომ ამ ბრძანებასთან დაკავშირებით თქვენგან ასეთი შინაარსის განმარტებას მოვისმენდი...

– ნამდვილად არსებობს ერთ-ერთი ასეთი მეთოდი, მაგრამ რა იყო რეალურად, ამის შესახებ დაწვრილებით მაქვს მოხსენიებული საგამოძიებო ორგანოებისთვის.

2008 წლის ომისა და მისი შედეგების შესახებ დამოუკიდებელ გამოძიებას ვეტერანების ერთი ჯგუფიც ანარმოებს. ამ ჯგუფის წევრი, ტრისტან წითელაშვილი ირწმუნება, რომ ეს საიდუმლო ბრძანება რუსებს 2008 წლის 8 აგვისტოს უკვე ხელში ჰქონდათ:

– ეს არის დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ბრიგადის მეთაური იღებს ბრძანებას გენერალური შტაბიდან. შეიძლება მისი გაყალბება ისე, რომ კონკრეტული თარიღები და კოორდინატები ძირითადი ბრძანების მიხედვით იყოს დასმული? თუ ვინმე ამბობს, რომ ეს გაყალბებულია, ეს არის მხოლოდ თავის მართლება და მეტი არაფერი. როგორ ფიქრობთ, ადეიშვილი და სააკაშვილი თავის სანინააღმდეგოდ გამოიძიებდნენ საქმეს? ასე რომ, არამარტო კალანდაძე, მთლიანად ნაციონალური გუნდი მუშაობდა რუსების სასარგებლოდ.

– მეოთხე ბრიგადის 41-ე ბატალიონი იმ საბრძოლო მოქმედებების დროს მთლიანად განადგურდა. ამის მიზეზი ამ ბრძანების საიდუმლოების დარღვევაა, თუ კიდევ სხვა მიზეზებიც არსებობს?

– ეს ბრძანება რუსებს 2008 წლის 8 აგვისტოს უკვე ჰქონდათ, დღის მეორე ნახევარში. სწორედ აქ არის მითითებული ბრიგადისა და მასში შემავალი ბატალიონებისა და ასეულების განლაგებები კოორდინატებით. რუსებმა რომ საჰაერო დარტყმები დაიწყეს და გაანადგურეს ცოცხალი ძალა და მძიმე ტექნიკა, სწორედ ამ ბრძანებაში მითითებული კოორდინატების მიხედვით მოხდა ეს ყველაფერი. ეს არ იყო ფალსიფიცირებული ბრძანება. პირველი დარტყმა სწორედ იმ ბატალიონმა მიიღო, რომელიც თქვენ ახსენეთ. ეს შეგიძლიათ გადაამოწმოთ იმ მითითებული რუკისა და კოორდინატების მიხედვით და ნახავთ, რომ ეს ზუსტად ის ტერიტორიებია, რომლებზეც რუსებმა საჰაერო დარტყმა განახორციელეს და სადაც ეს ქვედანაყოფები იყო განლაგებული. სწორედ ამ დარტყმების შემდეგ შეიქმნა ქაოსური მდგომარეობა. მეტიც, მართალია, მე კონკრეტულად გიგი კალანდაძის შესახებ ვერ დავიწყებ მტკიცებას, რომ გინდა თუ არა ის არის რუსების აგენტი, მაგრამ მისი ქმედებებიდან გამომდინარე, რაც მან საბრძოლო მოქმედებების დროს ჩაიდინა, ეს იყო ღალატის ტოლფასი. თუ ამ ბრძანებას თან არ ახლდა შემდგომი ბრძანება, ბრიგადის მეთაურს, რომელსაც მითითებული აქვს სექტორი, არანაირი უფლება არ ჰქონდა, მოქმედების ტერიტორია შეეცვალა. მისი ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო გენერალურ შტაბთან. გიგი კალანდაძემ დაიწყო თვითნებური მოქმედებები, შეიცვალა ტერიტორია და გადაინაცვლა სხვა სექტორში, რომელიც არ იყო ბრძანებაში მითითებული.

– თუ ბრძანებაში მითითებულ სექტორს ბომბავდნენ და ხალხი ეღუპებოდა, აბა როგორ უნდა მოქცეულიყო?

– შეეძლო, შენიღბვა გაეკეთებინა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გადასულიყო სხვა ქვედანაყოფისთვის განსაზღვრულ სექტორში.

– გიგი კალანდაძე აცხადებს, რომ ამ ბრძანებაზე ხელმონერა მისი არ არის...

– ამას გამოძიება დაადგენს. გიგი კალანდაძე ბევრ რამეს ამბობს და უარყოფს, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ ის არის არშემდგარი ოცმეთაური, რომელიც ამოფარებული იყო სამხედრო მუნდირს და მთელი თავისი პირადი შემადგენლობა გამოიყენა საკუთარი პირადი ცხოვრების საკეთილდღეოდ. მან პასუხი უნდა აგოს ყველა იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინა, დაწყებული მეოთხე ბრიგადის მეთაურობიდან, დამთავრებული გენერალური შტაბის უფროსობამდე. ქურდი ოდესმე იტყვის, რომ ქურდია? ან მკვლელი აღიარებს, რომ მკვლელია? არც გიგი კალანდაძე იტყვის, რომ დამნაშავეა რამეში. მაშინ ვის დავაბრალოთ? ვისი მეშვეობით ჩაუვარდათ რუსებს მეოთხე ბრიგადის ბრძანება? გოგავას (გენერალური შტაბის მაშინდელი უფროსი. – მ.ნ.) მეშვეობით? იქნებ სააკაშვილის მეშვეობით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოძიების პრეროგატივაა.

– გამოძიებას უკვე აქვს ეს დოკუმენტი?

– გამოძიებას მარტო ეს კი არა, სხვა უამრავი დოკუმენტი აქვს. ასე რომ, გიგი კალანდაძეს მოუნევს პროკურატურის წინაშე პასუხის გაცემა, ვისი ხელმოწერაა ამ ბრძანებაზე და საიდან აღმოჩნდა ეს რუსების ხელში. გამოძიებას უკვე აქვს კითხვები ამასთან დაკავშირებით.

– მაგრამ გიგი კალანდაძე ამ თემაზე არავის დაუბარებია შესაკითხად...

– პროკურატურაში ძალიან მალე დაუძახებენ გიგი კალანდაძესაც, გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, გოგავასაც, დაპატიმრებულ კეზერაშვილსაც დაკითხავენ ამასთან დაკავშირებით, და სააკაშვილსაც. სავარაუდოდ, ეს დეკემბერში მოხდება.

– რაც შეეხება კითხვას, ვისგან შეიძლებოდა გასულიყო ბრძანება, რომელიც მალევე აღმოჩნდა მოწინააღმდეგის ხელში: ირკვევა, რომ შექმნილია ამ ბრძანების 7 ეგზემპლარი. გამოდის, რომ, სულ მცირე, 7 ადამიანისგან შეიძლებოდა ის გასულიყო...

– ჩამოგითვლით 7 პასუხისმგებელ პირს: მთავარსარდალი, გენერალური შტაბის უფროსი, ოპერატიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ბრიგადის მეთაური, ბრიგადის შტაბის უფროსი, ბრიგადის ოპერატიული სამსახურის უფროსი, ბატალიონის მეთაური. ამ ადამიანებში უნდა გაირკვეს, რომელი იყო რუსეთის აგენტი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიდი „რაზბორკები“ ნაციონალებში

გიგა ბოკერია პოლიტიკური მდივანი ხდება, გიორგი ვაშაძე პარტიას ტოვებს, ვანო მერაბიშვილი პარტიას ციხიდან მართავს...

გიორგი ვაშაძე და მიხეილ მაჭავარიანი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ

ნინო დათაშვილი

„ნაციონალურ მოძრაობაში“ უახლოეს მომავალში მკვეთრი გადაადგილებებია მოსალოდნელი. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის პოლიტიკურ მდივნად უშიშროების ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია ინიშნება. მერაბიშვილის დროებით შემცვლელად პოლიტსაბჭომ უკვე დაასახელა პარტიის აღმასრულებელი მდივანი მიხეილ მაჭავარიანი. ერთი სიტყვით, „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო ბევრი ჭორი თუ ჭორს ამოფარებული სიმართლე ტრიალებს. უკვე დიდი ხანია პარტიაში არსებულ დაძაბულობებზე საუბრობენ. თავად პარტიის წევრები ამას უარყოფენ. გავრცელებული ინფორმაციით უახლოეს პერიოდში პარტიას გიორგი ვაშაძე დატოვებს. ვაშაძეზე იმასაც ამბობენ, რომ ის გენერალური მდივნის პოსტზე განიხილებოდა.

უმცირესობაში ამბობენ, რომ უახლოეს მომავალში „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭო პარტიის ახალ მდივნებს აირჩევს. მდივნობისთვის გიგა ბოკერიასთან ერთად ირმა ნადირაშვილიც ემზადება. მოსალოდნელ გადაადგილებებზე ისინი ღიად არ საუბრობენ. დაზუსტებით მხოლოდ იმას ამბობენ, რომ გენერალური მდივნის პოსტზე კვლავ ვანო მერაბიშვილი იქნება და მისი შემცვლელის საკითხი „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ განიხილება.

ირმა ნადირაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა გიგა ბოკერია აირჩიონ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ მდივნად. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

- არ ვიცი. ვერ გეტყვით. ჯერ გიგა ბოკერიამ უნდა გამოთქვას სურვილი, უნდა თუ არა პოლიტიკური მდივნობა.

- იმ შემთხვევაში თუ მან გამოთქვა სურვილი პოლიტსაბჭო მხარს დაუჭერს?

- წინასწარ ვერ გეტყვით. თუ ბოკერია გამოთქვამს სურვილს, რომ ის იყოს ჩვენი პარტიის პოლიტიკური მდივანი, მაშინ პოლიტსაბჭო გადაწყვეტს იქნება თუ არა ბოკერია ამ თანამდებობაზე.

- პოლიტსაბჭომ უკვე დანიშნა გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებლად მიხეილ მაჭავარიანი. რამდენი ხმა მიიღო მან სხდომაზე? ხმები როგორ გადანაწილდა?

- სულ ორმოცი ადამიანი მონაწილეობდა პოლიტსაბჭოს სხდომაზე და ორმოცივემ მხარი მიხეილ მაჭავარიანს დაუჭირა.

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ გენერალური მდივნის პოსტზე გიორგი ვაშაძე განიხილებოდა...

- არ არის ეს ინფორმაცია სწორი.

- ამბობენ, რომ შესაძლებელია გიორგი ვაშაძემ „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვოს...

- მე არ გამიგია მსგავსი არაფერი და ვაშაძეს ჰკითხეთ აპირებს თუ არა წასვლას.

- ზოგადად რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ „ნაციონალურ მოძრაობაში“?

- რა თქმა უნდა, პოლიტსაბჭომ უნდა აირჩიოს ახალი მდივნები ახალი სტრუქტურის შესაბამისად, მაგრამ ეს ახლა არ მოხდება. ეს ყველაფერი დაახლოებით ორ კვირაში გაირკვევა.

- ვანო მერაბიშვილი დარჩება პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე ?

- გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი გენერალური მდივანი ციხეშია და ყოველდღიურ საქმიანობას ვერ ახორციელებს, მის მოვალეობას მაჭავარიანი შეასრულებს. თუმცა მერაბიშვილი კვლავაც გენერალურ მდივნად რჩება.

- ამბობენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაძაბულობაა...

- სასაცილოა ეს ინფორმაცია. მსგავსი არაფერი ხდება.

მართალია ირმას ეცინება, მაგრამ ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობის გარშემო ბევრ ამბებს ჰყვებიან. იმდენად, რომ ამ დღეებში შაშკინმაც კი გააკეთა განმარტება და თქვა, რომ ახალაიასა და მერაბიშვილს შორის დაპირისპირება და დაძაბულობა იმ მარტივი მიზეზით არ იქნებოდა, რომ ახალაია პოლიტიკური ფიგურა არ იყო.

როგორც ამბობენ, დაძაბულობა რჩება, თუმცა, მხარეებმა, ანუ ახალაია მერაბიშვილმა, საერთო ენა მაინც გამოძებნეს. ამიტომაც, ახლა ახალ თაობაზე ბერკეტების გადაცემის პროცესი შეფერხდა. გიორგი ვაშაძე, რომელსაც მერაბიშვილი უნდა ჩაენაცვლებინა, მას აღარ ჩაანაცვლებს. ითქვა, რომ ვანო მერაბიშვილი პარტიას ციხიდანაც კარგად მართავს, ორგანიზაციულ საკითხებს კი მიხეილ მაჭავარიანი მოაგვარებს.

დავით დარჩიაშვილი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრი:

- გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა გიგა ბოკერია აირჩიონ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ მდივნად. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?

- ვერ გეტყვით. მსგავსი არაფერი გამიგია.

- რაც შეეხება გენერალური მდივნის პოსტს, ამბობენ, რომ გიორგი ვაშაძე განიხილებოდა ამ პოსტზე...

- არ ვიცი საიდან ვრცელდება ეს ინფორმაციები. „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭომ უკვე აირჩია გენერალური მდივნის დროებით შემსრულებლად მიხეილ მაჭავარიანი. ის პოლიტსაბჭომ ერთხმად აირჩია.

- ეს დროებით, მაგრამ გენერალური მდივნის შეცვლის საკითხი განიხილება?

- გენერალური მდივნის შეცვლის საკითხი „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ განიხილება. ამ პოსტზე კვლავ ვანო მერაბიშვილი რჩება, რადგან მიგვაჩნია, რომ სამართლის პრინციპების საწინააღმდეგოდ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ადამიანია. ის არის პოლიტიკური ანგარიშსწორების მსხვერპლი. მისი წინასწარი პატიმრობა არანაირად არ საბუთდება.

- ამბობენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ დაძაბულობაა...

- დაძაბულობა ნამდვილად არ არის. აზრთა სხვადასხვაობა და ცხარე კამათი ყოველთვის არის...

- შესაძლოა, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ახალი სახეები გამოჩნდნენ?

- ეს არის გახსნილი პარტია და ყოველთვის შეიძლება ვიღაც ახალი მოვიდეს და თავი დაიმკვიდროს როგორც ლიდერმა. გარკვეული ახალი ადამიანები, ახლაც არსებობენ, მაგალითად, ვაშაძე, ზურაბ ჯაფარიძე და სხვები...

- ვაშაძე ახსენეთ, ამბობენ, რომ ის პარტიას დატოვებს...

- არ ვიცი. მე არ გამიგია ასეთი არაფერი. ეს უნდა ვაშაძეს ჰკითხოთ. მსგავსი მისგან არაფერი მომისმენია.

- როგორ ფიქრობთ, დღევანდელი გადმოსახედიდან „ნაციონალურ მოძრაობას“ რებრენდინგი სჭირდება?

- მე პროფესიით ისტორიკოსი ვარ და როგორც ისტორიკოსს დიდი რებრენდინგები დიდად არ მხიბლავს. რაც შეცდომა იყო იმას თვალი უნდა გავუსწოროთ და რაც წარმატება იყო ის უნდა შევინარჩუნოთ.

ერთხმად აირჩიეს, თუმცა, ამ არჩევას დიდი კულუარული გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ამბობენ, რომ მაჭავარიანისა და ვაშაძის მომხრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. სერიოზული გაწევ-გამოწევა იყო პარტიაში. თუმცა, ვაშაძე უმცირესობაში აღმოჩნდა, ამიტომაც ახლა და დროებით, ბედს დაემორჩილა. ვნახოთ, რას იზამს მომავალში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი თარგამაძე პოლიტიკიდან მიდის

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ტელევიზია თუ ამერიკა – „ქდმ“-ს ლიდერის არჩევანი

EXCLUSIVE

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლის დროს დადებული ორივე პირობა შეასრულა: მიხეილ სააკაშვილი არჩევნების გზით „გადააყენა“ და მეორე, შუა გაკრიფა. პოლიტიკა დატოვა კობა დავითაშვილმა, ტოვებს გიორგი თარგამაძე და გადარჩენის დაბალი შანსები აქვს ჯერჯერობით ნინო ბურჯანაძეს.

გიორგი თარგამაძე მეორე წრეზე აპირებს წასვლას, ოღონდ ერთი განსხვავებით. ის პოლიტიკიდან ერთხელ უკვე წავიდა ჟურნალისტიკაში. ამჯერად ის არჩევანის წინაშე დგას: ან ტელევიზია, ან ამერიკა... როგორც ამბობენ, გიორგი თარგამაძე უფრო შტატებისკენ იხრება. რა მიზნით აპირებს ამერიკაში გამგზავრებას, ამაზე ხმამაღლა ჯერ არავინ საუბრობს. თუმცა პარტიაში რომ ცვლილებებს ელოდებიან, ამას არავინ უარყოფს. ლევან ვეფხვაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში პარტიაში სხდომა გაიმართება და სწორედ იქ განიხილავენ თავმჯდომარის მოსაზრებებს...

ლევან ვეფხვაძე, „ქრისტიანდემოკრატიული მოძრაობა“:

– ვერაფერს დაგიდასტურებთ, ზოგადად პოლიტიკიდან წასვლა-არწასვლაზე ვერაფერს გეტყვით. გიორგის ჰქონდა მოსაზრებები პარტიული რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც მე პირადად, სიმართლე გითხრათ, არ გავიზიარე. ამ შემთხვევაში პარტიული შეკრება ჩატარდება და კონკრეტულ გადაწყვეტილებას მივიღებთ. სანამ შეკრება იქნება, იქამდე ვერაფერს გეტყვით.

– რეორგანიზაციის შემდეგ რა შეიძლება შეიცვალოს?

– გიორგის აქვს მოსაზრებები, შეიძლება გარკვეული განახლება მოხდეს პარტიაში, მათ შორის ლიდერთან დაკავშირებითაც, თუმცა ეს ჯერჯერობით მისი მოსაზრებებია, ამ ყველაფერზე საუბარი იქნება მთავარ კომიტეტზე.

– როდისთვის ჩატარდება შეკრება?

– ეს ჩატარდება უახლოეს პერიოდში, ზუსტად როდის, ამას ვერ ვიტყვი.

– ანუ გიორგი თარგამაძეს უნდა პოლიტიკიდან წასვლა, თუმცა მისი პარტია ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას?

– მას უნდა პოლიტიკიდან წასვლა – ასე ვერ ვიტყვი, საკითხი ასე ჯერჯერობით ნამდვილად არ დგას. უფრო შემდეგი კითხვა ისმის – იქნება თუ არა გიორგი პარტიის თავმჯდომარე.

– თუ თავმჯდომარეობას დატოვებს, მას შემდეგ მიიღებს მონაწილეობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში?

– გითხარით, რომ მას აქვს თავისი მოსაზრებები პროფესიულ მომავალთან დაკავშირებით, ბუნებრივია, პარტიაში დისკუსიის შემდეგ რაღაც კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მივალთ, მაგრამ ამ შემთხვევაში შეთანხმებულები ვართ, რომ საერთო შეთანხმების გარეშე გიორგი ცალმხრივ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

ბუნებრივია, პარტია მოღვაწეობას მომავალშიც გააგრძელებს და როგორც ამბობენ, გიორგი თარგამაძის ადგილმონაცვლე, სავარაუდოდ, გიორგი ახვლედიანი გახდება. თარგამაძის პოლიტიკური კარიერა საპრეზიდენტო არჩევნებში 1,6%-იანი შედეგით დასრულდა. ძალას, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში ბევრად მეტს იღებს და ერთ-ერთ მთავარ ოპოზიციად ითვლება, ოთხწლიანი საპარლამენტო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივია, საპრეზიდენტო არჩევნებზე ბევრად მაღალი ციფრის მოლოდინი ჰქონდა.

ლევან ვეფხვაძე: „კითხვა ასე დგას – იქნება თუ არა გიორგი პარტიის თავმჯდომარე“

შედეგმა გიორგი თარგამაძეზე ზუსტად ისევე იმოქმედა, როგორც კობა დავითაშვილზე. დავითაშვილმა საკუთარი გადაწყვეტილება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ რამდენჯერმე მიიღო და შემდეგ შეცვალა, თუმცა საბოლოოდ საკუთარ 0,6%-იან მხარდამჭერებს მაინც გამოემშვიდობა.

კობა დავითაშვილი, დეპუტატი:

– მივდივარ ქართული პოლიტიკიდან, აღარ გავმართავ ბრიფინგებს, არ მივიღებ კენჭისყრაში და პოლიტიკურ თოქშოუებში მონაწილეობას. როდესაც პოლიტიკაში ჩავერთე, ეს იყო 25 წლის წინათ, მაშინ იდეალიზმი პოლიტიკაში იყო ძალიან მაღალი. დღეს ფინანსების გარეშე პოლიტიკაში ყოფნა, პრინციპში, შეუძლებელია. საზოგადოება პოლიტიკას აღიქვამს, როგორც დასაქმების საშუალებას. ქართული პოლიტიკა ბიზნესად იქცა, მე არ ვარ ბიზნესმენი და წარმატების იმედიც არ მაქვს, ამიტომ მივიღე ეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება პარტიას, ამას ჩემი კოლეგები გადაწყვეტენ.

დავითაშვილი დაპირებას ასრულებს. ის არც კონტაქტზე გამოდის და თავს მთლიანად თავისუფლად გრძნობს. ის პარლამენტართა იმ სიას შეემატა, რომლებიც არაპოლიტიკოსებად ითვლებიან. შესაბამისად, დეპუტატი აცხადებს, რომ აღარც ოპონენტი ჰყავს და აღარც ვალდებულება აქვს, ვინმეს გაუწიოს ანგარიში.

„საზოგადოებას ვერ ვხედავ, რომ მას ანგარიში გავუწიო“, – როგორც ჩანს, დავითაშვილი საკუთარ ამომრჩეველზეც გაბრაზებულია. თუმცა 0,6% იმ პარტიისთვის, რომელსაც ერთკაციან პარტიას უწოდებენ, არც ისე ცუდი შედეგია. მით უფრო მაშინ, როცა იმავე არჩევნებში ოლიგარქის საკუთარი გუნდი გესპარინგება. თუმცა დავითაშვილისთვის ყველაზე დიდი პოლიტიკური უბედურება სალუაშვილის უფრო მაღალი რეიტინგი იყო. კობა დავითაშვილის 25-წლიანი მოღვაწეობა სალუაშვილმა უკან ჩამოიტოვა და ერთპროცენტიან კანდიდატებს აჯობა კიდეც. როგორც ჩანს, ამ დეტალმაც იმოქმედა დავითაშვილზე, რადგან არჩევნებამდე საათებით ადრე ის საბრძოლო განწყობაზე უფრო იყო და ყოფილ თანაგუნდელებსაც უპირისპირდებოდა. დავით საგანელიძის შეხსენებას, 3%-ის ვერმიღების შემთხვევაში პოლიტიკა დაეტოვებინა, დავითაშვილი პროტესტით შეხვდა, მართლა ვაპირებდი წასვლას, თუმცა საგანელიძის განცხადებამ გადამაფიქრებინაო...

კობა დავითაშვილი:

– მსგავსი რამ მართლაც ვთქვი, თუმცა, როგორც ჩანს, უმრავლესობაში ჩემი პოლიტიკოსობა ზოგიერთებს ნერვებს უშლის. ამიტომ არსად არ ვაპირებ წასვლას და ვიქნები პოლიტიკაში, ვერასდროს ვერ ვიტანდი საგანელიძისნაირ პოლიტიკოსებს და მთელი ცხოვრება მათ ვებრძოდი...

ამ სიტყვების შემდეგ დავითაშვილმა ჯერ საარჩევნო მარცხი განიცადა და კიდევ მოგვიანებით საკუთარი გადაწყვეტილებაც რადიკალურად შეცვალა. დღევანდელ პარლამენტს მყვირალა დეპუტატი, დავითაშვილის სახით, ნამდვილად გამოაკლდა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სიკეთის“ მატერიალიზაციისა და სიკე

არჩილ გამზარდია
საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი

როგორია „სიკეთის“ მატერიალიზაცია ან სიკეთის „უფლება“ საქართველოში? აქვს თუ არა მას ექსკლუზივები? სავალდებულოა შეთავაზებული პარტნიორობა? რამდენ ჯგუფს მოსდის თანაბარი იდეა ერთსა და იმავე საკითხზე და რა კრიტერიუმებით უნდა შევარჩიოთ თანამოკავშირეები ღონისძიების მართვისას?

„სოციალური ობიექტი უნდა წარმოადგენდეს სოციალური შედეგის მიღწევის მთავარ მოტივატორს, მასზე უნდა იყოს მორგებული შედეგი, დაუშვებელია სოციალური ობიექტის ინსტრუმენტად გამოყენება სოციალური პროექტების მართვაში, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე მიზნობრივ მარკეტინგთან, რომელსაც სხვა შედეგები აქვს და სხვა მოტივატორი“

რას მოიცავს „სიკეთის“ ქმნადობა? შედის თუ არა „სიკეთის“ ქმნადობის სივრცეში რომელიმე მხარის დისკრედიტაცია და საერთოდაც, რა არის სიკეთე თანამედროვე ქართველი „უფლებადამცველების“ განზომილებაში? შედეგი თუ ინსტრუმენტი?

ეს არის შეკითხვები, რომლებიც ბოლო პერიოდში ჩნდება საზოგადოებაში... გარკვეული ნაწილი აღშფოთებულია საპატრიარქოს ხისტი პასუხებით, გარკვეული ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებებით და ა.შ. ზოგადადაც, საინტერესოა, რატომ ხვდება ყურადღების ცენტრში ათასობით ორგანიზაციიდან ერთი კონკრეტული და როგორ ფასდება ზოგიერთი ჯგუფისგან ნებისმიერი წინააღმდეგობა ან კრიტიკა?

მიუხედავად იმისა, რომ 17000 ორგანიზაციიდან, „ის“ ერთ-ერთია, დღეს საკმაოდ პერსონიფიცირებულ და ანგარიშგასაწევ ორგანიზაციად ითვლება ერთ-ერთი მათგანი, სახელწოდებით „იდენტობა“... მოცემულ ორგანიზაციას უკავშირდება ბოლო პერიოდის საქართველოში არაერთი სკანდალური მოვლენა, რომელზეც არაერთი საუბრობს, მაგრამ რომლის შედეგებზეც მსჯელობა ნაკლებად მიმდინარეობს. ერთ-ერთი ამგვარი, იდენტობის ბოლო „მოწადინება“ გახლავთ, რომელიც უსახლკაროებისთვის თავშესაფრის აშენების იდეას ეხება, რომლის შესახებაც ორგანიზაციამ პარტნიორობისთვის მიმართა საქართველოს საპატრიარქოს, მოითხოვა რა ექსკლუზიური უფლება, რომ მსგავს შეთავაზებებში ყველანაირი შერჩევისა თუ საპროექტო განაცხადის შესწავლის გარეშე დაფინანსება მხოლოდ „იდენტობას“ მიეღო... უარის მიღების გამო კი, როგორც სხვა დანარჩენ შემთხვევებში, ძალისხმევა საპატრიარქოს ლანძღვა-გინებისკენ მიმართა და ბრალი, როგორც სხვა შემთხვევებში, „საპატრიარქოს ანტიქრისტიანობაში“ დასდო.

საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციისა და მათი წარმომადგენების შესახებ ინფორმაცია ფართოდაა გავრცელებული, თუმცა, არ შესწავლილა მათი ორგანიზაციის საზოგადოებაში გაწეული პროცესების მიღწეული შედეგები. საზოგადოებამ არ იცის, რა კრიტერიუმებით შეიძლება შეაფასოს ამა თუ იმ ორგანიზაციის მოღვაწეობა მათი იმიჯისა თუ საჭიროების შესახებ ან მათი სამოღვაწეო შეფასების შესახებ.

რა ვიცით „იდენტობის“ შესახებ?

მათივე ვებ გვერდი კონკრეტულ მიზნებს გვამცნობს:

1. განსხვავებული იდენტობის მქონე ადამიანთა და ჯგუფების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და სიძულვილის ენის მიზეზების კვლევა და აღმოფხვრისკენ მიმართული კამპანიის წარმოება;

2. ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) პირთათვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში. მათი ინფორმირებულობის გაზრდა და ჯანსაღი სქესობრივი ცხოვრების წესის გავრცელების ხელშესაწყობად;

3. ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის გამოვლენა, შესწავლა და აღკვეთა;

4. ზოგადი, ინსტიტუციონალიზებული და ინტერნალიზებული მიზოგინიის (ქალების მიმართ სიძულვილის) და ჰომოფობიის დაძლევა;

5. ბავშვებისა და მოზარდების, განსაკუთრებით, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების მიმართ არსებული დისკრიმინაციის გამოვლენა, შესწავლა და აღკვეთა; მათთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში; მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება;

6. განსხვავებული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის გამოვლენა, შესწავლა და აღკვეთა; მათთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში; მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება;

7. აგრესიული ეთნონაციონალიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემის, ასევე სეკულარული წყობის წინაშე არსებული გამოწვევების მიზეზთა კვლევა, ამ საკითხებზე საზოგადოების სწორი ინფორმირება;

8. რომა (ბოშათა) ჯგუფის არსებული დისკრიმინაციის გამოვლენა, შესწავლა და აღკვეთა; მათთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა და მათი ინტეგრაცია საზოგადოებაში; მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე საზოგადოებისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

ამ მიზნების შესწავლით შეიძლება დავადგინოთ, რომ ორგანიზაციის მიზნობრივ და შესაბამისად, სამოღვაწეო მიზნებში შედის საზოგადოების სპეციფიკურ ჯგუფთა მიმართ გამოხატული სიძულვილის თუ აგრესიის შესწავლა, საზოგადოების ინფორმირება მათივე ინტეგრირების მიზნითა და საბოლოო ჯამში, ამ ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრირების მიღწევა. მიზნების სივრცე მოიცავს რამდენიმე ძირითად კომპონენტს, რომელიც პირველ ეტაპზე საზოგადოებრივი შრეების დაცვას გულისხმობს „დისკრიმინაციისგან“, „აგრესიისგან“, „ძალადობისგან“ და „არათანაბარი“ პირობებისაგან. მეორე ეტაპზე კი ამავე შრეების ინტეგრირების მაჩვენებლების ზრდაზეა ორიენტირებული, მათი სრულფასოვანი სტატუსის მისაღწევად.

მიზნების ფორმულირება შესაძლოა სადავო იყოს, თუმცა, ნებისმიერი ჩვენგანი ამ მიზნობრივ საზომებს („დისკრიმინაციას“, „აგრესიას“, „ძალადობას“) ბუნებრივია, ლოგიკური წინააღმდეგობით ვხვდებით, რამდენადაც ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, რომელშიც სახელმწიფო ცნობს ადამიანს და ადამიანის უფლებას იყოს დაცული და რეალიზებული.

საინტერესოა, თავად „იდენტობის“ რეალური მოღვაწეობა რამდენად შეესაბამება თავისივე დეკლარირებულ მიზნებსა და რამდენად უნდა იყოს ის აღქმული საზოგადოებაში იმ პოზიტიურ და „კეთილშობილ“ ჯგუფად, რომელიც „შევიწროებების“ მიუხედავად, განაგრძობს სვლას „ადამიანების უფლებებისათვის“...

„სოციალური ინტერესები არ შეიძლება იყოს მიმართული ვისიმე წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ ყველას უფლების აღიარებითა და პოზიტიურ ველში დაახლოებით“

უპირველესი, რაც თვალში გვხვდება ამ მიზნების გაცნობისას, ვხვდებით, რომ ამ ორგანიზაციის მიზნებში არ შედის წმინდა წყლის სოციალური თუ საქველმოქმედო აქციები, რომელიც ელემენტარული სოციალური საჭიროებების სივრცეში შედის, რამდენადაც უფლებობრივი სივრცე ადამიანური „საჭიროებების“ ზედა მაჩვენებლებში შედის და არა პირველადი დონის საჭიროებებში. ამდენად, „იდენტობის“ უკანასკნელი ინიციატივა თავისთავად ვერ შედის მათ მიზნობრივ სივრცეში, შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა, თუ „იდენტობისთვის“ მსგავსი ღონისძიებები („სოციალური სახლები“, „თავშესაფრები“, „მატერიალური მხარდაჭერა“) სამოღვაწეო მიზნების გარეთაა, მაშინ რა ინტერესი აქვს ორგანიზაციას ამ იდეასთან მიმართებაში?

ამის გააზრება რთული არაა, „იდენტობის“ მოტივაცია ორი მიმართულებითაა განპირობებული, ერთი, ეს არის მიზნობრივი მარკეტინგის პრინციპით საკუთარი სერვისების გაყიდვის პერსპექტივა, მეორე მხრივ კი სრულიად სხვა, კონკრეტულ ინსტიტუციათა დისკრედიტაციის მიღწევა, რთული არ არის ამ „სადისკრედიტერებელ“ ინსტიტუციაში ეკლესია ამოვიკითხოთ. ჩნდება შეკითხვა, რატომ უნდა მიმდინარეობდეს ღონისძიებათა მართვა არამიზნობრივი მიმართულებით? ამის პასუხი თავად „იდენტობის“ საზოგადოებრივი პროცესების შეფასებით შეგვიძლია მივიღოთ...

1.ორგანიზაციის მიერ ვერმიღწეული ფაქტობრივი შედეგები - სამიზნე ჯგუფები (უმცირესობები) არათუ ინტეგრირებულია საზოგადოებაში, არამედ კიდევ უფრო მოწყვლადია, კიდევ უფრო დისკრიმინირებული ამ ორგანიზაციის საქმიანობის წყალობით. ეს ფაქტობრივი მოცემულობაა. მეორე მიმართულების შედეგებად, იდენტობისათვის არასასურველი ჯგუფების მიმართ გამოხატული ნეგატიური საიმიჯო კამპანიის შედეგებია, არაერთი ფაქტობრივი მოცემულობაა მათთვის არასასურველი ჯგუფების დისკრედიტაციული ივენთებით წარმოდგენილი მოცემულობები. 2. იდენტობის მიღწეული ფაქტობრივი შედეგები - გაზრდილია ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ცნობადობის კოეფიციენტი, გაზრდილია მათი ორგანიზაციული რესურსები, პერსონიფიცირებულია კონკრეტული პირები და ა.შ.

მხოლოდ ეს ორი გარემოებაც მარტივად აჩვენებს, რომ ორგანიზაცია მოქმედებს სამიზნე ჯგუფების წინააღმდეგ, სამაგიეროდ, პირად ზრახვებს უკეთ აღწევს, ამას ან არაკვალიფიციური საქმიანობა იწვევს, ან თაღლითური და ყალბი... იდენტობის მესვეურებს არაკვალიფიციურებს ვერ ვუწოდებთ.

უმნიშვნელოვანესი საკითხია თუ როგორ განიხილავს სინამდვილეში „იდენტობა“ იმ ჯგუფებს, რომლებზედაც საკუთარ მისიაში დეკლარირებს. ინფორმაციისათვის, ივენთ მენეჯმენტში არსებობს რამდენიმე ძირითადი მაჩვენებელი, რომელიც საზოგადოებრივი პროცესების მართვაში თანამონაწილეობს, ამ მხრივ, რთული არ ხდება სხვადასხვა ღონისძიებების მართვის მეთოდიკის ანალიზით დავადგინოთ ღონისძიების მოტივაციასა და შედეგს შორის კავშირი. რამდენადაც უფლებადამცველობითი სივრცე სოციალური პროცესების მართვის სივრცეა, განვმარტავ, რომ:

1. სოციალური ობიექტი უნდა წარმოადგენდეს სოციალური შედეგის მიღწევის მთავარ მოტივატორს, მასზე უნდა იყოს მორგებული შედეგი, დაუშვებელია სოციალური ობიექტის ინსტრუმენტად გამოყენება სოციალური პროექტების მართვაში, მაშინ ჩვენ გვაქვს საქმე მიზნობრივ მარკეტინგთან, რომელსაც სხვა შედეგები აქვს და სხვა მოტივატორი.

მარტივად რომ ვთქვათ, „იდენტობის“ სამიზნე ჯგუფები უნდა წარმოადგენდნენ სოციალურ ობიექტებს და მათი მიზნობრივი საზომებით უნდა იყოს მიღწეული საზოგადოებრივი პროცესების შედეგები, მაგალითად, მოხდეს მათ მიმართ ტოლერანტობის მაჩვენებლის ზრდა, მათი ინტეგრირების მაჩვენებლების ზრდა და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „იდენტობის“ მიერ განხორციელებული საზოგადოებრივი პროცესების შედეგს საზოგადოებაში ამ ჯგუფების არა თუ ინტეგრირების ხარისხი არ გაზრდილა, არამედ უარესი, მათი მოწყვლადობის ხარისხი გაიზარდა, თავად უმცირესობების საზოგადოებრივი მდგომარეობა კი ბევრად უფრო დასუსტდა, ამის პარალელურად, საეჭვოდ გაიზარდა ამ ორგანიზაციის ცნობადობის მაჩვენებელი, რაც მათი წარმომდგენი პირების ინტერესებში შედის, ის ქმნის, პერსონალიების ცნ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE

„თუ საზოგადოებრივი პროცესები დისჰარმონიული მეთოდოლოგიით იმართება, მაშინ ჩვენ ვცდებით უფლებადამცველობით სივრცეს და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯგუფების ძალაუფლებისათვის ბრძოლას ვიღებთ, სადაც სამიზნე ჯგუფები ბრძოლის ველს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ბრძოლის შედეგობრივ მოტივაციას“

რა არის სიკეთე თანამედროვე ქართველი „უფლებადამცველების“ განზომილებაში? შედეგი თუ ინსტრუმენტი?

ობადობის ფართო ველს, ასევე ფინანსური მოზიდვების ფართო ველს. მიზნობრივი ჯგუფები ამ ორგანიზაციებისათვის წარმოდგენილია, როგორც ინსტრუმენტები, რაც საზოგადოებრივ პროცესებს მამოტივირებელი გარემოს შესახებ მეტყველებს და სოციალური შედეგების ნაცვლად მიზნობრივი მარკეტინგის მეთოდს ავლენს, რომელიც, როგორც ვხედავთ ისევ და ისევ მათი სამიზნე ჯგუფების წინააღმდეგ არის მიმართული.

2. სოციალური პროცესების მართვის საზოგადოებრივი ურთიერთობების მეთოდები განეკუთვნება ე.წ. PR მეთოდებს, ისინი აგებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ჰარმონიზაციის ელემენტებზე და არ უნდა მიმდინარეობდეს ვინმეს შევიწროებისა თუ დისკრიმინაციის ფონზე, რაც პროპაგანდისტული კომუნიკაციის მეთოდებს წარმოადგენს. თუ საზოგადოებრივი პროცესები დისჰარმონიული მეთოდოლოგიით იმართება, მაშინ ჩვენ ვცდებით უფლებადამცველობით სივრცეს და მხოლოდ საზოგადოებრივი ჯგუფების ძალაუფლებისათვის ბრძოლას ვიღებთ, სადაც სამიზნე ჯგუფები ბრძოლის ველს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე ბრძოლის შედეგობრივ მოტივაციას.

ეს ნიშნავს შემდეგს, რომ ამგვარი პროცესების მართვა უკავშირდება საზოგადოებრივი ჯგუფების თანაცხოვრებისა და ჰარმონიზაციის მიღწევას, მაგალითად, სხვა აღმსარებლობისა თუ ძირითადი მოსახლეობის აღმსარებლობის ურთიერთპატივისცემის მიღწევას; ჰომოსექსუალთა (და არამხოლოდ) და ჰეტეროსექსუალთა ერთ საზოგადოებრივ სივრცეში არსებობას, ერთმანეთის აღიარებასა და პატივისცემას; მცირე საზოგადოებრივი ჯგუფების ფასეულობებისა და ნორმების შეხამებას ფართო საზოგადოებრივი ჯგუფების ნორმებსა და ფასეულობებთან და ა.შ.

„იდენტობის“ მახასიათებლებით ჩვენ ადვილად ვხვდებით, რომ საქმე გვაქვს არა აღიარების, პატივისცემისა და ჰარმონიზაციის პროცესთან, არამედ არაღიარების, უპატივცემულობისა და დისჰარმონიის მიღწევასთან. სამწუხაროდ, რასაც იდენტობა აკეთებს დღემდე, არც ერთ საზომში არ ჯდება, ყველა სამიზნე ჯგუფი ბევრად უფრო დაუცველი გახადეს, ვიდრე იყვნენ. მათი ძალისხმევა მიმართულია უმრავლესობის ფასეულობებისა და ნორმების მიმართ დისკრიმინაციული ქმედებებისკენ, რაც შესაბამის უკუკავშირს იწვევს. საერთო პროცესი კი მუდმივად პროვოკაციულ მაჩვენებელს იღებს, რასაც ჩვენ თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით.

3. ორგანიზაციის მოღვაწეობა აგებული უნდა იყოს სამიზნე ჯგუფების ინტერესების მიმართ სწორი საკომუნიკაციო სივრცის მართვის კუთხით. მესიჯები უნდა ემსახურებოდეს ურთიერთინტერესების გათვალისწინებით და მხოლოდ პოზიტიურ ველში, რადგან სოციალური ინტერესები არ შეიძლება იყოს მიმართული ვისიმე წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ ყველას უფლების აღიარებითა და პოზიტიურ ველში დაახლოებით.

ამ მხრივ, საინტერესო იქნებოდა, „იდენტობის“ თუნდაც მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი მესიჯის განხილვა, ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი. ამის თანახმად, „იდენტობის“ „ინიციატივა“ (აქვე, შევნიშნოთ, რომ მსგავსი ინიციატივები ძალიან ბევრ ჯგუფს აქვს დღესაც წარმოდგენილი, ამიტომ ფანდრაიზინგის პრინციპის მიხედვით, სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ავალდებულებდეს ეს კონკრეტული ორგანიზაცია მათი თანამონაწილე გახდეს თუნდაც საპატრიარქო და არა სხვისა, სპეციალური შერჩევისა და კონკურსის გარეშე, რაც სტანდარტულად ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევაში) თავშესაფრის გახსნის თაობაზე და მას მოყოლებული საზოგადოებრივი კამპანია. საპატრიარქოს მხრიდან უარის მიღების შემდეგ, „იდენტობა“ და სხვა მონათესავე არასამთავრობო ორგანიზაციები ერთხმად აწვდიან სიგნალებს: „ჩვენ სიკეთე გვსურს, ბნელი საპატრიარქო კი გვიკრძალავს“, „ჩვენ ვზრუნავთ ხალხზე, საპატრიარქო კი მხოლოდ აგრესიული ბანდაა“ და ა.შ.

განვიხილოთ, ამგვარი შეტყობინებების კონცეფცია, რომელიც პროპაგანდისტული კომუნიკაციების მეთოდოლოგიის ტიპური ნიმუშებია, აქ ყურადღება ექცევა სიტყვა-კლასიფიკატორებსა და მათი რეალიზაციის მეთოდებს... მაგალითად, „საწყალი ხალხი ზამთარში „კარდონებზე“ უნდა იყვნენ, საპატრიარქოს კი ეს არ ადარდებს“. ეს მესიჯი მოიცავს მასობრივი ცნობიერებისათვის მარტივად აღსაქმელ შეტყობინებებს („ჩვენ სიკეთეს ვცდილობთ“, „კარდონებზე ხალხს სძინავს“ და თურმე ახლაღა აღმოვაჩინეთ და სასწრაფოდ დავგეგმეთ გაუმართავი საივენთო სტანდარტებით გეგმა, „ჩვენ ყველაზე კარგები ვართ და გვავიწროებენ“ და ა.შ.), მეორე ნაწილი კი უკვე მადისკრედიტირებელი ტიპის შეტყობინებებს ეთმობა („ჩვენ გვიტევენ ბნელი (იგულისხმება საეკლესიო) ძალები), „ეკლესია“ სიკეთეების წინააღმდეგაა, ჩვენ კი აი, ასეთი კეთილშობილები ვებრძვით მათ უსამართლობას“ და ა.შ.)... ამ მესიჯებით ისინი ცდილობენ მოირგონ შევიწროებულისა და ჩაგრულის მანტია. ამ მეთოდს პროპაგანდისტიკაში „ბუმერანგის მეთოდს“ უწოდებენ და მისი მიზანია, რომელიმე ჯგუფის დისკრედიტაცია საკუთარი თავის მხვერპლად გასაღების გზით, ხშირ შემთხვევაში კი მსხვერპლი ამგვარი ორგანიზაციების მიერ ამოჩემებული პიროვნებები ან ორგანიზაციები არიან.

მეორე ნაწილი ამ კლასიფიკატორებით შედგენილი მესიჯებისა, სხვისი „სიბნელის“ ფონზე თავად „ნათლად“ გამოჩენაა. ესეც პროპაგანდისტული საკომუნიკაციო ტექნიკაა, კონტრასტის პრინციპი, თუ შექმნიან ილუზიას, რომ ზოგიერთი პირი „ბნელი“, მოძალადე და აგრესიული, ერთი სიტყვით, უარყოფითია, ეს ჯგუფები ავტომატურ რეჟიმში საპირისპიროდ წარმოსდგებიან.

ბევრი საუბარი შეიძლება დეტალურად, საერთო ჯამში კი შეგვიძლია შევაჯამოთ გარემოებები, რომ „იდენტობისა“ და სხვა არაერთი ე.წ. „უფლებადამცველი“ ორგანიზაციების ძირითადი მოღვაწეობა ეხება მხოლოდ თვითპრომოუტირებისა და მათი წარმომდგენი პერსონალიების პირად ინტერესებს, სადაც სამიზნე ჯგუფები გამოყენებულია მხოლოდ ინსტრუმენტებად, რომლითაც მხოლოდ საკუთარ წარმატებას აღწევენ, ამ ჯგუფების საზოგადოებრივ მდგომარეობას კი კიდევ უფრო მეტად ასუსტებენ, რათა მათი გამოყენების პერსპექტივა კიდევ მეტად ჰქონდეთ. რაც შეეხება სიკეთეს - „სიკეთე“ ეს მათთვის ასევე მხოლოდ ინსტრუმენტია, ადამიანური სისუსტეებისა და სენსიტივების ქვეცნობიერზე გათამაშებული, „სიკეთე“ თვითპრეზენტირების საშუალებაა ამ ორგანიზაციების მესვეურებისათვის... „სიკეთეც“ ინსტრუმენტია და არა შედეგი, თორემ, ბუნებრივია, სიკეთეზე ექსკლუზივები არავის დაუწესებია დედამიწაზე, არც ეკლესიისათვის, არც სხვა ორგანიზაციებისათვის და არც რიგითი ადამიანებისათვის. სიკეთე მშვიდი და პოზიტიური პროცესია, რომელსაც საქართველოში არაერთი ახალგაზრდული გაერთიანება თუ კონკრეტული ადამიანი ახორციელებს, სხვების დისკრედიტაციისა და აგრესიის გარეშე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დღეიდან დაჭერების ახალი ტალღა დაიწყება?!

რისი ეშინიათ ნაციონალებს და რა მოლოდინები აქვთ ანტინაციონალებს?

მარიამ ნადირაძე

ნურავის უკვირს, რომ მას შემდეგ რაც პრეზიდენტ მარგველაშვილის ინაუგურაცია შედგა, სააკაშვილს კვლავ პრეზიდენტად მოვიხსენიებთ, ვინაიდან საერთაშორისო დიპლომატიაში ყოფილი პრეზიდენტის ცნება არ არსებობს. ჰოდა, სადაც უნდა იყოს ის 17 ნოემბრის შემდეგ, კვლავ პრეზიდენტად რჩება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიმართ არაერთხელ დაანონსებული სისხლის სამართლის საქმე დაიწყება და მაშინაც, თუ მოხდება ყველაზე უკიდურესი რამ - ციხეში აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში მიღებული რეალობა ასე გაიჟღერებს - პრეზიდენტი ციხეში (?!)...

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, მთლად რეალისტურ პროგნოზად არ გამოიყურება, თუმცა არსებობენ ექსპერტები, რომლებიც კოაბიტაციის დასრულების კვალდაკვალ არც ამგვარ პერსპექტივას გამორიცხავენ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ დღეისთვის ყველაზე აქტუალური კითხვებია: რატომ ატარებდა ბოლო საპრეზიდენტო დღეებს სააკაშვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ? რატომ დაბრუნდა საქართველოში მისი თვითმფრინავი ცარიელი? დაბრუნდება თუ არა ის საქართველოში საერთოდ? ამ კითხვების პარალელურად გამოითქმება სავარაუდო თარიღებიც: ერთნი საკაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას დეკემბრისთვის პროგნოზირებენ, მეორენი ვილნიუსის სამიტს ელოდებიან და ამის შემდეგ განსაზღვრავენ მის მოსალოდნელ პერსპექტივებს, ზოგი კი თვლის, რომ სააკაშვილს არ დაიჭერენ და მის მიმართ მხოლოდ პროკურატურაში დაბარებით შემოიფარგლებიან...

რაკი პრეზიდენტის პერსპექტივებზე მითქმა-მოთქმა არ ცხრება, შესაბამისად გაცხარებული სჯა-ბაასია სხვა ნაციონალ თავკაცებზეც. მით უმეტეს, რომ ორი დღის წინ უშიშროების საბჭოს უკვე ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას განცხადებამ იმის თაობაზე, რომ მასობრივი რეპრესიები დაიწყება, მოსჯა-ბაასეებს საკმაოდ ნოყიერი „საკვები“ მასალ მისცა.

ამ კუთხით ეჭვების გამოთქმის საშუალება მოსალოდნელმა და უკვე დაანონსებულმა საკადრო ცვლილებებმაც გამოიწვია: საქართველოს უახლეს ისტორიაში ქვეყანას ეყოლება საკვანძო უწყებების პირველი პირები, რომელთა შესახებაც ფართო საზოგადოებას თითქმის არაფერი სმენია, გარდა იმისა, რომ ისინი მომავალი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის ნდობით აღჭურვილი პირები არიან. მიგვიხვდით ალბათ, რომ საუბარი გვაქვს მომავალ მთავარ პროკურორსა და შინაგან საქმეთა მინისტრზე. ამან, ბუნებრივია, გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია, ვინაიდან ფარცხალაძის შესახებ მხოლოდ რასმუსენის ვიზიტის დროს განხორციელებული სკანდალური დაჭერები გაახსენა საზოგადოებას, როდესაც ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ხელმძღვანელობდა, რაც შეეხება მომავალ შს. მინისტრ, ჭიკაიძეს, მხოლოდ ის ვიცით, რომ 28 წლისაა (?!). თუმცა, ფარცხალაძის გაპროკურორებასთან ერთად იზრდება ობმოდებული ფინანსური საქმეების გამოძიების მოლოდინი და თვლიან, რომ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების შემდეგ სწორედ ასეთი საქმეების გამოძიება გახდება პრიორიტეტული ახალ პროკურატურაში. სხვათა შორის, ახალი პროკურატურის ხსენებასთან ერთად გაცნობებთ, რომ ორთაჭალის ყველაზე რუხ ნაგებობაში მთავარი პროკურორის მოადგილეების კაბინეტებში ახალი პერსონების გამოჩენას ელოდებიან. პროკურატურის კულუარებში ცვლილებას ელოდებიან ქალაქის პროკურატურაშიც. შესაბამისად, იქ დაწყებული ყველაზე სკანდალური საქმეები - ჟვანიას, რობაქიძის, ვაზაგაშვილის და სხვები, ახალი პროკურორების ხელში გადაინაცვლებს.

თუმცა, მკითხველისთვის ამ ეტაპზე მაინც ყველაზე საინტერესო ის არის, ახალი კადრების მუშაობის პირველი დარტყმები ვის ჩააგდებს ნოკაუტში. ცხადია, დარტყმის ობიექტებად ნაციონალები მოიაზრებიან.

ჩვენი რესპონდენტები „პრაიმტაიმთან“ სწორედ ამ თემებზე ისაუბრებენ.

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

- არაფერია გამორიცხული. ერთი მხრივ, შესაძლებელია გაგრძელდეს გარკვეული ტიპის ზეწოლა ოპოზიურ ძალაზე, თუმცა, მეორე მხრივ, მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ვილნიუსის სამიტი, რომელიც ნოემბრის ბოლოს გაიმართება, ამისთვის ერთგვგარი შემაკავებელი გახდება. ვინაიდან იმისთვის, რომ საქართველომ შემდგომში ხელი მოაწეროს ასოცირების ხელშეკრულებას ევროკავშირთან, მოთხოვნილი იქნება მოქმედმა ხელისუფლებამ თავი შეიკავოს მსგავსი ქმედებებისგან, წინაალმდეგ შემთხვევაში დავცილდებით ევროსტრუქტურებს და აღმოვჩნდებით რუსების კლანჭებში.

- ამ პოზიციასთან წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის კანონის უზენაესობის ცნება?

- ბუნებრივია, ვინც კანონს არღვევს, მის მიმართ შესაბამისი ზომები უნდა განხორციელდეს. მაგრამ „ქართული ოცნების“ ერთწლიანი მმართველობის განმავლობაში არაერთი ფაქტი იყო, რაც ამ ხელისუფლების პირობებში შერჩევითი სამართლის არსებობას ადასტურებს. მაშინ, როდესაც ბედუკაძე გათავისუფლდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და 100-ლარიანი ჯარიმებით შემოიფარგლა სასჯელი იმ ადამიანების მიმართ, ვინც ჩართული იყო 8 თებერვლის და 17 მაისის ძალადობებში... როდესაც ერთი მხრივ ვანო მერაბიშვილს უწოდებ კრიმინალს და მეორე მხრივ, დაუსჯელს ტოვებ ადამიანებს, რომლებიც ძალადობრივად შეიჭრნენ თვითმმართველობის ორგანოებში, ეს გარკვეულ კითხვებს ბადებს. ამიტომ, თუ საქართველოს არ უნდა, რომ უკრაინის ბედი გაიზიაროს, მაშინ სახელმწიფოებრივი ინტერესები ვიწროპარტიულ ინტერესებზე მაღლა უნდა დადგეს.

- შერჩევითი სამართალი რაკი ახსენეთ, მინდა გკითხოთ: თუ ბედუკაძე გაათავისუფლეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ეს აპრიორი ნიშნავს იმას, რომ ვანო მერაბიშვილს არ შეიძლებოდა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაედინა? ერთი მეორეს გამორიცხავს?

- ეს უნდა შეისწავლოს პროკურატურამ და განაჩენი დადგეს სასამართლოში.

- მაგრამ თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფაქტები უკვე შეისწავლა პროკურატურამ და სასამართლოს განაჩენიც დადგა, თუმცა, ამის მიუხედავად, თქვენ განსხვავებული შეფასება მაინც გაქვთ...

- მე ხომ არ მითქვამს, რომ მერაბიშვილი უდანაშაულოა? მაგრამ როცა მას წინასწარ კრიმინალს უწოდებენ, ის შეიძლება გამართლდეს, მით უმეტეს მსგავსი მაგალითები უკვე გვაქვს.

- მოდი, ნუ ავცდებით ძირითად თემას... თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცების დაპატიმრება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ДАН პრეზიდენტი საკაშვილი?!

- ამაზე არსებობს გარკვეული ეჭვები. ბოკერია, უგულავა და სხვები კი არა, შეიძლება მიხეილ სააკაშვილიც დაიბარონ პროკურატურაში. ამით ეს ხელისუფლება შეეცდება მათ საკუთარი ძალა აჩვენოს. ეს სავსებით არ არის გამორიცხული, მით უმეტეს, რომ დღეს პატიმრები არიან ვანო მერაბიშვილი და ბაჩანა ახალაია. ბოლოს და ბოლოს 25 ათასი ადამიანი დაიბარეს უკვე პროკურატურაში. ეს იმ დროს, როდესაც არ დაუბარებიათ ისინი, ვინც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შეიჭრნენ.

- რამდენად რეალურად გეჩვენებათ სოციალურ ქსელებში გავრცელებული ეჭვი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი, სწორედ სისხლის სამართლის დევნის შიშით, შეიძლება საქართველოში არ დაბრუნდეს?

- მე მგონია, რომ სააკაშვილი დაბრუნდება. რაც შეეხება სისხლის სამართლებრივ დევნას, ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება მის პროკურატურაში დაბარებაზე შორს არ წავა. თუმცა, გამორიცხული არაფერია. ამ ხელისუფლების პირობებში არაფერი გამიკვირდება.

- პროკურატურასა და შსს-ში ოფიციალურად გაცხადებული საკადრო ცვლილებები თქვენ რამეზე მიგანიშნებთ?

- მიმანიშნებს იმაზე, რომ ღარიბაშვილი პოზიციებს იმყარებს. ის ნიშნავს მთავარ პროკურორს, როცა იუსტიციის მინისტრი აცხადებს, რომ არ იცნობს მომავალ მთავარ პროკურორს.

სანდრო ბრეგაძე:

- უშიშროების ყოფილი მდივანი აცხადებს, რომ დაიწყება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ რეპრესიების ახალი ტალღა. თქვენ ასეთი მოლოდინები გაქვთ?

- ეს ჩვეულებრივი პრევენციაა ნაციონალების მხრიდან. მათ სურთ პოლიტიკოსებად დარჩნენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და პასუხი არ აგონ არც ერთ დანაშაულზე, რაც მათ 9 წლის განმავლობაში ჩაიდინეს. არანაირი მასობრივი დაჭერები არ დაიწყება, მაგრამ დაისჯება ის, ვინც დასასჯელია - სანდრო გირგვლიანის და ბუტა რობაქიძის მკვლელები, 7 ნოემბრის და 26 მაისის მიტინგების დამრბევები, ქონების წამრთმევები და ათასგვარი სისაძაგლისა და მამაძაღლობების ჩამდენები. როგორც ჩანს, ბატონი ბოკერია მათ შორის მოიაზრებს თავს და მისი განცხადებაც შიშით არის გამოწვეული.

- სამართლიანობის დაწყების მოლოდინი „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან არსებობდა... რატომ გგონიათ, რომ ეს პროცესი სწორედ ახლა დაიწყება?

- ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება იძულებული იყო ანგარიში გაეწია დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკოსისთვის. მაგრამ, როდესაც მთელი ხელისუფლება ახალი გუნდის ხელში გადმოვიდა, ბუნებრივია, ამ პროცესის დაწყება ახლა უფრო ლოგიკურია. ახლა, ბევრად ნაკლებად ცუდი შედეგი მოჰყვება ამას იმ ლობისტებისგან, რომლებზეც ბოკერია და მისი ჯგუფი მილიარდებს ხარჯავდა. ამას გარდა, ამის იმედს მაძლევს ახალი პროკურორი, ახალი სისხლი საქართველოს მთავრობაში და ხალხის მოთხოვნაც, რადგან თუ არ აღდგება სამართლიანობა, არ იქნება მშვიდობაც...

- თუმცა, ალბათ დამეთანხმებით, რომ ზოგიერთი მოსალოდნელი საკადრო ცვლილება დაბნეულობას იწვევს მომავალი პირველი პირების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობის გამო...

- მაგრამ მე კარგად ვიცნობ ღარიბაშვილს, რომელიც საკმაოდ პრაგმატული პოლიტიკოსია და დარწმუნებული ვარ, რომ ის თავის არჩევანში არ შეცდებოდა.

- შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ, რომ პროკურატურა უფრო აქტიური და აგრესიული გახდება?

- ვერ გეტყვით, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, ფაქტია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დღეს სერიოზული შიშის ქვეშ არის. ამიტომ, მათი მიზანია „გააშაონ“ ახალი მთავარი პროკურორი და შინაგან საქმეთა მინისტრი.

- რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ რეპრესიებს არქმევს, თქვენ სამართლიანობის აღდგენას ეძახით. გამოდის, რომ ორივე მხარეს ერთი და იგივე პროცესის მოლოდინი გაქვთ...

- ბუნებრივიც არის, რომ ეს მოლოდინი არსებობდეს, რადგან ფაქტია, რომ ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულებები, რომელზე პასუხიც უნდა აგონ. ვისაც რა უნდა ის ილაპარაკოს, ამ ქვეყანაში თავადაც აღიარებენ, რომ არის სამართლიანი სასამართლო და იმედი მაქვს, რომ პროკურატურაც მყარ მტკიცებულებებს დადებს და ბატონი ფარცხალაძე წინა პლანზე წამოწევს იმ რეზონანსული საქმეების გამოძიებას, რომლის გახსნასაც მთელი საზოგადოება ელოდება. ფარცხალაძემ უნდა გააკეთოს ის, რაც გასაკეთებელია. მე იმედი მაქვს, რომ ღარიბაშვილი არ წარადგენდა ისეთ კანდიდატს ამ პოსტზე, რომელსაც არხელეწიფება ასეთი საქმეების კეთება.

- ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ შესაძლოა, სააკაშვილი აღარ დაბრუნდეს საქართველოში, სწორედ სისხლის სამართლის დევნის საფრთხის გამო...

- სააკაშვილი მშიშარა არსებაა. ის, საკუთარი თავის გადასარჩენად თავისი გუნდის ყველა წევრს გაწირავს. ამათ დატოვებს და თვითონ გაიქცევა, როგორც ეს ომის დროს გააკეთა. სააკაშვილისგან ცოტნე დადიანობას ნურავინ მოელის. ის ყოველთვის იყო აბჯარში ასხმული გულადი, რომელსაც, როგორც კი ეს აბჯარი მოეხსნა, ისევ ის უშნო ბიჭუნა გახდა, როგორიც იყო თავის დროზე. სააკაშვილის გულადობა არავის გაუგია, არც სკოლაში, არც ინსტიტუტში, არც პარლამენტში, არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში და არც პრეზიდენტობისას.

- თქვენ იმ ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებით, რომელიც კოაბიტაციის დასრულებისთანავე სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის დევნას პროგნოზირებს?

- თავის დროზე დიდი შეცდომა დავუშვით, როდესაც შევარდნაძე და მისი გუნდი არ გავასამართლეთ. ახლაც ისეთივე შეცდომას დავუშვებთ, თუ სააკაშვილის სისტემა არ გასამართლდება. მე ვიცნობ ღარიბაშვილს და მჯერა მისი პოტენციალის. იმედი მაქვს, არ გამიცრუვდება ეს იმედები.

- სააკაშვილის გარდა კიდევ ვისი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს დღის წესრიგში?

- ნებისმიერის: სააკაშვილის, ბოკერიას, უგულავას, ადეიშვილის და ათასი ჯურის ავაზაკების, რომელიც ამ ბანდაში იყო თავმოყრილი, თუნდაც პანკისელი ნარკობარონების ე.წ. პადბარიგა პეტრე ცისკარიშვილის... ყველამ უნდა დაინახოს, რომ თუ ვინმე მისნაირ, კაკო ბობოხიძისნაირ, მასტერასნაირ, უდესიანისნაირ და სხვებისნაირ დანაშაულს ჩაიდენს, მას პასუხი მოეთხოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე უარესებს უნდა ველოდეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩვენ მთელ ევროპას დავანახვეთ,

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ვილნიუსის სამიტს პოლიტიკოსებისთვის დიდი დატვირთვა აქვს. ყველას აინტერესებს, რა სიახლე გახმოვანდება საქართველოსთან დაკავშირებით. თუმცა იგივე „ყველას“ ისიც აინტერესებს, რა ცვლილებებს განახორციელებს ირაკლი ღარიბაშვილი უკვე საკუთარ გუნდში სწორედ ვილნიუსის სამიტის შემდეგ. ახალი მინისტრთა კაბინეტით ახალი პრემიერი პარლამენტის წინაშე თვის ბოლოს წარდგება. უმრავლესობა უპირობოდ თანხმდება, რომ ღარიბაშვილსა და მის გუნდს ნდობას ერთხმად გამოუცხადებენ. მათ შორის „თავისუფალი დემოკრატებიც“. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანიას მიმართ ბევრი კითხვა გაჩნდა, მისი გუნდის წევრი, ზურაბ აბაშიძე დარწმუნებულია, რომ თავდაცვის მინისტრი საკუთარ მოღვაწეობას იმავე პოსტზე გააგრძელებს, რადგან ის როგორც ქვეყანას, ასევე კოალიციას სჭირდება. რაც შეეხება ალასანიას კოალიციის დატოვების საკითხს, აბაშიძის განცხადებით, ის არც განიხილება. თავად დეპუტატი მიიჩნევს, რომ ამ საკითხის ირგვლივ მედია უფრო აქტიურობს და რეალურად განსახილველიც არაფერია.

„პოლიტიკური სიტუაციაა და პოლიტიკური მოთხოვნები ყოველთვის უფრო პრიორიტეტულია და შესაბამისად, დადგა დღის წესრიგში ეს გადაწყვეტილებაც. მე არჩილს წარმატებებს ვუსურვებ ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ის“

ზურაბ აბაშიძე, „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:

– როდესაც ბიძინა ივანიშვილმა ახალ პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი წარადგინა, თქვა, რომ მას ძლიერი საკუთარი გუნდი ეყოლებოდა, ფიქრობთ, რომ ამ გუნდში არის ირაკლი ალასანიას ადგილი? თანაც უკვე ითქვა, რომ მაია ფანჯიკიძეც შეიძლება შეიცვალოს, კონკრეტული გვარიც დასახელდა შემცვლელად. ფანჯიკიძეც ალასანიას გუნდის წევრად ითვლება...

– იცით, რა არის? თქვენ, ჟურნალისტებს, გიყვართ, როცა საკითხებს სენსაციად აქცევთ. აქ არ არის საუბარი იმაზე, რატომ არის კონკრეტული პირი მინისტრი, ან პირიქით, რატომ არ არის. ეს არის კოალიცია, რომელიც ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოვიდა. კოალიციას მთელი რიგი პასუხისმგებლობები აქვს აღებული მოსახლეობის წინაშე, რომელიც უნდა შესრულდეს. ამ შემთხვევაში ირაკლი ალასანია არის პოლიტიკური ლიდერი არა მხოლოდ ჩვენი პარტიის, არამედ თავად კოალიციის. ამიტომ მისი როლი ძალიან კონკრეტული და მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ჩემთვის ძალიან ძნელად წარმოსადგენია, რომ ალასანია აღარ იყოს პოლიტიკაში. თუ ის პირადად გადაწყვეტს ამას, ეს იქნება პირადი გადაწყვეტილება და გარწმუნებთ, ეს მოხდება ძალიან დიდი ხნის შემდეგ. არავის უჩნდება კითხვის ნიშნები, უნდა იყოს თუ არა ირაკლი ალასანია თანამდებობაზე. ვფიქრობ, ეს საკითხი მედიამ უფრო წამოწია წინა პლანზე, და ალბათ, იმიტომ რომ თავად პრემიერის მხრიდან იყო ხოლმე ხშირად შენიშვნები.

– ამ შენიშვნებს რით ახსნით?

– ალასანია ძალიან ბევრს მუშაობს და, ალბათ, ივანიშვილი მისგან კიდევ უფრო მეტს ელოდება, მხოლოდ და მხოლოდ დადებითი კუთხით.

– მიგაჩნიათ, რომ ვილნიუსის სამიტის შემდეგ ალასანია თანამდებობაზე დარჩება?

– რა თქმა უნდა, დარჩება. ეს საკითხი არ უნდა გადაწყდეს იმ კუთხით, მოგვწონს თუ არა ირაკლი ალასანია. მას აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობები და ის საკუთარ მოვალეობას ძალიან კარგად ახორციელებს, ამ შემთხვევაში თავდაცვის სამინისტროში. მის წინაშე დგას მთელი რიგი ამოცანები, ჩასატარებელი რეფორმები, ყველა მიმართულებით ძალიან დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების ერთ-ერთი მთავარი რგოლი და ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის მატარებელი სწორედ თავდაცვის სამინისტრო და მისი ხელმძღვანელია. ამიტომ ძალიან სერიოზული თემაა და ის მინისტრთა კაბინეტში ერთ-ერთი საუკეთესო მინისტრია.

– თუმცა ყველას ახსოვს ღარიბაშვილსა და ალასანიას შორის არსებული გაუგებრობა, რომელიც ჯიჰადის ვიდეომ გამოიწვია...

– მოდით, ასე ვთქვათ, პოლიტიკა არის საჯარო. როდესაც ადამიანები ცხოვრობენ პოლიტიკის მიღმა, სადაც არსებობს კორპორაციები, ბიზნესსამყარო, იქ ყოველთვის არის პატარ-პატარა დაპირისპირებები, კონკურენციაც, შეუთანხმებლობაც, მაგრამ ამას ჩვენ ვერც ვხედავთ, ვერც ვამჩნევთ. პოლიტიკა კი თავისი საჯაროობის გამო უფრო აჩენს ყველა დეტალს და აქ მედია დიდ როლს თამაშობს. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკის საჯაროობის ფაქტორი და არა ის, რომ ფაქტის მიღმა კიდევ რაიმე დეტალი არსებობდა. ბუნებრივია, როცა არსებობს ბევრი მინისტრი, ბევრი დეპუტატი, ჩვენ ერთმანეთის მიმართაც ვგრძნობთ კონკურენციას, ოღონდ კარგი გაგებით, რომ უფრო მეტად წარმოვჩინდეთ, უფრო კარგები გამოვჩნდეთ. ეს ჩვეულებრივი ადამიანური ამბავია. ვიღაცას უფრო მეტად გამოდის საქმე, ვიღაცას უფრო ნაკლებად, ვიღაც უფრო მეტად აპიარებს საკუთარ გაკეთებულს, ვიღაც ამას ისე კარგად ვერ აკეთებს. მაგალითად, სააკაშვილი პიარის დიდოსტატი იყო, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ არც ამ პიარმა არ უშველა. დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური პოლიტიკოსია, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს, სულ ეკრანზე იყოს და სულ რაღაც აკეთოს. შესაბამისად, არც ამ ისტორიაში ყოფილა რაიმე არაორდინარული.

– რაც შეეხება კოალიციას, როგორ ფიქრობთ, როდემდე იქნება ის ერთიანი და ხომ არ განიხილება თქვენს პარტიაში, ან პირადად ირაკლი ალასანიას მიერ მისი დატოვება?

– არა, რა თქმა უნდა. კოალიციის დაშლის შესახებ საუბარი და კოალიციის დაშლა, პირველ რიგში, ნაციონალების ინტერესში შედის. ბუნებრივია, მათ სურთ, რომ კოალიცია დასუსტდეს. ის ძალებს შორის, რომლებიც კოალიციაში ვართ, მიმაჩნია, რომ „თავისუფალ დემოკრატებს“ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული როლი და ფუნქცია აკისრია. აქედან გამომდინარე, როდესაც მოწინააღმდეგეს სურს, ასეთი კოალიცია დაასუსტოს, მისი მთავარი მიზანი ხდება ერთ-ერთი მთავარი ძალის გამოთიშვა რგოლიდან. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, დასუსტდება როგორც პარტია, ასევე კოალიცია. მაგრამ ეს ასე არ მოხდება, არა იმიტომ რომ ჩვენ ძმადნაფიცები ვართ, ან ჯვარი გვაქვს დაწერილი, უბრალოდ, ჩვენ ქვეყნის, ხალხის, ერთმანეთის მიმართ ვალდებულებები გვაქვს აღებული და ეს ვალდებულებები უნდა შესრულდეს. საქმე უნდა გაკეთდეს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა წარმატებას მივაღწევთ, დავანახვებთ ხალხსაც და ქვეყანასაც, რომ ჩვენ რაღაც გავაკეთეთ, უკვე შემდეგ ხალხისთვისაც არ იქნება რთული იმის გაგება, რომ ცალ-ცალკე გავაგრძელებთ საქმის კეთებას. ამ ყველაფერს დრო თავად მოიტანს.

– კოალიციიდან თქვენი პარტიის გამოყოფაზე საუბრისას ერთ-ერთ მიზეზად სწორედ ის სახელდებოდა, რომ ირაკლი ალასანია პროდასავლური იმიჯის მქონე პოლიტიკოსია და ასეთივე პარტიებთან უნდა თანამშრომლობდეს...

– ჩვენ ვართ კიდეც ასეთ პარტიებთან ერთად.

– თუმცა იქ არიან პარტიები, რომლებიც აბსოლუტურად სხვას ამტკიცებენ...

– კი ბატონო, მოდით, ყველაფერზე ღიად ვისაუბროთ, არაფერია დასამალი. ჩვენ დეკლარაციის დონეზე გვაქვს ხელი მოწერილი, რატომ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, ნატოში და იგივე მრეწველებს გაცხადებული აქვთ თავისი პოზიცია. ეს ძალიან გასაგები და ბუნებრივია. კოალიციაში შეიძლება სხვადასხვა საკითხებზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომ კოალიცია არის ევროპული ძალა“

ზურაბ აბაშიძე:

„ეს საკითხი არ უნდა გადაწყდეს იმ კუთხით, მოგვწონს თუ არა ირაკლი ალასანია. მას აქვს ძალიან დიდი შესაძლებლობები და საკუთარ მოვალეობას ძალიან კარგად ასრულებს“

EXCLUSIVE

განსხვავებული აზრი არსებობდ-ეს. ამ შემთხვევაში გოგი თოფაძე, ზურაბ ტყემალაძე და კიდევ სხვები არ დატოვებენ კოალიციას, იმიტომ რომ ჩვენ ოდესმე აუცილებლად შე-ვალთ ნატოშიც და ევროკავშირშიც. სამაგიეროდ სოციალური საკითხ-ები, ჯანდაცვა, ეკონომიკა... ამ ყვ-ელაფერზე ვთანხმდებით და იგივე კანონმდებლობის დონეზე ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს. სხვათა შორის, ამ თემის არასწორად აჟიტ-ირებაც ნაციონალების პოლიტიკაა. მათ დაიჩემეს, რომ ერთადერთი ძა-ლა არიან, რომლებიც დასავლეთის მიმართულებით მიდიან, ეს მითიც დაინგრა. ჩვენ მთელ ევროპას დავა-ნახვეთ, რომ კოალიცია არის ევრო-პული ძალა, რომელიც იმაზე მეტს გააკეთებს, ვიდრე „ნაციონალურ-მა მოძრაობამ“ გააკეთა, თანაც არა მარტო სიტყვებით. ეს ძალიან მალე ცხადი გახდება. სხვაობები ამ ორ ძალას შორის სხვა მხრივაც არის. თუ დღევანდელ და ნაციონალების-დროინდელ ხელისუფლებებს შორის პარალელს გავავლებთ, დავინახა-ვთ, რომ წინა ხელისუფლება სხვა პარტიებს გასაქანს არ აძლევდა. ამაზე არავინ დაობს, მათ ჰქონდათ მონოპოლია პარლამენტში, ხელისუ-ფლებაში და ყველა სფეროში. დღეს კოალიციური მთავრობაა. კოალიც-იაში შემავალი სხვადასხვა პარტიები არიან მთავრობაში, პარლამენტში და ასე გაგრძელდება, სანამ კოალიცია იარსებებს. წამყვანი ძალა, ბუნებრ-ივია, კოალიციის მთავარი პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიუ-ლი საქართველოა“. როდესაც პა-რტიის ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა, მისი მონაცვლე ავტომატურად გახდება ირაკლი ღა-რიბაშვილი. ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია, არავის უთქვამს ის, რა-ტომ იყო სააკაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი. პრეტენზია არსებობდა იმაზე, რომ ის მხოლოდ ნაციონალების პრეზიდენტი იყო და არა მთელი საქართველოსი. მისთვის პირადი ველი იყო ყოველთვის მნიშ-ვნელოვანი, მოწინააღმდეგეები კი არაფერს წარმოადგენდნენ. ამ მხ-რივ, დღეს აბსოლუტურად სხვა ვითარებაა. „ქართული ოცნება“ დღეს მონოპოლისტი არ არის.

– რატომ, მასეთივე ლო-გიკით ყველგან „ქართ-ული ოცნებაა“...

– კოალიციის ლი-დერი პრემიერ-მი-ნისტრია, მაგრამ პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს თავმჯდომარე რესპუბლიკელების ლიდერი დავით უსუფაშვილია, თავდ-აცვის მინისტრი „თავისუფალი დემო-კრატების“ ლიდერია, პარლამენტშიც გადანაწილებულია თანამდებობები კოალიციის სხვადასხვა წევრებზე.

– ფიქრობთ, რომ ამას შეიძლება ეწოდოს ბალანსი?

– რა თქმა უნდა. ბუნებრივია, რი-ცხობრივად „ქართული ოცნება – დე-მოკრატიული საქართველოს“ წევრ-ები უფრო ბევრნი არიან, რადგან ის წამყვანი პოლიტიკური ძალაა. ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, წინა მო-წვევის პარლამენტში რა დღეში იყო ნამდვილი ოპოზიცია, ისინი არც უმცირესობის წევრები იყვნენ და არც ფრაქცია ჰქონდათ.

– როგორი განწყობაა უმ-რავლესობაში ახალი პრ-ოკურორის მიმართ? მი-გაჩნიათ, რომ კბილაშ-ვილის შემცვლელი, სამართლიანობის აღდგენის მხრივ, კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ნაბიჯებს გადადგამს?

– ვფიქრობ, უფრო მედია ცდ-ილობს წარმოაჩინოს ისე, თითქოს ახალი მთავარი პროკურორი გააკ-ეთებს იმას, რაც ვერ გააკეთა კბილ-აშვილმა. მე ასე არ მგონია, რადგან კბილაშვილმა ძალიან ბევრი გააკ-ეთა. ის ერთ-ერთი საუკეთესო პროკ-ურორი იყო ქვეყანაში. მე ასე ვთვლი და ამას ყოველთვის ვიტყვი. რაც შე-ეხება საზოგადოებრივ მოთხოვნას და მის შესრულებას, ბუნებრივია, ეს სადავო საკითხია. მაგ ლოგიკით, შეიძლება ითქვას, ხელისუფლების მიმართაც არიან უკმაყოფილო მო-ქალაქეები. მაგალითად, მონაწილე-ობა მივიღე დევნილების შესახლების პროცესში, მისული ვიყავი და მათი ნაწილი უკმაყოფილებას არ ფარავ-და, არ აკმაყოფილებდათ პირობე-ბი. კომენტარისგან თავი შევიკავე, უბრალოდ, შევახსენე, სად ცხოვ-რობდნენ აქამდე... ბუნებრივია, ად-ამიანს უფრო და უფრო მეტი უნდა. ჩვენი მთავარი ნდობა არის ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ. მან უნდა შე-არჩიოს ის ხალხი, ვისაც ჩათვლის, რომ უფრო კომპეტენტურია, უფრო კარგად გაართმევს თავს. ღარიბა-შვილმა მოახერხა და ამ ერთი წლის განმავლობაში ყოველდღიურ რეჟი-მში ძალიან კარგად იმუშავა. კანონის უზენაესობა იქნება მთავარი, ვინც დანაშაული ჩაიდინა ან ჩაიდენს, ის აუცილებლად აგებს პასუხს. შეიძ-ლება ვიღაცას კბილაშვილის მიმართ აქვს გარკვეული პრეტენზია და ფი-ქრობს, რომ ის არ იყო ისეთი ცივს-ისხლიანი და კაციჭამია, როგორიც ადეიშვილი, მინდა ვთქვა, რომ თავად კბილაშვილი კმაყოფილი იყო, რომ წინამორბედს არ ადარებდნენ. კარგ-ად მახსოვს, ერთხელ მიხეილ სააკაშ-ვილმა ადეიშვილზე თქვა, ადეიშვილს ერთი შეხედვით სულაც არ ეტყობა, რომ შინაგანად ასეთი დაუნდობელი-აო. დაუნდობლობა რაშიც გამოიხატ-ებოდა, კარგად ვნახეთ. ბუნებრივია, დაუნდობელი უნდა იყო პროკურ-ორი, როცა საქმე დამნაშავეს ეხება, მაგრამ უდანაშაულო ხალხის წინაშე ძალაუფლების უკიდეგანოდ გამოყე-ნებაც დანაშაულია. ჩვენ აუცილებლ-ად უნდა გადავხედოთ წარსულს და ისე ვიმოქმედოთ.

– თუ ასეა, რატომ გახდა საჭირო კბილაშვილის შეცვლა?

– პოლიტიკური სიტუაციაა და პოლიტიკური მოთხოვნები ყოვე-ლთვის უფრო პრიორიტეტულია და შესაბამისად, დადგა დღის წესრიგ-ში ეს გადაწყვეტილებაც. არჩილს წარმატებებს ვუსურვებ ყველგან, სადაც არ უნდა იყოს ის. მომავალი გვაჩვენებს ახალ პროკურორსაც, მას ძალიან ბევრი საქმე ექნება. ბუ-ნებრივია, იმ ნაწილს, რომელიც უკ-მაყოფილო იყო სამართლიანობის აღდგენით, უამრავი საჩივარი შეჰქ-ონდა და მათ დაჩქარებული წესით განხილვას ითხოვდა, იმედები გაუჩ-ნდება ახალი პროკურორის მიმართ. ამიტომ ძალიან ბევრი შრომა დასჭ-ირდება მასაც.

„ძალიან კარგად გვახსოვს, წინა მოწვევის პარლამენტში რა დღეში იყო ნამდვილი ოპოზიცია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პოსტებს გურამ ოდიშარია და ნოდარ ხადური დატოვებენ?

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

მოქმედი პრემიერი ბოლო შეხვედრებს მართავს საკუთარ გუნდთან. ეს ბოლო ოფიციალური შეხვედრებია უმრავლესობასთან. ივანიშვილმა მედიასთან ერთ-ერთი შეხვედრისას განაცხადა, რომ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ისე ხშირად აღარ გამოჩნდება. როგორც ჩანს, საპარლამენტო უმრავლესობამ ბოლო ოფიციალური დირექტივებიც სწორედ გასული კვირის შაბათს მიიღო. მინიმალური ცვლილება ის იყო, რომ „ოცნების“ ფრაქციას ხელმძღვანელობა შეუცვალეს. ზაქარია ქუცნაშვილი გია ვოლსკით ჩანაცვლდა, რაც შეეხება მნიშვნელოვან ცვლილებებს, ამას მიმდინარე კვირაში განახორციელებენ.

ახალი პრემიერი პარლამენტს საკუთარ გუნდს ოთხშაბათს წარუდგენს. ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი შემცვლელი თავად დაასახელა და როგორც ამბობენ, მისივე რჩეული იყო. რომელი სამინისტრო შეიცვლის ხელმძღვანელს ამაზე ხმამაღლა წინასწარ არავინ საუბრობს. როგორც ამბობენ, ერთ-ერთი მინისტრის ბედი უკვე გადაწყვეტილია. კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გასულ კვირას წლიური ანგარიში წარუდგინა დიპლომატიურ კორპუსს, მედიას და მინისტრთა კაბინეტს. თუმცა მოწვეული მინისტრებიდან ოდიშარიას მოსასმენად მხოლოდ განათლების მინისტრმა მოიცალა. სანიკიძის გარდა პირველი პირების ნაცვლად მოადგილეები იყვნენ წარმოდგენილები. გურამ ოდიშარიამ მთელი წლის განმავლობაში გაკეთებული საქმეების ჩამონათვალი გაგვაცნო და საკმაოდ აქტიურად ისაუბრა სამომავლო გეგმებზეც. მან საკუთარ გამოსვლაშივე აღნიშნა, რომ მთავარია საქმე გაკეთდეს, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა ვინ გააკეთებს მას. მის სიტყვებს ყურადღება რატომღაც არავინ მიაქცია. ესეც რომ არა, იქ არსებული გარემო უფრო თანამშრომლებთან გამოსამშვიდობებელ რიტუალს ჰგავდა. მინისტრმა ყველა თანამშრომელს მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის. ბუნებრივად გაჩნდა კითხვაც, მცირე ცვლილებებში მოჰყვებოდა თუ არა კულტურის მინისტრი...

გურამ ოდიშარია, კულტურის მინისტრი:

- მთავარია საქმე გაკეთდეს და ყველა ის პროექტი გაგრძელდეს, რომელიც ჩვენმა სამინისტრომ აქამდე განახორციელა, ბევრად მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის წინ გადაიდგას ნაბიჯები. მე უკვე აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანი არის ის, თუ რა გაკეთდება და არა ის, კონკრეტულად ვინ გააკეთებს ამას.

- ანუ თქვენ შეიძლება აღარ იყოთ ახალ მინისტრთა კაბინეტში?

- ალბათ ვიქნები.

ოდიშარია ერთ-ერთი მინისტრია, რომლის შეცვლაზეც საკმაოდ დიდხანს ვრცელდებოდა ინფორმაცია. როგორც ამბობენ, ცვლილებები ეკონომიკურ გუნდსაც შეეხება, თუმცა უმრავლესობაში ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ ეკონომიკური პრობლემები ქვეყანას წინა ხელისუფლების არასწორი ქმედებების გამო შეექმნა. ხელისუფლებამ აღიარა, რომ ეკონომიკური ზრდა ისეთი ვერ იქნება, როგორიც 2012 წლის ოქტომბერში იყო ნაწინასწარმეტყველები. სხვათა შორის, ექსპერტების შეფასებით, ეს ჯერ კიდევ ერთი წლის წინ იყო მოსალოდნელი, თუმცა ხადურის გადაწყვეტილებით ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ვერსია ჩაიდო პროგრამაში. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილთან თავის მოწონების გამო, თუმცა რეალობა მალევე გამოჩნდა.

ნოდარ ხადური: „ეკონომიკა გამოდის იმ შოკიდან, რომელშიც ის თქვენ, ნაციონალებმა დატოვეთ“

გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკის მინისტრი:

- სამწუხაროდ, არის ბევრი ფაქტორი, რაც იმ ციფრებს განაპირობებს, რაც გამოქვეყნდა, აქ არის ბევრი შემადგენელი ნაწილი. ჩემი აზრით, 6%-იანი ზრდის მიღწევა, ალბათ, არარეალური იქნება. ჩვენ ვფიქრობთ, 4,5-5- პროცენტიანი ზრდის მიღწევა კიდევ არის შესაძლებელი, უბრალოდ, ამისთვის ძალიან ბევრი წინაპირობაა საჭირო, მათ შორის უარყოფითი პიარი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება, უნდა შეწყდეს. დასახელებული 4%-იანი ზრდა უკვე დღეს 2%-მდეა დასული... ოპოზიციამ და კონკრეტულად ყოფილმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ყოფილ პრემიერს, ბიძინა ივანიშვილს საკუთარი ფინანსების ქართულ ეკონომიკაში ჩადება ურჩია. ეკონომიკური რეალობა კი იმაზე მძიმეა ვიდრე ამას ხალხი რეალურად აცნობიერებს, რადგან ეკონომიკური ექსპერტები აცხადებენ, რომ მინიმალური ზრდის მოლოდინი შესაძლებელია კიდევ გადაიხედოს, ანუ წლის ბოლოს ნავარაუდები 4%-იანი ზრდაც ვერ განხორციელდეს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პრობლემებს კონკრეტული მიზეზებით ხსნის...

ირაკლი ქადაგიძე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი:

- არსებული მონაცემების ერთობლიობა არ გვაძლევს საშუალებას, რომ წლის ბოლოს ეკონომიკის 6%-იანი ზრდა ვივარაუდოთ. ეკონომიკური ზრდის შემცირებას რამდენიმე მიზეზი აქვს: ეს არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება და ასევე ადგილობრივი ბიზნესის პასიურობა, რომელიც ვერ გამოვიდა მოლოდინის რეჟიმიდან და გაურკვევლობაშია თავის მიზნებთან დაკავშირებით.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე ახალი ხელისუფლების წევრები შეუფერხებლად უწერენ საკუთარ თავს პრემიებს. თანაც იმ ფონზე, რომ თავიდან, ისევ და ისევ ივანიშვილის ბრძანებით, თითქმის ყველა მინისტრმა ხელფასები მინიმუმამდე დაიყვანეს. როგორც ჩანს, ციფრები შეუმჩნევლად გაიზარდა და ბოლოს პრემიერის სახით სულ ორიოდე თვეში საკმაოდ სოლიდურ თანხმადეც ავიდა... შორს რომ არ წავიდეთ და ისევ ეკონომიკურ გუნდზე შევჩერდეთ, ვნახავთ, რომ ნოდარ ხადურმა, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ოფიციალური შემოსავლის სახით 30 ათას ლარამდე მიიღო... უფრო კონკრეტულად კი, 2012 წლის ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში 25 ათას 584 ათასი ლარის ოდენობის შემოსავალი მიიღო, ანუ თვეში დაახლოებით 12 ათას 792 ლარი გამოიმუშავა.

თავად ხადურის განცხადებით ქართული ეკონომიკა ნაციონალების შოკიდან ნელ-ნელა გამოდის და მისივე განცხადებით პროცესისთვის ერთი წელი საკმარისი ნამდვილად არ იქნება...

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი:

- ეკონომიკა გამოდის იმ შოკიდან, რომელშიც ის თქვენ, ნაციონალებმა დატოვეთ. 1.5 მლრდ ლარი იყო ზედმეტად გადახდილი გადასახადები... ახლა ეკონომიკაში გაჯანსაღების პროცესია, კერძო სექტორი გამოვა თქვენი ზეწოლიდან და გამოსულია უკვე. ისინი თავისუფლები იქნებიან. მათ არავინ დაიბარებს და არავინ წაართმევს ფულს. სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩვენი პროგნოზი და ამას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. მათ შორის, მინდა, სრული პასუხისმგებლობით დავადასტურო, რომ ეს არის ძალიან აგრესიული ფონი, რომელიც მოდის უმცირესობიდან და მოდიოდა ჯერ კიდევ პრეზიდენტისგან, როდესაც მუდმივი მუქარა იყო და თავისთავად ცხადია, ეს არის ინვესტორებისთვის სიგნალი, ნიშანი იმისა, რომ ცოტა ხანი თავი შეიკავონ.

დღეიდან უმრავლესობას და მით უფრო მინისტრთა კაბინეტს აღარ ექნება საშუალება თითი ყოფილი ხელისუფლებისკენ გაიშვიროს. შესაბამისად საინტერესოა როგორ ახსნიან აწი ეკონომიკურ კრახს... ასევე რამდენიმე დღეში გაირკვევა შეინარჩუნებს თუ არა ეკონომიკური გუნდი საკუთარ პოსტებს...

გურამ ოდიშარია: „მე უკვე აღვნიშნე, რომ მნიშვნელოვანი არის ის, თუ რა გაკეთდება და არა ის, კონკრეტულად ვინ გააკეთებს ამას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა „სიურპრიზი“ ელის გიორგი მარ

ГИОРГИ МАРГВЕЛАШВИЛИ

EXCLUSIVE

შოთა მალაშხია: „დაახვედრებენ თუ არა იქ მარგველაშვილს მარიონეტული ხელისუფლებების ხელმძღვანელებს, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. თუმცა ამ შანსსაც არ გაუშვებს ხელიდან რუსეთი“

ხათუნა მგალობლიშვილი

სოჭის ოლიმპიადის საპროტესტო პეტიციას 9 ათას 964-მა ინტერნეტმომხმარებელმა მოაწერა ხელი. მაგრამ ყველა ვერ ახერხებს საკუთარი პროტესტის პეტიციაში გაფორმებას. მათი რიცხვი გაცილებით დიდია. თუმცა საქართველოს ახალი ხელისუფლებისთვის ეს ნამდვილად არ გახდება ხელისშემშლელი ფაქტორი. მათ, როგორც ჩანს, წასვლის გადაწყვეტილება უკვე მიიღეს და ახლა მხოლოდ დროის გასვლას ელოდებიან. თანაც შიშით, რომ იქამდე რუსეთმა რაიმე ისეთი „შეცდომა“ არ დაუშვას, რომ საქართველოს მთავრობა იძულებული გახდეს, უარი თქვას მონაწილეობაზე. სხვათა შორის, შიშის ფაქტორი საკმაოდ რეალურია. ამ მხრივ, მწარე ისტორიული მაგალითები არსებობს. ყველა მათგანი ფაქტია და შესაბამისად, ვერავინ ვერსად გაექცევა. მაგალითად, 1980 წლის მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადამდე ზუსტად ექვსი თვით ადრე რუსეთმა გადაწყვიტა, ცენტრალურ აზიაში საკუთარი გავლენები კიდევ უფრო გაეძლიერებინა და მთელი მსოფლიოსთვის დაენახვებინა საკუთარი სიძლიერე. სწორედ ამ მიზნით მან ავღანეთში სამხედრო ინტერვენცია განახორციელა და მთელი ქვეყნის ოკუპირება მოახდინა. ამას ხელი არ შეუშლია ოლიმპიადის ჩატარებისთვის. ის მაინც შედგა.

სავარაუდოდ, სწორედ ამას გულისხმობდა პარტია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელი, არმაზ ახვლედიანი, როდესაც გარემოებების შეცვლაზე საუბრობდა...

არმაზ ახვლედიანი, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი:

– ჩვენ გვინდა, იმ დროისთვის, როცა ოლიმპიადა ჩატარდება, ისეთი გარემო შეიქმნას, რომ გამგზავრება შესაძლებელი იყოს.

– ელოდებით რაიმე ცვლილებებს, რა გარემო შეიძლება შეიქმნას?

– არ მგონია, ისე ძირეულად შეიცვალოს რაიმე, რომ ყველა გაკვირვებული დავრჩეთ. იმედი მაქვს, რომ თებერვლისთვის ისეთი გარემო იქნება, რომელიც პრეზიდენტს ოლიმპიადაზე წასვლაში ხელს არ შეუშლის. ის პოზიტიური დინამიკა, რომელიც დღეს ორ ქვეყანას შორის არსებობს, იძლევა იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ ოლიმპიადისთვის გარემო კიდევ უფრო გაჯანსაღდება. ამ ფონზე პრეზიდენტის იქ სტუმრობა ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. რეალურად ოლიმპიადის შემდეგ ველოდები ქართულ-რუსული ურთიერთობების კიდევ უფრო პოზიტიურ დინამიკას.

„პოზიტიურ დინამიკამდე“ რეალობა განვიხილოთ. პოლიტიკურ წრეებში აქტიურად განიხილავენ პუტინისეულ გეგმას სოჭის ოლიმპიადის შესახებ. მართალია, უმრავლესობა ღიად ჯერ არ აფიქსირებს საკუთარ გადაწყვეტილებას და მეტიც, ამბობენ, რომ წასასვლელად საჭიროა მოწვევის მიღება. ექსპერტები და პოლიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ პუტინი მარგველაშვილს დიდ სიურპრიზს მოუწყობს და ოლიმპიადაზე ჩასულს გვერდით მიუსვამს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტული ხელისუფლებების ხელმძღვანელობას. როგორი იქნება მარგველაშვილის რეაქცია, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება. უფრო სწორად, ის არსად არ დაფიქსირდება. მთავარი კადრი, ბუნებრივია, გვერდიგვერდ მჯდომი მარგველაშვილი, თიბილოვი და ანქვაბი გახდება. იქნება თუ არა მსგავსი კადრი დასავლეთისთვის მესიჯი, რომ საქართველომ სოჭის ოლიმპიადაზე ჩასვლით ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარა და ტერიტორიების დაკარგვას შეეგუა? ამაზე საქართველოს ოპოზიციურ წრეებში უკვე მსჯელობენ...

შოთა მალაშხია

არმაზ ახვლედიანი

შოთა მალაშხია, „ნაციონალური მოძრაობა“:

– ეს არის პუტინის პროექტი, მას სურს, რომ საკუთარი ქვეყანა წარმოაჩინოს. ასე ხდებოდა ჰიტლერის დროს, ასე ხდებოდა ბრეჟნევის შემთხვევაში, როდესაც ის ავღანეთში შეიჭრა, და ასე ხდება პუტინის დროსაც. რეალურად განსხვავება არ არის. რაც გააკეთა ჰიტლერმა, ვგულისხმობ ებრაელების გენოციდს; რაც გააკეთა რუსეთმა ავღანეთის შემთხვევაში; დაბოლოს, რაც გააკეთა პუტინმა ქართველების გენოციდით – ეს ყველაფერი არის დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ამ დანაშაულთან შედარებით, მარგველაშვილის წასვლის შემთხვევაში, დაახვედრებენ თუ არა იქ მას მარიონეტული ხელისუფლებების ხელმძღვანელებს, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. თუმცა ამ შანსსაც არ გაუშვებს ხელიდან რუსეთი. რუსეთმა უკვე მისცა აკრედიტაცია ოკუპირებული ტერიტორიების ჟურნალისტებს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნების წარმომადგენლებს. აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იქნებიან წარმოდგენილი ჟურნალისტები. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჟურნალისტებზე არ გაჩერდება და თანამდებობის პირებზეც გავრცელდება.

– ასეთ შემთხვევაში როგორი უნდა იყოს უკვე იქ ჩასული მარგველაშვილის რეაქცია?

– მარგველაშვილის რეაქცია ჩვენ უკვე ვნახეთ მისი ინტერვიუს მსვლელობის დროს. ინტერვიუს განმავლობაში არც ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაუბრია, არც მავთულხლართებზე, არც დევნილების დაბრუნებაზე და საუბრობდა ხალხთა შორის მეგობრობაზე, რომელიც პირადად მე ბრეჟნევის შემდეგ აღარც მსმენია. ეს საერთოდ რა ტერმინია, არ ვიცი.

– როგორ ფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში, დასავლეთი საქართველოს რეაქციას ოკუპირებული ტერიტორიების თუნდაც ირიბად აღიარებად შეაფასებს?

– დასავლეთი ამას შეხედავს როგორც ფაქტს, რომ თავად საქართველო არ აპროტესტებს, ჩადის რუსეთში, თანაც საუბარია ოლიმპიადაზე, რომლის ქარტიის ძირითადი პრინციპებიც დარღვეულია. იმ ოლიმპიადაზეა საუბარი, რომლის ობიექტები შენდება იმ მასალებით, რომელიც რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გააქვს. ასეთ შემთხვევაში, როცა სახელმწიფოს, ვის მიმართაც ეთნოწმენდა განხორციელდა, რეაქცია არ აქვს, ცხადია, სხვა სახელმწიფოები ჩვენ მიმართ პრინციპებს ველარ დაიცავენ.

– როდესაც უმრავლესობის წევრები აცხადებენ, ოლიმპიადაზე უნდა წავიდეთ იმ შემთხვევაში, თუ ეს ვიზიტი შედეგიანი იქნებაო, როგორ ფიქრობთ, ამ შედეგში რას გულისხმობენ? რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ოლიმპიადაზე წასვლამ? ბუნებრივია, ისინი არ გულისხმობენ სპორტსმენების გამარჯვებას...

– ვერ გეტყვით, ცოტა წარმოუდგენელია, თავმოყვარე ქვეყნის თავმოყვარე ხელმძღვანელობა საერთოდ განიხილავდეს ამ საკითხს. თუმცა შეგიძლიათ, გაიხსენოთ და ამოიღოთ უმრავლესობის წევრების განცხადებები, რომლებიც ამართლებდნენ კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. მათ ეს კანონი პირველი მოსმენით მიიღეს, ახლა რცხვენიათ მეორე მოსმენით შემოტანა. ცხადია, მათ კარგად ესმით, რომ ეს არის კაპიტულანტური მიდგომა, რომელიც ამ ხელისუფლებას რუსეთის მიმართ აქვს.

თავად უმრავლესობა „სიურპრიზებს“ რუსეთის მხრიდან კატეგორიულად გამორიცხავს. აი, სიურპრიზებს კი ნამდვილად ელოდება... არმაზ ახვლედიანის განცხადებით, რუსეთმა ერთხელ უკვე განაცხადა, რომ ოლიმპიადაში ოკუპირებული ტერიტორიები მონაწილეობას არ მიიღებენ. როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ახვლედიანს რუსეთის, უფრო სწორად კი პუტინის, გონიერების იმედი აქვს.

არმაზ ახვლედიანი, „ქართული ოცნება“:

– რუსეთის მხარემ განაცხადა რომ აფხაზური და ოსური მხარეები ოლიმპიადაში მონაწილეობას არ მიიღებენ. რაც შეეხება რაიმე სიურპრიზს, თუ ეს იქნება სასიამოვნო, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, სხვა სახის „სიურპრიზებს“ გამოვრიცხავ, რადგან ოლიმპიადა არის ძალიან მნიშვნელოვანი და გარდა ამისა, იმედი მაქვს რუსეთის გონიერებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ეტაპზე რუსული მხარე ადეკვატურად აფასებს ჩვენს დამო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბგველაშვილს სოჭის ოლიმპიადაზე



არმაზ ახვლედიანი:

„იმედი მაქვს რუსეთის გონიერებისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ეტაპზე რუსული მხარე აღეკვატურად აფასებს ჩვენს დამოკიდებულებას“

სოჭის ოლიმპიური სოფელი

კიდებულებას.

ახალ ხელისუფლებას ოლიმპიადის ბოიკოტირება არც ერთ ეტაპზე არ განუხილავს, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვდა პუტინის მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

ზოგადად, ოლიმპიადა მშვიდობის სიმბოლოა, თუმცა ისტორიულად მას ყოველთვის პოლიტიკური თამაშებისთვის იყენებდნენ. შესაბამისად, სად იწყებოდა სპორტი და სად მთავრდებოდა პოლიტიკა – ამის გამიჯვნა ვერასოდეს მოხდა. თუმცა ერთადერთი, რაც დამტკიცდა, ეს ბოიკოტირების წარმატებული შედეგია. ოლიმპიადის ყველაზე მასშტაბური ბოიკოტი 1980 წელს განხორციელდა. ორგანიზატორი მაშინაც რუსეთი იყო და ის მოსკოვში გაიმართა. 81 მოწვეული ქვეყნიდან, სხვადასხვა მიზეზებით, რუსეთს მონაწილეობაზე 64-მა ქვეყანამ უარი განუცხადა. ოლიმპიადების ისტორიაში 1980 წლის მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადა ყველაზე მცირერიცხოვან ოლიმპიადად შევიდა ისტორიაში. მაშინ რუსეთს ბოიკოტით მთელმა მსოფლიომ აგრძნობინა, რომ მის აგრესიას არავინ შეურიგდებოდა. ოლიმპიადის დაწყებამდე თვეებით ადრე ავღანეთის სამხედრო ინტერვენცია და ოკუპირება რუსეთს, პირველ რიგში, დიდმა ბრიტანეთმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ არ აპატიეს. ბოიკოტის ინიციატორები სწორედ ეს ქვეყნები და მათი ხელმძღვანელები იყვნენ. ამერიკის მაშინდელმა პრეზიდენტმა, ჯიმი კარტერმა მოთხოვნაც კი დააყენა, სხვა ქვეყანაში ჩატარებულიყო ოლიმპიადა. საკითხი გაეროშიც განიხილეს და გაეროს 104-მა წევრმა ქვეყანამ დაგმო რუსეთის აგრესია, თუმცა მაშინ ბრეჟნევმა მაინც თავისი გაიტანა და ირწმუნებოდა, დასავლეთი სპორტს პოლიტიკაში ურევს და ამით სპორტსმენების უფლებებს არღვევსო. საკუთარი ღირსების წარმოდგენა რუსეთს მილიარდობით მანეთი დაუჯდა. როგორც ამბობენ, მაშინ მოსკოვი უპრეცედენტოდ დაცული ქალაქი იყო, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებიც კი დროებით გაყვანილი ჰყავდათ ქალაქიდან და მილიციის გარდა, „კანონიერი ქურდები“ და 15 ათასამდე ჩეკისტი ქვეყნის ხელისუფლების უშუალო დავალებით აკონტროლებდა სიტუაციას.

მიუხედავად ყველა მცდელობისა, მსოფლიომ მაინც არ მიიღო რუსეთის მაშინდელი შეთავაზება. ამის მიზეზი ისევ მწარე წარსული იყო. თავის დროზე ოლიმპიადის ერთ-ერთი პირველი ბოიკოტირების გეგმა 1936 წელს ჰიტლერის წინააღმდეგ გაჩნდა. გერმანიის მმართველმაც ყველაფერი გააკეთა, რომ ოლიმპიადის ჩატარების უფლება მიეღო. შესაბამისად, ის არც დათმობას აპირებდა და არც ოლიმპიადის ჩაშლას. თუმცა ამის მცდელობა საერთაშორისო საზოგადოების ნაწილს მაინც ჰქონდა. მათ არაფერი გამოუვიდათ, რადგან, ჰიტლერის ბრძანებით, ოლიმპიადის წინ დროებით შეწყდა ებრაელების ღია დევნა, აიკრძალა საგზაო სამუშაოებში პატიმრების გამოყენება, ქალაქებში ანტისემიტური წარწერებიც კი ჩამოხსნეს და დროებით ანტიებრაული კანონების მიღებაც კი შეწყვიტეს. ჰიტლერმა ყველაფერი გააკეთა, რომ ოლიმპიადაზე მაქსიმალურად ბევრი ტურისტი ჩასულიყო. პრინციპში, შეიძლება ითქვას, მაშინ გერმანიამ მიზანს მიაღწია. ოლიმპიადაში 49 ქვეყანამ და დაახლოებით 4 ათასამდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ტურისტების რაოდენობა კი 4 მილიონამდე დაფიქსირდა, თუმცა მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა, რომ ნაცისტური რეჟიმის დროს ბერლინში ოლიმპიადის ჩატარება შეცდომა იყო და საერთაშორისო საზოგადოებას ბოდიში ღიად მოუხადა.

ოლიმპიადების ბოიკოტის ფორმა განსაკუთრებით პოპულარული მეოცე საუკუნეში გახდა. ეს პოლიტიკაში საუკეთესო საშუალებად ითვლებოდა საზოგადოების აზრის სწორად ფორმირებისთვის და რაც მთავარია, კონკრეტული პრობლემისადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მისაქცევად.

სწორედ ამ მაგალითებს იშველიებს უმცირესობის წევრი, შოთა მალაშხია, როცა ხელისუფლებას სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს. მით უფრო მაშინ, როდესაც ოლიმპიადის ჩატარება იმ ტერიტორიაზეა დაგეგმილი, საიდანაც 2008 წლის აგვისტოში საოკუპაციო ჯარები შემოვიდნენ... და მით უფრო მაშინ, როცა ოლიმპიადის ორგანიზატორი არის ადამიანი, რომელიც საუკუნის შეცდომად სწორედ საბჭოთა კავშირის დაშლას თვლის. თუმცა მიუხედავად ამისა, დღევანდელი ხელისუფლების პოზიცია მაინც ასეთია – „თუკი ოლიმპიადაზე ყველაფერი იქნება ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, ჩვენი ოლიმპიური გუნდი გაემგზავრება ოლიმპიადაზე“... გუნდში მაია ფანჯიკიძე სპორტსმენებსაც გულისხმობს და პოლიტიკოსებსაც, რა თქმა უნდა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი პოლიტიკური ძალა – ნინ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ეკლესიაში, როგორც ჩანს, არიან ძალები, რომლებიც პოლიტიკაში ეკლესიის გავლენების დაფიქსირებას ოფიციალურად მოითხოვენ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა სასულიერო პირებმა (ზოგიერთმა მათგანმა) პარლამენტში საკუთარი ფრაქციის შექმნის სურვილი ხმამაღლა დააფიქსირეს. შეხების წერტილი აქამდეც ბევრი იყო, თუმცა, როგორც წესი, ყველაფერი დახურულ კარს მიღმა ხდებოდა.

მამა ელიზბარი თავად აღნიშნავს, რომ ეკლესია პოლიტიკაში ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს აქტიურად ერეოდა. საკუთარი სურვილის გასამყარებლად კი დიდი ბრიტანეთის პარლამენტი მოჰყავს...

მამა ელიზბარი:

– აუცილებელია, მართლმადიდებელი ეკლესია ღიად ერეოდეს პოლიტიკაში. ოღონდ პრეფექტად კი არ უნდა დაინიშნოს მარტო. ბატონ ზვიად გამსახურდიას ეს გადასარევად ჰქონდა, მაშინდელ უზენაეს საბჭოში სასულიერო პირებიც იყვნენ წარმოდგენილნი. იმიტომ რომ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოსთან გვაქვს საქმე, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ადათ-წესები და ტრადიციები. აუცილებელია მათი გათვალისწინება. მე ქართველი ვარ და ვერ მოვიქცევი, როგორც ამერიკელი, ან რუსი. ჩემთვის მარტო ჩემი ტრადიციებია მნიშვნელოვანი და მისაღები. თუ თავის დროზე ეკლესია არ ჩაერეოდა პოლიტიკაში, არ გვეყოლებოდა დავით აღმაშენებელი, ვერ მივიღებდით გრიგოლ ხანძთელს. მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოში, ინგლისის პარლამენტის მსგავსად, ერთი ფრაქცია აუცილებლად უნდა იყოს საეკლესიო პირების. ჩვენი ქვეყანა მართლმადიდებლური ქვეყანაა და ეს ფრაქცია უნდა იყოს მართლმადიდებლური. მე საერთოდ, გაზეთის ფურცლებიდან მოვუწოდებდი ბატონ ბიძინას, სახალხო დამცველად რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი იობი დაენიშნა.

პოლიტიკურ სპექტრში ეკლესიის პოლიტიკაში ჩართვის იდეას სკეპტიკურად შეხვდნენ. პოლიტიკოსები, როგორც ჩანს, არ აპირებენ ამ სეგმენტში აპოლიტიკური და ალოგიკური ფიგურების შემოყვანას. ისეთი ადამიანების დაფიქსირებას, რომელიც პოლიტიკური პროცესებიდან ქვეყანას სხვა უფრო სახიფათო ტენდენციებისკენ წაიყვანს.

ლევან ბერძენიშვილი: „ვილაცას შეიძლება მოსწონს ვასაძე, მე ლიბერალი ვარ და გასაგებია, რომ ჩემი მომხრეები მას მხარს არ დაუჭერენ“

ლევან ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი:

– ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებდი... სერიოზული არ მგონია. ჩვენს პარლამენტში ახლა, ამ წუთას კაბით არავინ დადის და არც ერთი მღვდელი არ გვყავს. არა მგონია, რომ ოდესმე ფრაქციის დონეზე განიხილებოდეს ეს საკითხი. თუმცა თუ იქნება, მე პირადად აბსოლუტურად მშვიდად შევხვებოდი ამ ამბავს. ყველას უნდა ჰქონდეს აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება.

– ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე ახალი პოლიტიკური ძალა შეიქმნება. არგუმენტად კი არჩევნებზე არმოსული 55% მოჰყავთ და აცხადებენ, რომ ეს ნიშა თავისუფალია...

– ვფიქრობ, ახალ ძალას დიდი შანსები არ აქვს. ეს ყველაფერი უფრო ძველ ძალებს შორის მოხდება: არსებული კოალიცია, რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობა“, ნინო ბურჯანაძე, მის ირგვლივ გაერთიანებული ძალები. არ ვიცი, რამდენი გაერთიანდება, კი ითქვა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატებმა თქვეს, რომ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა.

– ლევან ვასაძის პოლიტიკურ გააქტიურებას ელოდებით?

– ლევან ვასაძემ თქვა, პოლიტიკა მეზიზღებაო. ამიტომ ჩვენ მისი გვჯერა. თუმცა, თუ გამოჩნდება, ესეც საინტერესოა, არაფერი პრობლემა არ არის. ყველას თავისი არჩევანი უნდა ჰქონდეს, ვილაცას შეიძლება მოსწონს ვასაძე, მე ლიბერალი ვარ და გასაგებია, რომ ჩემი მომხრეები მას მხარს არ დაუჭერენ.

– რამდენად შეიძლება, რომ ლევან ვასაძემ ნინო ბურჯანაძეს დაუჭიროს მხარი?

– ეს ის სფეროა, რომელზეც არ ვფიქრობ ხოლმე. ისე, წარმოდგენით, ძალიან ბევრი რამ წარმომიდგენია. შეიძლება, კი, როგორ არა?

– მხოლოდ პროდასავლური ძალების გაერთიანების შანსი რამდენად არსებობს? მაგალითად, ნაციონალები, რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები...

– ამ წუთას ეს სრულიად წარმოუდგენელია. რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები პროდასავლური ძალები რომ ვართ და მმართველ პარტიაში ძალიან ბევრი პროდასავლური ადამიანი რომ არის, ამიტომაც ვართ ერთად. ცალკე გაერთიანების საშუალებას და მით უფრო აუცილებლობას, ვერ ვხედავ. რაც შეეხება ნაციონალებთან ერთად ყოფნის ისტორიულ შესაძლებლობას მე საერთოდ ვერ ვხედავ. ამის საჭიროებასაც ვერ ვხედავ, მართალი გითხრათ. მათ გარეშეც მშვენივრად ვგრძნობთ თავს.

ლევან ბერძენიშვილს ექსპერტების ნაკლებად სჯერა. ის აცხადებს, რომ ექსპერტები უფრო იმას წინასწარმეტყველებენ, რაც მათ აწყობთ და არა იმას, რაც შეიძლება მოხდეს. მისი განწყობაც შესაბამისია ახალი ძალის შექმნის მიმართ. თუმცა კახი კახიშვილი პოლიტიკაში ახალი ძალის გაჩენას გარდაუვლად მიიჩნევს. მისი ლოგიკა მარტივია: საპრეზიდენტო არჩევნებზე არ მივიდა 55%, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ნახევარზე მეტს არც „ოცნება“ ეხატება გულზე და არც მათი ოპოზიცია. შესაბამისად, ისინი რაღაც ან ვილაც ახალს ელოდებიან. საინტერესო აქ ერთი დეტალია. რამდენად მიიღებენ ახალ ძალად ნინო ბურჯანაძეს? კახიშვილის განცხადებით, სწორედ ბურჯანაძის ირგვლივ ჩამოყალიბდება საარჩევნო კოალიცია ან ერთობა...

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– ახალ ძალაში არ იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც არავისთვის არ არიან ცნობილები, ეს შეიძლება იყოს ახალი კოალიცია ან ისეთი სახეებისგან დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც ახალ განაცხადს გააკეთებს პოლიტიკაში შესვლის შესახებ. უმრავლესობა იმასაც აცხადებდა, რომ ოპოზიცია საერთოდ არ გვყავს და მოდი, ჩვენ და „ნაციონალური მოძრაობა“ ვიქნებით მარტოო, მაგრამ გამოჩნდა, რომ 55% არჩევნებზე საერთოდ არ მივიდა, მისულებიდან 10%-მა კი ნინო ბურჯანაძეს დაუჭირა მხარი. ასე რომ, არიან ადამიანები, რომლებიც კონკრეტული ახალი ძალის შექმნას ელოდებიან. ბუნებრივია, ძალიან რთული იქნება ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა.

– რაზეა მისი შექმნა დამოკიდებული?

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ახალი პოლიტიკოსები რომ გაჩნდნენ ქვეყანაში, ეს მხოლოდ ვინმეს სურვილზე არ არის დამოკიდებული. მთავარია, იყოს შესაბამისი საარჩევნო კოდექსი და მასში იყოს თანაბარი პი-

მამა ელიზბარი: „მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოში, ინგლისის პარლამენტის მსგავსად, ერთი ფრაქცია აუცილებლად უნდა იყოს საეკლესიო პირების“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲘᲡᲗᲕᲘᲡ 10% ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲛᲘᲛᲖᲘᲓᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐ�პᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

„ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘ, ᲙᲝᲐᲚᲘᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐᲡ“

რობები, არ უნდა იყოს დაფინანსების პრობლემა, შეიძლება ადამიანს უნდოდეს, რეგისტრაციაში გაატაროს ახალი პოლიტიკური პარტია, მაგრამ ამისთვის საჭიროა ოფისები და ძალიან ბევრი ხელშემწყობი გარემოება, რაც პრობლემაა. ფინანსები ყველაზე პრობლემური საკითხია, დღეს ბიზნესმენები, რომლებსაც აქვთ ფული და შეუძლიათ დაფინანსება, გაყოფილები არიან. ნაწილი „ნაცმოძრაობას“ აფინანსებს, ნაწილი – „ოცნებას“. თუ ხელისუფლებას სურს, რომ ახალი პოლიტიკური ძალა გაჩნდეს, მაშინ ხელიც უნდა შეუწყოს.

– ფინანსური დახმარების გაწევა შეუძლია ლევან ვასაძეს, მით უფრო, რომ ის უფრო და უფრო აქტიურად ჩნდება ბოლო დროს. როგორ ფიქრობთ, ბურჯანაძემ შეიძლება საკუთარი თავი შესთავაზოს?

– არ ვიცი, ეს რამდენად შესაძლებელია. ერთი ვიცი, რომ ვასაძე არის მარგველაშვილის მეგობარი და ამავდროულად მან თქვა, რომ პოლიტიკური ამბიციები არ გააჩნია. ჩაერთვება თუ არა პოლიტიკაში, ვერ გეტყვით. ეს მათი გადასაწყვეტია. თუმცა ვიტყვი, რომ კოალიციების შექმნის საფუძველი ნამდვილად არის. როდესაც არჩევნებზე 55% არ გადის, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილოა ნაციონალებითაც და „ოცნებითაც“ და ის ახალ ძალას ელოდება. ბუნებრივია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ ახალი ძალა შეიქმნება, ეს 55% აუცილებლად მას დაუჭერს მხარს. ამ 55%-დან შეიძლება ახალ ძალას მხოლოდ 15%-მა დაუჭიროს მხარი. ბუნებრივია, ბურჯანაძისთვის 10% სერიოზული ფუნდამენტია, რომ გახდეს მიმზიდველი არასაპარლამენტო ოპოზიციის გარკვეული ნაწილისთვის. აქედან გამომდინარე, როდესაც თვითმმართველობის არჩევნებზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ არიან პარტიები, რომლებსაც სურვილი აქვთ, მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ ამის საშუალება არ გააჩნიათ, სწორედ ასეთი პარტიები შეიძლება გაერთიანდნენ

იგივე ბურჯანაძესთან. არ არის გამორიცხული, კოალიცია შეიქმნას. თუმცა ეს არ არის მხოლოდ სურვილზე დამოკიდებული, მათ მოუწევთ, მოილაპარაკონ კვოტებზე, ადგილებზე. არ არის გამორიცხული, კოალიციის წევრებიც ცალკე გავიდნენ არჩევნებზე. არ არის გამორიცხული, ამ დროისთვის თავად კოალიციაშიც მოხდეს გადაჯგუფებები და „ნაციონალურ მოძრაობაშიც“.

– ხედავთ ამის ნიშნებს ახლა?

– საპარლამენტო არჩევნებამდე დიდი დროა და მით უმეტეს კოალიცია ივანიშვილის გარეშე როგორ გაძლებს. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“ დარწმუნებული ვარ, ისინიც ფიქრობენ გადაჯგუფებაზე. ეს მათთვისაც მომგებიანი იქნება. მათ, ალბათ, უფრო გამოეყოფა ცალკე ჯგუფი, ან შეიძლება სხვასთან ერთად აღმოჩნდნენ კოალიციაში. დღეს ვინც ერთმანეთთან დაპირისპირებაშია, არ გამოვრიცხავ, ერთად აღმოჩნდნენ და ვინც კოალიციაშია, პირიქით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

– როდისთვის შეიძლება შეიქმნას ახალი ძალა?

– ალბათ, უფრო ადგილობრივი არჩევნების წინ ვიხილავთ კოალიციებს, მაგალითად, ნინო ბურჯანაძის გარშემო გაერთიანდეს საარჩევნო ბლოკი. თუმცა განსაკუთრებით საინტერესოა, რა ფორმით იქნება წარმოდგენილი კოალიცია საპარლამენტო არჩევნების წინ.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ 19 წᲚᲘᲡᲐᲐ

ᲐᲕᲔᲠᲡᲘ
AVERSI

ძნელია, იყო ლიდერი, როდესაც ბაზარზე ამდენი წარმატებული ფარმაცევტული კომპანიაა და თითოეული მათგანი ღირსეულ კონკურენციას გიწევს. მიუხედავად ამისა, უკვე 19 წელიწადია, "ავერსი" ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს.

არ არსებობს იდეალური კომპანია, თუმცა "ავერსი" გამუდმებით სრულყოფისკენ მიისწრაფვის, მისი ყოველი ნაბიჯი კი ერთ მიზანს – ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას _ ემსახურება.

"ავერსი" სტაბილურად მზარდი კომპანიაა, რომლის ლოგოს ქვეშ გაერთიანებულ სხვადასხვა რგოლში დღეს რვა ათასამდე ადამიანია დასაქმებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამდენივე ოჯახს სტაბილური შემოსავალი აქვს.

სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს, იმავდროულად, წარმატებულ კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად სოლიდური თანხა შეაქვს.

"ავერსი" სტაბილურობისა და მაღალი ხარისხის სინონიმად იქცა. ამ ბრენდის პროდუქცია და მომსახურება დღეს საყოველთაოდ ხელმისაწვდომია: თბილისში "ავერსის" 109 აფთიაქია, რეგიონებში კი – 116. აქ მედიკამენტებს ყველაზე დაბალანსებულ ფასად შეიძენთ. ასორტიმენტიც მრავალფეროვანია. მთავარი შტრიხი კი, რითაც "ავერსის" აფთიაქებს სხვა, კონკურენტი ფირმის ფილიალებისგან განასხვავებს, ევროპული სტანდარტების შესატყვისი მომსახურება და მაღალკვალიფიციური პერსონალია.

ქართულმა ნაწარმმა საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად გრძელი და რთული გზა განვლო, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ავერსი-რაციონალის" პროდუქციამ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ბაზარი მოიცვა, არამედ საზღვარგარეთაც ღირსეულ კონკურენციას უწევს მსოფლიოს წამყვანი ფარმაცევტული კომპანიების ნაწარმს.

ამჟამად საწარმო 143 დასახელების პროდუქციის 230 პოზიციას აწარმოებს.

შეგახსენებთ, რომ "ავერსი-რაციონალს" ISO 9001 სერტიფიკატი 2006 წელს მიენიჭა, 2008 წლიდან კი ის GMP EU და FDA GMP სტანდარტებისადმი შესაბამისობის სერტიფიკატის მფლობელი გახლავთ.

ISO 9001-ის მფლობელია "ავერსის" კლინიკათა ქსელიც, რომელიც უკვე 9 ფილიალს ითვლის. ის პირველი მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭა.

"ავერსის" კიდევ ერთი წარმატებული პროექტი სადაზღვევო სექტორში "ალფას" გამოჩენა გახლდათ. ის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სადაზღვევო კომპანიაა, რომელიც მთლიანად ქართულ კაპიტალზეა დაფუძნებული. უპრეცედენტო პირობებისა და მომსახურების მოქნილი სისტემის წყალობით მან მალე მოიპოვა პოპულარობა.

"ხშირად მეკითხებიან, რა არის წარმატების საიდუმლო. ვფიქრობ არავითარი საიდუმლო არ არსებობს, წარმატება მხოლოდ კეთილსინდისიერი შრომის შედეგია", – აღნიშნა "ავერსის" დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ.

"ავერსისთვის" ქველმოქმედება ტრადიციაა. დაარსების დღიდან მან არაერთ სასიკეთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. "ავერსის" სახელს უკავშირდება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი – მრავალშვილიანთა დახმარების პროექტი, რომელიც ყველაზე ეროვნულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს. საქველმოქმედო ფონდი "ავერსი" კიდევ მრავალ ასეთ პროექტს ახორციელებს.

14 ნოემბერს "ავერსს" 19 წელი შეუსრულდა. დაბადების დღეს ის კვლავ საქველმოქმედო აქციით აღნიშნავს _ სადილი ყველას ტრადიციულად, "კათარზისში" გაიმართება, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია სტუმრობა. მათ აქ ცხელი კერძებით გაუმასპინძლდებიან.

ვულოცავთ "ავერსს" ამ თარიღს და კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებთ, რადგან ის თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობასა და სულიერ სიმშვიდეზე ზრუნავს.

2-967-227
WWW.AVERSI.GE

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რა ცვლილებები მზადდება კონსტიტუციაში

EXCLUSIVE

ვახტანგ ხმალაძე: „ახალი კონსტიტუციით ბევრი რამ უნდა გადალაგდეს, რომ გაწონასწორდეს ხელისუფლების განშტოება თუ უფლებამოსილება“

შსს-ს გაყოფა, პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ და პრემიერის უფლებების დაბალანსება

ავთანდილ დემეტრაშვილი:
„ვახტანგ ხმალაძისა და „რესპუბლიკელების“ მოთხოვნა იქნება, რომ პრეზიდენტი არჩეული იყოს არაპირდაპირი წესით“

ლევან ალაფიშვილი:
„შსს-ს გაყოფა არა მხოლოდ პოლიტიკური მოცემულობის, არამედ თანამედროვეობის საკითხია“

ავთანდილ დემეტრაშვილი:
„არ გამოვრიცხავ, რომ უშიშროების სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყოს და ცალკე არსებობდეს“

ნინო დათაშვილი

2014 წლის 1-ელ სექტემბერს საქართველოში ახალი საკონსტიტუციო მოდელი ამუშავდება. უკვე შექმნილია კომისია, რომელიც მოსალოდნელ საკონსტიტუციო ცვლილებებზე იმსჯელებს. სავარაუდოდ, კომისიის მუშაობის პროცესში მთავარი მმართველობის მოდელზე მსჯელობა იქნება. როგორც ამბობენ, უმრავლესობაში ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებებია. სავარაუდოდ, საპარლამენტო მოდელზე გადასვლის საკითხს კომისიის მუშაობის პროცესში „რესპუბლიკელები“ და ვახტანგ ხმალაძე დააყენებენ. როგორც კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი ამბობს, ვახტანგ ხმალაძის ბავშვობის ოცნებაა პრეზიდენტის არჩევა არაპირდაპირი წესით... მისი ვარაუდით, სწორედ ის იქნება ამ საკითხის ინიციატორიც... თავად ხმალაძე მოსალოდნელ ცვლილებებზე საუბრისგან თავს იკავებს. მხოლოდ იმას ამბობს, რომ ახალი კონსტიტუციით ხელისუფლების განშტოებების უფლებამოსილებები გაწონასწორდება. ცვლილებებს რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურაში ელოდებიან, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში. არ არის გამორიცხული, ის ორად გაიყოს და შსს-ს უშიშროების სამსახური გამოეყოს, რომელიც ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება.

ვახტანგ ხმალაძე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

– კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ პარლამენტს ჯერ არ დაუმტკიცებია. კომისიის შემადგენლობის პროექტი და დებულება პარლამენტს ჯერ არ განუხილავს.

– რაც შეეხება მოსალოდნელ ცვლილებებს, თუ არის შესაძლებელი, რომ ახალი კონსტიტუციით შსს ორად გაიყოს?

– ამაზე უკვე კომისია იმსჯელებს.

– რაც შეეხება პრემიერის უფლებებს, შესაძლებელია თუ არა, რომ მას უფლებები შეეზღუდოს და მისი უფლებები დაბალანსდეს?

– ახალი კონსტიტუციით ბევრი რამ უნდა გადალაგდეს, რათა გაწონასწორდეს ხელისუფლების განშტოება თუ უფლებამოსილებები. დღესდღეობით ეს წონასწორობა არ არის. მეტსაც გეტყვით, არის საკითხები, რომელიც პრეზიდენტს არ აქვს და, ჩემი აზრით, უნდა ჰქონდეს.

– რა საკითხებია ეს?

– ახლა შინაარსობრივად ვერ მოგიყვებით. ყველა ეს საკითხი კომისიის სხდომაზე დაისმება. ამის შემდეგ გაირკვევა, ვის რა უფლებები დარჩება და ვისი უფლებები შეიკვეცება. მეტს ვერაფერს გეტყვით.

ავთანდილ დემეტრაშვილი, კონსტიტუციონალისტი:

– კონსტიტუციაში ეწერა, ახლა აღარ არის ჩანაწერი, რომ არ შეიძლება შერწყმული იყოს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამსახურები. კუდ-ი და სოდ-ი ცალ-ცალკე არსებობდა. ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ ისინი, როგორც ცალკე არსებულები, გაუქმდა, მაგრამ შესაბამისი სამსახურები შეიქმნა შინაგან საქმეთა სამინისტროს შიგნით. რამდენადაც ვიცი, ვახტანგ ხმალაძისა და საზოგადოებრივ-საკონსტიტუციო კომისიის მოსაზრება იყო, რომ ესენი ერთად არ უნდა იყვნენ. არ გამოვრიცხავ, რომ უშიშროების სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოეყოს და ცალკე არსებობდეს. არა როგორც სამინისტრო, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო სამსახური.

– პრემიერის უფლებებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, არის ვარაუდი, რომ მისი უფლებები შეიკვეცოს... როგორ ფიქრობთ, რომელი უფლებებია ზედმეტი პრემიერ-მინისტრისთვის?

– ვფიქრობ, თუკი ეს კომისია იმუშავებს, იმუშავებს სხვა მიმართულებით. არა უფლებების გადაქაჩვაზე პრეზიდენტიდან პრემიერზე, არამედ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევაზე. ეს არის ვახტანგ ხმალაძის ბავშვობის ოცნება, რომ პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი. არ გამოვრიცხავ, რომ ამის მცდელობა იქნება. თუმცა ისიც ვიცი, რომ, თუ კომისია შეიქმნა, ვახტანგ ხმალაძისა და რესპუბლიკელების მოთხოვნა იქნება, რომ პრეზიდენტი ავირჩიოთ არაპირდაპირი წესით, ან პარლამენტის მიერ ან იმ ორგანოს მიერ, რომელშიც პარლამენტს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– რაც შეეხება პრემიერის უფლებებს?

– ერთი კარგი გააკეთა ახალმა ხელისუფლებამ, რომ აღადგინა ის ნორმა, რომლის მიხედვითაც, თუ პრემიერ-მინისტრი შეცვლის მთავრობის შემადგენლობას ერთი მესამედით მაინც, ის ვალდებულია, წარდგეს პარლამენტის წინაშე და მიიღოს ნდობა. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს უნდობლობის კონსტრუქციული მოდელის გაზრდა, ანუ უნდა გაიზარდოს პარლამენტის როლი. არა პრეზიდენტის, რომელსაც აქვს ვეტოს უფლება, არამედ პარლამენტის. უნდა გამარტივდეს უნდობლობის გამოცხადების პროცედურა. რაც შეხება პრემიერ-მინისტრს, მას მაინცდამაინც დიდი უფლებები არ გააჩნია. დიდი უფლებები აქვს მთავრობას. ვნახოთ, რაზე შეთანხმდება ხმალაძის საზოგადოებრივ-საკონსტიტუციო კომისია.

ლევან ალაფიშვილი, ექსპერტი:

– შსს-ს შესაძლო გაყოფა არა მხოლოდ პოლიტიკური მოცემულობის, არამედ თანამედროვეობის საკითხია. სპეცსამსახურისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაერთიანება თანამედროვე, დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი არ არის. ეს ორი ფუნქცია გაყოფილი უნდა იყოს. ეს იქნება ერთ-ერთი თემა, რასაც საკონსტიტუციო კომისიაში განიხილავენ.

– რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის უფლებებს, როგორ ფიქრობთ, შეიძლება მას უფლებები შეეზღუდოს?

– თუ კონსტიტუციას გადახედავთ, ვერც ერთ ფუნქციას ვერ ნახავთ, რომელზეც შეიძლება ვთქვათ, რომ პრემიერის უფლებები გაიზარდა. თუკი ვისაუბრებთ აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით, მთავრობის, როგორც პოლიტიკური სუბიექტის, უფლებების გაზრდაზე, კი ბატონო. ანუ, რის თქმა მინდა, საბოლოოდ, პრემიერის გადაწყვეტილების მისაღებად ყველა მინისტრის თანხმობაა საჭირო. ამიტომ ეს პრემიერის უფლებების გაზრდა არ არის. რიტორიკაში ასე ჟღერს, რომ პრემიერის უფლებამოსილება გაიზარდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ზოგადად, ამ საკონსტიტუციო კომისიაში იქნება მსჯელობა – წმინდა საპარლამენტო მმართველობაზე გადავალთ თუ დავრჩებით დღევანდელ მმართველობის გაურკვეველ მოდელზე. ვფიქრობ, საკონსტიტუციო კომისია მმართველობის მოდელზე იმსჯელებს. აქ უკვე ბევრი რამ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსთა შეხედულებებზე იქნება დამოკიდებული. უმრავლესობის შიგნით მმართველობის მოდელზე განსხვავებული შეხედულებებია. დღევანდელი მმართველობის მოდელი საკმაოდ უცნაურია, რადგან არც საპარლამენტოა, არც საპრეზიდენტო და არც შერეული. თუ კომისიის მუშაობის დროს კონსენსუსის მიღწევა არ მოხერხდა, დარჩება მმართველობის დღევანდელი მოდელი. ეს უნდა გაითვალისწინოს ყველამ. იმედია, კონსენსუსი მიიღწევა, რადგან ეს არის კომისია, რომელიც მუშაობს მთლიანად კონსტიტუციის შეცვლაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძეს მოუწევს დამტკიცოს, რომ მისი პარტიის არსებობა და ზოგადად მისი მოღვაწეობა ქართულ პოლიტიკაში რაიმე დატვირთვით მაინც არის მნიშვნელოვანი. გამოცდის სახით ის აუდიტორიის წინაშე ადგილობრივ არჩევნებზე წარდგება. მანამდე კი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ცდილობს, ის წაგება „გადახარშოს“, რომელიც 27 ოქტომბერს განიცადა და მდგომარეობას შეეგუოს. შესაგუებელი მართლაც ბევრი აქვს. ცოცხების მითით დამარცხებული ნაციონალები „სუფთა წარსულის“ მქონე ბურჯანაძეს უსწრებენ და თანაც მთელი ორი ათეულით. მართალია, რადიკალური ოპოზიციის ყოფილ ლიდერს დაწერილი 10% ეცოტავება, მაგრამ, როგორც ამბობენ, რეალური ციფრი ორნიშნა ნამდვილად არ არის... სწორედ ამიტომაც გადაიფიქრა მან ქუჩაში გამოსვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტოს მოუწევდა გაპროტესტება. მისი ყოფილი თანაგუნდელებიც აღიარებენ, რომ ბურჯანაძეს ქუჩაში ხალხი ნამდვილად აღარ გაჰყვებოდა...



ვახტანგ ყოლბაია: „ნინო ბურჯანაძეს გეგმები აქვს ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით, ამ თვალსაზრისით მას სერიოზული ამბიცია აქვს და საამისო საფუძველიც გააჩნია“

EXCLUSIVE

„მართალია, რუსეთი გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს პოლიტიკურ საკითხებზე, რადგან სხვა ქვეყანა არ უნდა ერეოდეს ჩვენს შიდა საქმეებში, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სწორედ ჩვენს საზოგადოებას მოუწევს“

ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე:

– რუსეთი პრაქტიკულად ეგუება იმას, რომ ვილნიუსის სამიტზე მოხდება ჩვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის პარაფირება. ეს არის ის პროცესი, რომელსაც რუსეთის პოლიტიკურ წრეებში უკვე გარდაუვალ პროცესად თვლიან. მათ მეტი გართულება აქვთ ნატოსთან ურთიერთობაზე, აქ შეიძლება ნაკლები სიმშვიდე იყოს და, ალბათ, დაძაბულობა კიდევ უფრო გაამწვავებს აფხაზ-ქართველთა ურთიერთობებს. ვილნიუსის სამიტის შემდეგ არის ჟენევის 26-ე რაუნდი და სწორედ აქ ვიგრძნობთ რუსეთის მხრიდან დამოკიდებულებას. სიტუაცია შეცვლილია საქართველოს მხრიდან, რიტორიკა არის სხვა, განწყობებიც შეცვლილია, სხვანაირია თავად რუსეთში მიმდინარე პროცესებიც საქართველოსთან მიმართებაში, ალბათ, რუსეთი საკუთარ თავს მისცემს იმის საშუალებას, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა არ თქვან: კარგი, შევარდნაძესთან ურთიერთობა ვერ დაალაგეს, არ მოსწონდათ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება, ახლა არის აბსოლუტურად სხვა განწყობა და თუ მაინც ვერ ალაგებენ ურთიერთობებს, გამოდის, რეალური მიზეზი სულ სხვაა... დარწმუნებული იყავით, რომ რუსეთს ასეთი დამოკიდებულება დისკომფორტს უქმნის.

– თქვენ ამბობთ, რომ რუსეთი იძულებული გახდება, დამოკიდებულება შეცვალოს?

– კი, ასეა, უბრალოდ, არ მინდოდა სიტყვა „იძულება“ მეხსენებინა. ის ვალდებული გახდება, ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო აზრს. რუსეთში, პოლიტიკურ წრეებში სიტუაციას უკვე ადეკვატურად აფასებენ, შეიძლება ცვლილება ჟენევის 26-ე რაუნდზე უშუალოდ არ მოხდეს, თუმცა ფაქტია, რომ პროცესი სწორედ დალაგებისკენ წავა.

– როგორც ამბობდნენ, უკვე ყოფილი პრეზიდენტის მიმართ სამართლებრივი დევნა სწორედ რუსეთის კულუარული მოთხოვნა იყო. სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძე ყოველთვის ღიად აფიქსირებდა საკუთარ აზრს და აცხადებდა, რომ სააკაშვილი არათუ უნდა დააპატიმრონ, მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვა უნდა მოხდესო, თუმცა ფაქტია, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ მთავარ ოპოზიციურ ძალად დაფიქსირდა...

– დაფიქსირება მათი სურვილი უფრო იყო.

– თუმცა ფაქტია, შედეგები აღიარეს საქართველოშიც და საერთაშორისო ორგანიზაციებმაც.

– რა თქმა უნდა, რუსეთშიც, ისევე როგორც საქართველოს შიგნით, გარკვეულ წრეებში დამოკიდებულება სააკაშვილისა და მისი გუნდის ქმედებების მიმართ იყო და არის ნეგატიური. ამას არავინ მალავს, მით უფრო რუსეთში, იქ ნამდვილად არის ასეთი განწყობები. რუსეთში ერთი კონკრეტული პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრება ხშირად გადმოსცემს მთელი რიგი პოლიტიკური ძალის განწყობას. მაგალითად, ჩვენ კარგად გვახსოვს ჟირინოვსკის მიერ გახმოვანებული იდეები, ეს პოლიტიკური ელიტის აზრია. მართალია, რუსეთი გავლენას ვერ მოახდენს საქართველოს პოლიტიკურ საკითხებზე, რადგან სხვა ქვეყანა არ უნდა ერეოდეს ჩვენს შიდა საქმეებში, თუმცა ფაქტია, რომ სააკაშვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღება სწორედ ჩვენს საზოგადოებას მოუწევს.

– როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს პოლიტიკაში ნინო ბურჯანაძეს, პრინციპში, ის არჩევნების შედეგად ქუჩის ოპოზიციად დაფიქსირდა...

– არა, ქუჩის ძალად არ დაფიქსირებულა. იცით, არ მიფიქრია იმაზე, რომ მესამე ძალა გულისხმობს ქუჩის ძალას. თავად ბიძინა ივანიშვილმაც განაცხადა, რომ პოლიტიკურ წრეებშიც არის მოლოდინი მესამე ძალის შექმნის. ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ რომ მესამე ძალა არის სწორედ ის, რომელმაც არჩევნებში მესამე ადგილი მოიპოვა. მე როგორც ვიცი, ნინო ბურჯანაძე აქტიურად აგრძელებს პოლიტიკურ მოღვაწეობას, გეგმები აქვს ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით მას სერიოზული ამბიცია აქვს და საამისო საფუძველიც გააჩნია. 10% მართალია, არ არის ის რეალური ციფრი, რომელიც ამ პარტიამ მიიღო...

– თქვენი აზრით, რა იყო რეალური ციფრი?

– უფრო მეტი, ვიდრე დაუწერეს. ყოველ შემთხვევაში პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას აპირებს ქალბატონი ნინო. ადგილობრივ არჩევნებზე შესანიშნავი საშუალება ექნებათ პარტიასაც და მის მხარდამჭერებსაც, რომ დაამტკიცონ პარტიის არსებობის აუცილებლობა.

– ბურჯანაძის მოთხოვნას ვადამდელი არჩევნების შესახებ როგორ შეაფასებთ?

– არ მგონია, ვადამდელი არჩევნები შესაძლებელი იყოს ამ შემთხვევაში. პოლიტიკური განლაგება არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიღაცამ კატეგორიულად მოითხოვოს ვადამდელი არჩევნები და ეს მოთხოვნა შესრულდეს ან საზოგადოების ნაწილმა მას მხარი დაუჭიროს. შესაბამისად, ლოგიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიწინასწარმეტყველოთ საპარლამენტო ვადამდელი არჩევნები.

– თქვენ განაცხადეთ, რომ ბურჯანაძემ არჩევნებში რეალურად მეტი ხმა აიღო, ვიდრე დაფიქსირდა. თუ ასეა, რატომ არ გაასაჩივრა თავად ბურჯანაძემ ეს ფაქტი, მით უფრო არჩევნებამდე სწორედ ასე „იმუქრებოდა“?

– ბურჯანაძე ძალიან დიდი ხანია პოლიტიკაშია, ის აკვირდება მოვლენებს და ზუსტად იცის, სადამდე შეიძლება მივიდეს პროტესტი ან რისი მომტანია ის. მით უმეტეს, მზაობა მოსახლეობაში ქუჩის აქციების მიმართ არ იყო. ამიტომ ბურჯანაძემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა აღიარა, რომ არჩევნები შედგა. რაც შეეხება რეიტინგს, თავიდან მერყეობდა ეს ციფრი. პრინციპში, დიდი სხვაობა არ იყო, რაც პირველად დაფიქსირდა და რაც საბოლოოდ დაიწერა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტმა არ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამან განაპირობა ნაციონალების დიდი პროცენტი. ამომრჩევლის რაოდენობა რომ მეტი ყოფილიყო, ნინო ბურჯანაძეს მეტი შანსი ექნებოდა და ვერც ნაციონალები ვეღარ მიიღებდნენ ამხელა პროცენტს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ხუდონჰესის“ პროექტი და

ნინო ასათიანი: დაფინანსება, ან მისი შეწყვეტა კონფიდენციალური ინფორმაციაა... იცით, რა? ასეთი წერილები პრესაში არ ხვდება... ჯერჯერობით, ჩვენ არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

მაშ ასე, „პრაიმტაიმის“ გასულ ნომერში ენერგეტიკის მინისტრის ერთმა განცხადებამ, ალბათ, არაერთი თქვენგანი დააფიქრა.

ჰოდა, ჩვენც სწორედ ამ სკანდალს მივაკვლიეთ.

კალაძის განცხადება ასე გამოიყურებოდა: „ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წელს, სანამ ჩვენ მოვიდოდით, და ვალდებულები ვართ, შევასრულოთ ყველანაირი პირობა, რაც ამ ხელშეკრულებით არის გაწერილი. თუ ინვესტორი დაარღვევს ამ ხელშეკრულებას, მაშინ, რა თქმა უნდა, პროექტი ჩამოერთმევა, გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა და ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ კომპანიას შეეძლება, მიიღოს ტენდერში მონაწილეობა. ჩვენ ამ პროექტის განხორციელებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ“. გამოდის, რომ პროექტის განმახორციელებელი კომპანიისთვის, ინდურ-ბრიტანული „ტრანს ელექტრიკასთვის“ ყველაფერი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. არადა, ლიცენზიის ვადა, როგორც შევიტყვეთ, 3 თვეში, მომავალი წლის თებერვალში იწურება და ამ დროისთვის თუ მას აღებული ვალდებულებები შესრულებული არ ექნება, შესაძლოა, მისი ბედის ბორბალი სულ სხვა მიმართულებით დატრიალდეს. სულ სხვა თემაა, რა ბედი ეწევა იმ მიწებსა და ინჟინერულ ნაგებობებს, რომელიც ამ კომპანიას რამდენიმე წლის წინათ 1 ლარად გადაეცა. სხვათა შორის, მთავარი პროკურორობიდან გადადგომის შესახებ განცხადებამდე კბილაშვილმა სიმბოლურ ფასებში სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ ფაქტებზე გამოძიება დააანონსა. რამდენად შეეხება ეს „ტრანს ელექტრიკას“, ამას მომავალი გვიჩვენებს, რომელიც, შესაბამისად, აჩვენებს, რამდენად ძლიერი ლობი ჰყავს ამ კომპანიას „ნაოცნებარ ხელისუფლებაში“.

მანამდე კი ამბავი, რომლის შესახებაც ქვემოთ უნდა გიამბოთ:

„ხუდონჰესის“ მშენებლობა საქართველოში პირველად 1979 წელს დაიწყო. მდინარე ენგურზე კიდევ ერთი გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მას საშუალება მიეცა „ენგურჰესისთვის“, დამატებით 1 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია მიეღო. ჰესის მშენებლობას მაშინ ადგილობრივი მოსახლეობისა და ქართველი საზოგადოების პროტესტი მოჰყვა, რის გამოც, 1989 წლის ივნისში, მშენებლობა შეჩერდა. 2005 წლიდან კი საქართველოს მთავრობამ „ხუდონჰესის“ პროექტის ლობირება დაიწყო.

საქართველოს მთავრობასა და ინდურ კომპანია „TRANS ELECTRICA LTD“-ს შორის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმი 2009 წლის დეკემბერში გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიას ეს პროექტი მილიარდ ლარამდე უჯდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაწყებული არაერთი პროექტი ხელისუფლების ცვლის შემდეგ შეჩერდა, „ხუდონჰესს“ აქტუალობა არ დაუკარგავს.

ამასობაში, კი „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა წერილი, რომელიც 2013 წლის 27 აგვისტოთია დათარიღებული. წერილის ადრესატი „ტრანს ელექტრიკას“ პატრონი, ბატონი კანსაგრაა, ავტორი კი ერთ-ერთი ცნობილი საინვესტიციო კომპანიის, AV TECH Finance GmbH-ის ხელმძღვანელი, ქალბატონი გაბრიელა რუდორფერი გახლავთ. ამ წერილის მიხედვით ირკვევა, რომ ამ ორ კომპანიას შორის 2012 წლის 23 ნოემბერს შედგა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ქალბატონ რუდორფერის კომპანიას უნდა დაეფინანსებინა პროექტი, თუმცა 2013 წლის 27 აგვისტოს გაგზავნილი დოკუმენტით, ის უარს აცხადებს ამ დაფინანსებაზე.

ვინაიდან ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტი მხოლოდ ცალმხრივად, ანუ AV TECH Finance GmbH-ის მიერ არის ხელმოწერილი, ჩვენ თავს შევიკავებთ გამოქვეყნებისა და მისი უტყუარობის მტკიცებისგან. თუმცა, კითხვა, რომელიც, ცხადია, გაჩნდებოდა – „დარჩა თუ არა „ხუდონჰესის“ პროექტი დაფინანსების გარეშე?“ – მხარეებთან დავსვით და მეტად საინტერესო პასუხებიც მივიღეთ.

მკითხველი ინტერვიუების მიმდინარეობისას რომ არ დაიბნეს, აქვე შევუვსებთ ინფორმაციულ დეფიციტს და გიამბობთ იმას, რაც ჩვენთვის ხსენებული დოკუმენტის მიღმა გახდა ცნობილი: როგორც ირკვევა, გასული წლის ნოემბრის შეთანხმების მიხედვით, დამფინანსებელს პროექტში 939 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა ჩაედო, ხოლო 200 მილიონ დოლარზე მეტი „ტრანს ელექტრიკას“ უნდა მოეზიდა და დამფინანსებლისთვის ეჩვენებინა აქტივები, გაცემული გარანტიები, ყველაფერი ის, თუ რით უზრუნველყოფდა ამ ინვესტიციას, გარდა პროექტისა. ანუ, მას უნდა წარმოედგინა ე.წ. ექვითი. წინასწარი ინფორმაციით, ინდურმა კომპანიამ ეს ვალდებულება დაარღვია და შეთანხმებაც დაირღვა.

ავსტრიელმა დამფინანსებელმა AV TECH Finance GmbH-მა (ამ კომპანიის საიტით შევიტყვეთ, რომ მას აქვს ოფისები დელისა და ლონდონშიც. – მ.ნ.) სხვა ჯგუფი მოძებნა, რომელიც რამდენიმე ევროპული ენერგოკომპანიისგან შედგება და კახა კალაძეს შეთავაზებაც გაუკეთა.

ნინო ასათიანი, „ტრანს ელექტრიკას“ წარმომადგენელი:

– დაფინანსება, ან მისი შეწყვეტა კონფიდენციალური ინფორმაციაა, თუმცა ჩვენ პრობლემა არ გვაქვს, ყველა კითხვაზე გაგცემთ პასუხს.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ 27 აგვისტოს ვენიდან AV TECH Finance GmbH-დან თქვენმა კომპანიამ დოკუმენტი მიიღო, რომლის მიხედვითაც თქვენ დაფინანსება შეგიწყდათ...

– ეს დეზინფორმაციაა... თუ ვინმე იცნობს „ტრანს ელექტრიკას“ წარმომავლობას, დაადასტურებს, რომ მას რაიმე შეხება ავსტრიასთან და ავსტრიულ საფინანსო ორგანიზაციებთან არასდროს ჰქონია. ჩვენს კომპანიას ძირითადი აგენტი ჰყავს ინდოეთში და დიდ ბრიტანეთში. ჩვენს უკან დგას ინდოეთის სახელმწიფო ბანკი, რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკია. მისი წარმომადგენლები საქართველოში ჩამოსულები იყვნენ და ენერგეტიკის მინისტრსაც შეხვდნენ რამდენიმე თვის წინ. ერთი თვის წინაც ჰქონდათ ვიზიტი, ამჯერად ჩვენს ოფისში, პროექტის მიმდინარეობას გაეცნენ. ეს ბანკია ამ პროექტის ძირითადი ფინანსური მხარდამჭერი, სხვა დამფინანსებლები ჩვენი პროექტის ინვესტორები არიან. ავსტრიასთან კი კონტაქტი არასდროს გვქონია. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ ეს არის შეგნებული დეზინფორმაცია.

– დოკუმენტის ადრესატი, რომლის შესახებაც გესაუბრებით, არის ბატონი კანსაგრა. გეცნობათ ეს გვარი?

– ჩვენს კომპანიაში კანსაგრების ოჯახი, რა თქმა უნდა, ფიგურირებს, მაგრამ მათ ძალიან ბევრი ბიზნესი აქვთ არა მარტო საქართველოში, ამერიკაშიც და დიდ ბრიტანეთშიც...

– მაგრამ წერილი ხუდონის პროექტს შეეხება...

– ყოველ შემთხვევაში, მინდა ცალსახად გითხრათ, რომ ჩვენთან, საქართველოში, ავსტრიიდან ფული არასდროს ჩარიცხულა.

– ეს დოკუმენტი არც ადასტურებს იმას, რომ რამე ფული ჩაირიცხა. პირიქით, ამის მიხედვით კომპანიას უარი აქვს ნათქვამი დაფინანსებაზე. უფრო მეტიც, ჩვენი ინფორმაციით, ეს ავსტრიული კომპანია 2012 წლის შეთანხმებით ვალდებულებას იღებდა, განეხორციელებინა 939-მილიონიანი ინვესტიცია ამ კონკრეტულ პროექტში. თუმცა, ვინაიდან თქვენმა მხარემ ვერ შეასრულა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, ეს გახდა მისი დარღვევის მიზეზი. ეს ყველაფერი დეზინფორმაციაა? 2012 წლის შეთანხმებაც, კომპანიაც, ქვეყანაც... ერთი სიტყვით, ყველაფერი, კანსაგრების ოჯახის გარდა?

– იცით, რა? ასეთი წერილები პრესაში არ ხვდება, რა... ჯერჯერობით, ჩვენ არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. გრძელდება მუშაობა, დაფინანსებაც არის და ძალიან დიდი თანხებიც იხარჯება. მილიონებზეა საუბარი. დაფინანსება რომ არ გვქონდეს, ბუნებრივია, ვერაფერს გავაკეთებდით. რაც თქვენ მითხარით, ამის საქმის კურსში ნამდვილად არ ვარ. მე რაღაც ეჭვი მეპარება ამ წერილის რეალურობაში. როდესაც დაფინანსება ხდება, ასეთი ხელშეკრულებები შეიძლება 200 კომპანიასთან იყოს დადებული. საბოლოოდ, როდესაც ამხელა პროექტთან გვაქვს საქმე, მისი განხორციელების ეტაპზე ეგეთ კომპანიებთან ას-

გაბრიელა რუდორფერი: „თუ სურვილი ჰქონდათ, რომ სრული, ანუ 100-პროცენტიანი დაფინანსება ჩვენგან მომხდარიყო, ეს თავიდანვე უნდა ყოფილიყო შეთანხმებული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფინანსების გარეშე რჩება?!

სკანდალური ინტერვიუ, რომელიც მთავარი ენერგეტიკული პროექტის გასაიდუმლოებულ დეტალებს შიფრავს

„ტრანს ელექტრიკას“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდებოდა“

ეთი ხელშეკრულებები არ ხდება, რა. აქ რომ ყველაფერი არ იყოს დაწერილი, დათვლილი და ტექნიკურად გამართული, არავინ არ მოგვცემდა ამხელა პროექტის განხორციელების უფლებას.

– თუმცა თქვენი კომპანია ამ პროექტში დღეს არ შემოსულა. მეტიც, ბევრი ისაუბრეს უკვე თქვენთვის ლარად გადაცემული მიწების შესახებ... სხვათა შორის, კბილაშვილის განცხადებით, პროკურატურა აპირებს ყველა იმ საქმის გამოძიებას, სადაც ქონება სიმბოლურ ფასად აქვს გასხვისებული სახელმწიფოს. ფიქრობთ, რომ გამოძიება თქვენი კომპანიითაც დაინტერესდება?

– მაგრამ ის ვალდებულებიანი მიწა იყო. ის არ იყო ნაჩუქარი მიწა. კორუფციული გარიგება კი არ მომხდარა... თუ პროექტი არ განხორციელდება, ეს მიწა უკან უბრუნდება სახელმწიფოს. მაშინ სახელმწიფომ ჩათვალა პრიორიტეტულად, რომ ეს პროექტი განხორციელებულიყო და გადასცა კომპანიას, რომელმაც იმ მომენტში გამოთქვა დაინტერესება. ამაზე ხომ, საქართველოს მთავრობის გარდა, მსოფლიო ბანკი და იუესაიდი მუშაობდა. როდესაც 2009 წელს ხუდონი გამოიტანეს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა, ეს მარტო საქართველოს მთავრობის გაკეთებული კი არ იყო, ეს იყო მსოფლიო ბანკებთან შეთანხმებული. გამოიძიონ, თუ რამე გამოსაძიებელია. ამის წინააღმდეგი არავინ არის. მაგრამ კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ ეს ნაჩუქარი მიწა არ არის, ეს არის ვალდებულებით დატვირთული მიწა და ამ ხნის განმავლობაში კომპანია ამ მიწის გადასახადს იხდის. მით უმეტეს, რომ ეკონომიკური საქმიანობა ჯერ არ დაუწყია.

ახლა კი ინტერვიუ AV TECH Finance GmbH-ის ხელმძღვანელთან, გაბრიელა რუდორფერთან:

– ჩვენი ინფორმაციით, თქვენ 2012 წლის 23 ნოემბერს შეთანხმება დადეთ ინდურ კომპანია „ტრანს ელექტრიკასთან“, რომელიც 2013 წლის 27 აგვისტოს გააუქმეთ...

– ვადასტურებთ, რომ ეს შეთანხმება გაუქმდა და ამ ეტაპზე მათთან ურთიერთობას არ ვაგრძელებთ.

– რა გახდა ამის მიზეზი?

– „ტრანს ელექტრიკას“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდებოდა.

– კონკრეტულად რა ვალდებულებებზე საუბრობთ?

– ძირითადად და არსებითად ეს იყო ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა. თუ სურვილი ჰქონდათ, რომ სრული, ანუ 100-პროცენტიანი დაფინანსება ჩვენგან მომხდარიყო, ეს თავიდანვე უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

– საუბრობთ იმაზე, რომ თქვენი მხრიდან 939-მილიონიანი დაფინანსება იმ შემთხვევაში განხორციელდებოდა, თუ ისინი ე.წ. ექვითს წარმოგიდგენდნენ?

– გიდასტურებთ, რომ 939 მილიონით დაფინანსებას ნამდვილად ვაპირებდით, მაგრამ იმ წინაპირობით, რომ ჩვენი პარტნიორები ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდნენ.

– როგორ მოხდა თქვენი და ამ კომპანიის დაკავშირება? ამაში წვლილი თქვენს დელის ოფისს მიუძღვის?

– გიდასტურებთ, რომ ინდური ნაწილი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი შემდგომი ურთიერთობისთვის. კანსაგრას ოჯახთან ჩვენი ნაცნობობა არსებობდა. თუმცა, ახლა ჩვენ განვიხილავთ სხვადასხვა შესაძლებლობებს ხუდონის პროექტის გაგრძელებისა, სანდო პარტნიორების შერჩევის შემდგომ.

– გინდათ თქვათ, რომ „ტრანს ელექტრიკა“ არასანდო პარტნიორია?

– ჩვენთან ვალდებულება არ შეასრულა...

– იცით, ჩვენთან ინტერვიუში „ტრანს ელექტრიკამ“ საერთოდ უარყო თქვენთან რაიმე სახის ურთიერთობა. როგორ ახსნით ამას?

– როგორ, ეს „ტრანს ელექტრიკამ“ უარყო? ამ ურთიერთობის უარყოფა შეუძლებელია. ჩვენ მათთან თანამშრომლობის მანდატი გვქონდა გაფორმებული და ისინი არაერთხელ იყვნენ ჩვენს ლონდონის ოფისში ჩამოსული, საქმიანი მოლაპარაკების დროს. „ტრანს ელექტრიკა“ ჩვენ თავად დაგვიკავშირდა და მოლაპარაკების არაერთი ფაქტიც არსებობდა, თუმცა, შემდგომში, ალბათ, არასათანადო კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების არარსებობის ბრალი იყო ის, რომ ეს ურთიერთობა დასრულდა.

– ქალბატონო გაბრიელა, შევიტყვეთ სექტემბერში თქვენი თბილისში ვიზიტისა და ენერგეტიკის მინისტრთან შეხვედრის შესახებ. ეს ის დრო, როდესაც პარტნიორ კომპანიასთან ურთიერთობა უკვე გაწყვეტილი უნდა გქონოდათ. რა იყო ამ შეხვედრის შინაარსი და მიზანი?

– ამის მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ სხვა ჯგუფი დაგვიკავშირდა, რომელიც „ხუდონჰესის“ პროექტის გაგრძელებით არის დაინტერესებული. გვინდოდა, ეს საკითხები გაგვევლო საქართველოს მთავრობასთან. შესაბამისად, გვქონდა წარმოდგენა დღეს არსებულ სიტუაციაზე ხუდონის გარშემო და ასევე, მიგვეღო თანხმობა მთავრობის მხრიდან, რამეთუ ენერგეტიკის სამინისტროდან აღნიშნული თანხმობა სავალდებულოა.

– მიიღეთ ეს თანხმობა?

– საქართველოს მთავრობამ გვთხოვა, გვეჩვენებინა მათთან ურთიერთობის ფორმა და გზა, როგორ ვაპირებდით შეთავაზების განხორციელებას. ამ შემთხვევაში ისინი ღია იყვნენ საკითხის განხილვისთვის.

– ვინ არიან თქვენი შესაძლო მომავალი პარტნიორები?

– შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის ევროპული საფინანსო ჯგუფი, რომლის განზრახვათა სერიოზულობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თქვენი შემდგომი ურთიერთობა „ტრანს ელექტრიკასთან“ ნაკლებად სავარაუდოა და თქვენ ამ პროექტზე სხვა კომპანიასთან ერთად მუშაობის მზადყოფნას გამოთქვამთ.

– დიახ, გიდასტურებთ.

– ჩვენი საუბრის ბოლოს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ტრანს ელექტრიკას“ ფინანსები არ აქვს?

– ამ დასკვნის გამოტანა შესაძლებელია, რამეთუ, ჩვენთან მიმართებაში, ვალდებულებები არ იქნა შესრულებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამოთხის ვაშლების“ და „თბილისის მოდის კვირეულის“ ორიგინალური გადაცემა

თბილისლის მოდის რიგით მეცხრე კვირეული წელს აღარ გაიმართება. ამის შესახებ ღონისძიების ორგანიზატორებმა კომპანია „ჯეომოდელსის“ წარმომადგენელმა თაკო ჩხეიძემ კვირეულის მოლოდინში მყოფ ქართულ საზოგადოებას ცოტა ხნის წინ აცნობეს.

საქართველოში არსებული ყველაზე წარმატებული მოდური პროექტის მიმდინარე სეზონის გაუქმების ძირითად მიზეზად, სახელმწიფო და ბიზნეს სტრუქტურების პასიურობა დაასახელა. მოდის კვირეულის მოლოდინში მყოფი ქართველ მაყურებელს საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „სამოთხის ვაშლების“ კრეატიულმა ჯგუფმა ორიგინალური პროექტი შესთავაზა. გადაცემა, რომელსაც მაყურებელი 1 დეკემბერს 13:00 საათზე მაუწყებლის ეთერში ნახავს, თავისი არსით განსხვავებული და შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ქართული რეალობისთვის უპრეცედენტოა.

მოდური გარემო, აქტრუალური ფერები, წარმატებული ქართველი დიზაინეტრების კოლექციები, მოდის კრიტიკოსები და „თბილისის მოდის კვირეულის“ ორგანიზატორები - ეს არასრული ჩამონათვალია იმ სიისა, რომელთა კომპეტენტურ აზრს მაყურებელი 1 დეკემბერს გადაცემა „სამოთხის ვაშლებში“ მოისმენს.

რეზი ჭიჭინაძე, გადაცემა „სამოთხის ვაშლების“ პროდიუსერი: „ყველასთვის ცნობილია, რომ თბილისის Fashion Week-ის რიგით მეცხრე სეზონი წელს აღარ გაიმართება, ამიტომ ჩვენს გადაცემაში მოვაწყვეთ კვირეული. საკმაოდ საინტერესო და უჩვეულო სანახაობა გამოვიდა. მოგეხსენებათ საქართველოში არ არის Fashion არხი სადაც ამ სახის ჩვენებებია. გადაცემა ძალიან საინტერესო და სანახაობრივად მაღალი დონის გამოვიდა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ სანახაობას თან მთაწმინდის ულამაზესი ხედი ამშვენებს.

- საიდან წამოვიდა ეს იდეა? მოდის კვირეულის ჩაშლამ გადაგაწყვეტინათ ამ გადაცემაზე მუშაობა?

- არა, მოდის კვირეულის ჩაშლამდე იყო ეს იდეა, რომ ამ ტიპის გადაცემა ჩაგვეწერა 1 დეკემბრისთვის. მაშინ, როდესაც ჩვენ ამ იდეაზე დავიწყეთ მუშაობა ჯერ კიდევ საუბარი იყო იმაზე, რომ „თბილისის მოდის კვირეულის“ მეცხრე სეზონი გაიმართებოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ჩვენებები ჩაიშალა და ფაქტობრივად ჩვენი გადაცემით, ძალიან ლამაზი კვირეული მოვაწყვეთ. საწყის ეტაპზე გვინდოდა ჩაგვეწერა გადაცემა და მაყურებლისთვის გვეჩვენებინა ქართველი დიზაინერების შექმნილი ზამთრის მოდური კოლექციები. მოგვიანებით კი ამან სხვა ხასითი მიიღო და ვერ ვიტყვით, რომ ეს იყო მხოლოდ შემოდგომა-ზამთრის კოლექციების ჩვენება. საკმაოდ მასშტაბური გამოდგა ეს ყველაფერი და შეიძლება ითქვას, რომ მაყურებელი მომავალი წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციებსაც ნახავს, იმას, რაც უნდა ენახა „თბილისის მოდის კვირეულის“ მეცხრე სეზონამდე. ასე რომ, ძალიან ლამაზი და საინტერესო გადაცემა გელოდებათ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 1 დეკემბერს 13:00 საათზე. ეს იქნება Fashion ჩვენება, ზუსტად ისეთი, როგორც ეს არის Fashion TV- ზე.

- რამდენმა ქართველმა დიზაინერმა მიიღო ჩვენებაში მონაწილეობა?

- შვიდი ქართველი დიზაინერი იყო წარმოდგენილი. ეს არის ის ხალხი, რომელთა სამოსი აქტუალური და მოდურია. ეს ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ თბილისის მოდის კვირეულში. გიორგი შაღაშვილი, თამუნა ინგოროყვა, აკა ნანიტაშვილი, იკა ბობოხიძე, მარიამ გვასალია, ნინო და გვანცა მაჭარაშვილები mach& mach და ნინო ბაბუხადია(რომელიც იყო გადაცემის სტუმარი და მას ჩვენებაც ჰქონდა). ჩვენების შემდეგ გვყავდა დარბაზი, მოდის კრიტიკოსები, ბაიერები, რომლებმაც შეაფასეს ეს ყველაფერი და საკმაოდ საინტერესო დისკუსიაც შედგა. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ „თბილისის მოდის კვირეულის“ ორგანიზატორები თაკო ჩხეიძის ხელმძღვანელობით, ასევე სოფო მამარდაშვილი, ჯაბა სიხარულიძე, ნინო დარასელი, გვანცა ჯანაშია, ლენკა ციციშვილი, ნინო იოსელიანი, დალი ჩიტალაძე, ირმა შარიქაძე, ანუკა მურვანიძე. გადაცემა იყო ერთგვარი შეჯამება 2013 წლისა, თუ რაზე იმუშავეს ქართველმა დიზაინერებმა, როგორია ქართული მოდა, რა პრობლემებს აწყდებიან დიზაინერები და ა.შ.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი გადაცემა „სამოთხის“ ვაშლები, ზოგადად ფოკუსირებულია ქალბატონებზე, ამიტომაც ეს გადაცემა განსხვავებული და საინტერესო იქნება ჩვენი მაყურებლისთვის. ყველას ვურჩევთ, რომ ნახონ „სამოთხის ვაშლები“ 1 დეკემბერს 13 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ძმები კოდუების დედა – ლაურა ღაჭავაც კი მიუგზავნეს ზემოქმედების მოსახდენად“

ლერი ჯაყელი რკინიგზის ექსშეფს ქონებას უთვლის: შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი მცხეთის ქუჩაზე; მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი სანზონაში, მშენებარე სასტუმროს კომპლექსი სპორტის სასახლესთან; რკინიგზის წისქვილკომბინატი დიდუბეში; სავაჭრო კომპლექსი გლდანში; ოკამის ცნობილი ღვინის ქარხანა და მიმდებარე მიწის ნაკვეთები; შვიდსართულიანი ბიზნესცენტრი ყაზბეგის გამზირზე; ოთხსართულიანი სახლი თბილისში, კრწანისის დასახლებაში, უზარმაზარი ეზოთი, 3,5 მ სიმაღლის კაპიტალური გალავნით, დამხმარე ნაგებობებით, საცურაო აუზით, საუნით, საბილიარდოთი და სხვ.; სამსართულიანი სახლი და ეზო სანზონაში; მიწის ნაკვეთი და ფეშენებელური აგარაკი წყნეთში, ასევე მაღალი გალავნით შემორაგული

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმის“ #241-ში დაბეჭდილ სტატიას, სადაც აკაკი ჩხაიძის ქონებრივ დავაზე იყო საუბარი, რკინიგზის ექსშეფის ბიძაშვილი ლერი ჯაყელი გამოეხმაურა. სანამ მის მოსაზრებას გაგაცნობთ, ჩვენს მკითხველს შევახსენებ, რომ საუბარია ვაკეში, მარუხის გმირების ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებაზე, რომელსაც აკაკი ჩხაიძე სწორედ ლერი ჯაყელს ედავება. მან განცხადებით პროკურატურასაც მიმართა და ჯაყელი მისი ქონების მითვისებაში დაადანაშაულა. „არის ჯგუფი, რომელიც იმართებოდა წინა მთავრობის მიერ. ჩემს ახლობელზე მქონდა გაფორმებული და წამართვეს. პრაქტიკულად იძულებით წამართვეს“, – განუცხადა „პრაიმტაიმს“ აკაკი ჩხაიძემ.

ამ სტატიაში კი თქვენ შეიტყობთ თავად ლერი ჯაყელის პოზიციას, რომელიც ჩხაიძეს საკმაოდ მძიმე კონტრბრალდებებს უყენებს. მან მოგვაწოდა ასევე იმ უძრავი ქონების სიაც, რომელიც, მისივე თქმით, ამჟამადაც აკაკი ჩხაიძის საკუთრებაშია. ჯაყელი რკინიგზის ექსშეფსა და შევარდნაძის ახლო მეგობარს მოქმედ მულტიმილიონერად მოიხსენიებს, „რომელსაც სურს ტანჯულის იმიჯის მორგება და საკუთარი თავის პროლეტარად წარმოჩენა“.

„ჩხაიძე ჩემი ახლო ნათესავია. მამაჩემი იყო მაგათი ოჯახის მფარველი და პატრონი. როგორი თვალთმაქცი და სოფლელი ვირეშმაკაც იყო ახალგაზრდობაში, ასეთივე დარჩა მთელი თავისი ცხოვრება. საკმაოდ ნიჭიერი და მიზანმიმართულია. ყველაფერს იკადრებს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

აკაკი ჩხაიძე

პარტნიორების „გადაგდება“ და ტყუილი მისთვის ჩვეული საქმეა. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, მეც თუ მის სამიზნეებს შორის აღმოვჩნდი“, – ამბობს ლერი ჯაყელი.

რაც შეეხება სადავო ტერიტორიას, ლერი ჯაყელი ყვება, რომ მას წლების წინათ აკაკი ჩხაიძემ შესთავაზა ამ ტერიტორიის შეძენა. ლერი ჯაყელმა ეს ქონება შეიძინა, მოგვიანებით კი, როგორც თავად ამბობს, მეზობლად მდებარე ტერიტორიები იყიდა. საბოლოოდ მხოლოდ მიწის ნაკვეთმა 2400 კვ.მ შეადგინა.

„აფორიაქდა ჩხაიძე, შეშურდა, რომ ერთი პაწაწინა ნაკვეთის მაგიერ, 2400 კვ.მ მიწის ფართობი აღმოჩნდა ჩემს მფლობელობაში. 5 წლის შემდეგ მოძებნა ერთ დროს მეზობლად მცხოვრები სახლისა და მიწის ნაკვეთის მეპატრონეები, მოისყიდა და დააწერინა, თითქოს ფული მათ ჩხაიძემ გადაუხადათ. როდესაც სასამართლოში ამ ცრუმოწმეების საკუთარი ხელით დაწერილი ხელწერილები წარვადგინე, რომ ქონების საფასურ თანხებს, ჩემი თანდასწრებით შუამავალ მარჯანიძესთან ერთად ვუხდიდი, მოსამართლემ აღარ მიიჩნია საჭიროდ მათთვის ჩვენებების ჩამორთმევა. მარჯანიძე კი, რომლის უშუალო მონაწილეობითაც განხორციელდა ყველა ის შესყიდვა, სასამართლოში საერთოდ არ გამოიძახეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩხაიძეს ის თავის საჩივარში მთავარ მოწმედ ჰყავდა დასახელებული. ჯვარს აცვეს ჩხაიძემ და მისმა ამფსონებმა გოგი მარჯანიძე, მართლა კეთილშობილი და პატიოსანი კაცი. ძმები კოდუების დედა – ლაურა ღაჭავაც კი მიუგზავნეს ზემოქმედების მოსახდენად. ვერ გაუძლო ამ კაცმა ასეთ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და საავადმყოფოში მოხვდა, ოპერაცია დასჭირდა გულზე“, – ამბობს ლერი ჯაყელი.

ის, ასევე, იხსენებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება აკაკი ჩხაიძეს დამატებით რამდენიმე მილიონს ედავებოდა. იმის დასამტკიცებლად, რომ არანაირი მილიონები არ გააჩნია, მან წამოიწყო სასამართლო დავა საკუთარ ბიძაშვილთან. სწორედ ამ ფაქტს უკავშირებს ლერი ჯაყელი მის წინააღმდეგ აკაკი ჩხაიძის მიერ წამოწყებულ კამპანიას.

„ჩემ მიერ ქონების შეძენიდან 5 წლის შემდეგ შეიტანა სარჩელი ჩხაიძემ სასამართლოში, მას შემდეგ, რაც გაუგეს, რამდენი მილიონი მოჰპარა მან ქვეყნის ბიუჯეტს და უკან მიტანა მოსთხოვეს. არ აკმარეს, რაც თავისუფლების სანაცვლოდ მიატანინეს თავდაპირველად. მულტიმილიონერ ჩხაიძეს ერთ აბაზადაც არ უღირს ჩემი სახლი და ეზო. ყველაფერი ეს იმისთვის სჭირდება, რომ „დე ფოლტად“ გამოაცხადოს თავი და ხელისუფლების წინაშე პროლეტარად წარმოჩნდეს, თითქოს ამ სახლისა და ეზოს გარდა, აღარაფერი დარჩა. ჩხაიძეს თუ სინდისის ქენჯნა აწუხებს, ჩააბაროს სახელმწიფოს მისი ქალიშვილის სახელზე რიცხული ახლად აშენებული, ჯერ კიდევ შეუსახლებელი, ორი ერთმანეთზე მიდგმული შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი მცხეთის ქუჩაზე; მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი სანზონაში, ე.წ. „დომ ბიტას“ გვერდით; მშენებარე სასტუმროს კომპლექსი სპორტის სასახლესთან – აკურის ქუჩაზე; ჩხაიძის მფლობელობაშია რკინიგზის წისქვილკომბინატი დიდუბეში, რომელიც სიძის სახელზე აქვს გაფორმებული; უზარმაზარი სავაჭრო კომპლექსი გლდანში; ოკამის ცნობილი ღვინის ქარხანა და მიმდებარე მიწის ნაკვეთები; შვიდსართულიანი ბიზნესცენტრი ყაზბეგის გამზირზე; ჩხაიძის საკუთრებაა ოთხსართულიანი სახლი თბილისში, კრწანისის დასახლებაში, უზარმაზარი ეზოთი, 3,5 მ სიმაღლის კაპიტალური გალავნით, დამხმარე ნაგებობებით, საცურაო აუზით, ასევე საუნა, საბილიარდო და სხვ. ამ ციტადელში მოხვედრა ადვილი არ არის, საკუთარ ძმასაც არ აქვს მისვლის უფლება წინასწარი შეთანხმების გარეშე; 3-სართულიანი სახლი და ეზო სანზონაში, მარიამ გარიყულის ქუჩაზე; მიწის ნაკვეთი და ფეშენებელური აგარაკი წყნეთში, ასევე მაღალი გალავნით შემორაგული, მიწის მეორე ნაკვეთი წყნეთში და კიდევ სხვა უამრავი უძრავი ქონება, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აქვს განთავსებული“, – ამბობს ლერი ჯაყელი.

ის საკუთარ ბიძაშვილს, რკინიგზის ყოფილ ხელმძღვანელს თაღლითად მოიხსენიებს და მიიჩნევს, რომ აკაკი ჩხაიძეს, დიდი ფულის წყალობით, ბევრი ბინძური საქმის გაკეთება შეუძლია.

„ვაცხადებ, თუ ლერი ჯაყელს, ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს გაურკვეველ ვითარებაში რაიმე უბედურება შეგვემთხვევა, ეს ჩხაიძისა და მისი ამფსონებისგან იქნება მოწყობილი და პასუხი მათ უნდა აგონ“, – აღნიშნავს ჯაყელი.

„ვაცხადებ, თუ მე, ან ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს გაურკვეველ ვითარებაში რაიმე უბედურება შეგვემთხვევა, ეს ჩხაიძისა და მისი ამფსონებისგან იქნება მოწყობილი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

WIKILEAKS: უცხოპლანეტელე

კაცობრიობა ორ თვეში განადგურდება

ნინო დათაშვილი

ორი საფრთხე, რომელიც ადამიანს პანიკაში აგდებს. ერთი – სხვადასხვა რელიგიური ლიდერების მხრიდან გაკეთებული წინასწარმეტყველებები მეორედ მოსვლის შესახებ და მეორე – ბოლო დროს ცალკეული მეცნიერებისა თუ ცალკეული პირების მხრიდან გავრცელებული შეხედულება კოსმოსური ომების შესახებ.



როგორც წარღვნას, ისე კოსმოსურ ომებს ზღაპრული სიუჟეტი აქვს. ფართომასშტაბიანი ტრაგედია, რომლის მიზანი დედამიწის სრული განადგურებაა. პირველის შემთხვევაში ადამიანებს ცუდი საქციელისთვის ღმერთი დასჯით, მეორე შემთხვევაში კი – უცხოპლანეტელები.

მინიშნება ორივე მიმართულებით ბევრია. მაგალითად, ცისარტყელა სიმბოლოა იმისა, რომ ღმერთს ახსოვს თავისი პირობა – არ გაიმეოროს ის, რაც ერთხელ უკვე მოუვლინა დედამიწას, წყლის სახით. მაშინ მხოლოდ ნოე და მისი კიდობნის ბინადრები გადარჩნენ. ბევრი საუბარი იყო მცხეთის ერთ-ერთ კედელზე დახატულ ფრესკაზეც, სადაც თითქოს მფრინავი თეფშია გამოსახული...

სხვათა შორის, აკაკი წერეთელს აღწერილი აქვს, როგორ ელოდებოდა საქართველოს მოსახლეობა XX საუკუნის დადგომას დიდი შიშით. ბევრი დარწმუნებული იყო, რომ ახალი საუკუნის დადგომისთანავე ღმერთი მეორედ მოსვლას მოუვლენდა დედამიწას. ასეთ „წინასწარმეტყველებს“ XXI საუკუნეშიც ელოდნენ. რუსეთის ერთ-ერთ პროვინციაში ერთ-ერთი სექტის ლიდერმა საკუთარ მრევლს დიდი სარკოფაგი გაათხრევინა და ახალ წელს ყველა სწორედ იქ შეხვდა იმ „იმედით“, რომ ღვთის რისხვას მიწის ქვეშ გადაურჩებოდნენ...

პარალელურად, XX საუკუნის დასაწყისში, ეგრეთწოდებული უცხოპლანეტელების ნამდვილი ბუმი იყო. როცა ჩვენს პლანეტაზე მფრინავი თეფშები პირველად გამოჩნდნენ (ისინი საქართველოშიც დააფიქსირეს 90-იანი წლების დასაწყისში), ამერიკულმა და რუსულმა დაზვერვამ ერთმანეთზე აიღეს ეჭვი. როგორც ვაშინგტონს, ისე მოსკოვს ეგონა, რომ უახლესი ტექნოლოგიური მფრინავი აპარატი ამერიკელების ან რუსების შექმნილი იყო. შემდეგ გამოჩნდნენ თვითმხილველებიც, რომლებიც უცნაურ, ადამიანისმაგვარ ფიგურებზე საუბრობდნენ. ითვლება, რომ არსებობს უცხოპლანეტელებთან სამი სახის კავშირი: დანახვა, კონტაქტში შესვლა, ანუ როცა ისინი გელაპარაკებიან, და მესამე – როცა გიტაცებენ. შორს რომ არ წავიდეთ (ასეთი შემთხვევები ამერიკაში მოხდა), კარპატებზე, უკრაინაში რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ბავშვები იკარგებოდნენ, მეორე ან მესამე დღეს კი მათ გაქრობის ადგილას დაძინებულ მდგომარეობაში პოულობდნენ. გატაცების ყველა შემთხვევა, დედამიწის რომელ წერტილშიც არ უნდა დაფიქსირებულიყო ის, ერთი და იგივე ისტორიით სრულდებოდა – მათ ეძინათ და როგორც წესი, არაფერი ახსოვდათ. ჰიპნოზიც კი ვერ აიძულებდა ადამიანის მეხსიერებას დაკარგული დღეების გახსენებას. თუმცა იყო შემთხვევა, როცა ამერიკაში ერთ-ერთმა ჰიპნოზიორმა ადამიანის ტვინის „გაცოცხლება“ მოახერხა, მაგრამ იმდენად გაუგებარი ხმები ესმოდა, რომ საბოლოო დასკვნა მაინც ვერ გააკეთეს.

უცხოელმა მეცნიერებმა თითქმის „დაამტკიცეს“, რომ პლანეტა, ადრე თუ გვიან, აუცილებლად განადგურდება, თუმცა, ღმერთის ხელით თუ უცხოპლანეტელების მეშვეობით, პასუხი არ აქვთ. ოპტიმისტები ამტკიცებენ, რომ განადგურების მომენტში ადამიანი, როგორც სახეობა, გადარჩება და ის სხვა პლანეტაზე იცხოვრებს. სხვათა შორის, ერთ-ერთ წერილში აკაკი ბაქრაძესაც უწერია, რომ XXI საუკუნე ადამიანის სხვა პლანეტაზე დასახლების საუკუნე იქნება.

უცხოპლანეტელების თემა ზოგჯერ ისე იფეთქებს, როგორც დიდი სენსაცია, ზოგჯერ კი ისე იკარგება ყურადღების ცენტრიდან, რომ მათი არსებობა აღარავის ახსენდება. თუმცა, WikiLeaks-ის პუბლიკაციებმა საზოგადოება შოკში ჩააგდო. შესაძლოა იმიტომ, რომ ასანჟის მიერ მანამდე გამოქვეყნებულმა საიდუმლო ინფორმაციებმა ნდობის მოპოვება მოასწრო და საზოგადოებრივი აზრის შექმნაც კი მოახერხა. შესაბამისად, ის, რაც WikiLeaks-მა დადო, ნამდვილი სენსაცია იყო.

WikiLeaks უწყებოდა, რომ დედამიწაზე უცხოპლანეტელების შემოსვლა დაწყებული იყო. ინტერნეტგამოცემამ დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტები გაასაჯაროვა, რაც სწორედ უცხოპლანეტელების სადაზვერვო ხომალდების დედამიწაზე შემოსვლას ეხებოდა. ამ დოკუმენტებიდან ირკვეოდა, რომ დედამიწისკენ მათი სამხედრო ხომალდები მოემართებოდნენ. დასახელებული იყო კონკრეტული ციფრიც – სამი შეიარაღებული ხომალდი. უფრო ადრე SETI-ის კვლევითმა ცენტრმა განაცხადა, რომ უცხოპლანეტელების სამი გიგანტური ხომალდი მოემართებოდა დედამიწისკენ. ეს განცხადება თითქოს ფოტომასალებითაც კი იყო დადასტურებული. მათივე გამოთვლებით, გიგანტურ ხომალდებს დედამიწამდე 2011 წლის ნოემბერში უნდა მოეღწია.

ამ განცხადებამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ამერიკულ მედიაში. იმდენად დეტალურად განიხილებოდა უცხოპლანეტელების შემოსვლა, რომ ამბობდნენ, ამერიკის ხელისუფლება უკვე ამზადებს საკუთარ ხალხს პირველი შეხვედრისთვისო.

მოგვიანებით, ამ დიდ სკანდალში ბრიტანული პრესაც ჩაერთო. ტაბლოიდური გამოცემა The Guardian-მა გამოაქვეყნა სტატია, სათაურით: უცხოპლანეტელებს კაცობრიობის განადგურება შეუძლიათ. სტატიის სულისკვეთება ასეთი იყო: ურთიერთსიმპათიების შემთხვევაში დედამიწა დიდ გამოცდილებას შეიძენს და უახლეს ტექნოლოგიებს გაეცნობა; თუმცა, თუკი მათ გადაწყვეტილი აქვთ, კაცობრიობას ზიანი მიუტანონ – აიძულონ ისინი, მათზე იმუშაონ ან ისინი საკვებად გამოიყენონ, მაშინ, გამოცემის აზრით, დიდი და საშინელი ომი დაიწყება.

WikiLeaks-ის ცნობით, ალასკაზე უკვე დაფიქსირდა კოსმოსური ხომალდები.

უფრო ადრე, „ნასას“ სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ უცხოპლანეტელებს უკვე აქვთ ბაზა მთვარეზე. ეს ინფორმაცია 1960 წელს გავრცელდა. მაშინ ითქვა, რომ „ნასა“ აწარმოებდა დაკვირვებებს, რის შედეგადაც გარკვეული ანომალიების დაფიქსირება მოხერხდა. ითქვა ისიც, რომ მთვარისკენ მიმართული ხომალდი „აპალონი“ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების თანხლებით მიფრინავდა.

მოგვიანებით, უცხოპლანეტელების დედამიწაზე შემოსვლის თარიღმა 2011 წლიდან 2013 წლის ჯერ აგვისტოში გადმოინაცვლა, შემდეგ შემოდგომაზე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბი დედამიწას გაანადგურებენ





უცხოპლანეტელების სამი გიგანტური სამხედრო ხომალდი დედამიწისკენ მოემართება

მაგალითად, BBC-ის ყოფილმა თანამშრომელმა, რამდენიმე სკანდალური განცხადების შემდეგ, უცხოპლანეტელების შემოსვლის თარიღად სწორედ 2013 წლის აგვისტო დაასახელა. დევიდ აიკას ინფორმაციით, ადამიანს უცხოპლანეტელებთან უძველესი დროიდან აქვს ურთიერთობა.

გასულ წელს თეთრ სახლში ორი პეტიცია გაგზავნეს, სადაც ხელმომწერები ამერიკის პრეზიდენტს სთხოვდნენ, გაესაჯაროებინა ყველა ინფორმაცია, რომელიც ვაშინგტონს უცხოპლანეტელების შესახებ ჰქონდა. „ადამიანებს შეუძლიათ, გაუძლონ სიმართლეს“, – ნათქვამი იყო პეტიციაში. ამერიკის პრეზიდენტის პასუხში კი ეწერა: ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი მტკიცებულება, ვთქვათ, რომ სხვაგან, დედამიწის გარდა, არსებობს სიცოცხლე... არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომელიც საზოგადოებისთვის დაფარულია.

თემას Fox New-იც შეეხო. გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში საუბარია დედამიწასა და სხვა გალაქტიკას შორის შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაზე. Fox New-ის ცნობით, რუსეთის ერთ-ერთმა სამხედრო ჩინოვნიკმა თქვა, რომ რუსეთს არ აქვს არავითარი გეგმა, რომელიც უცხოპლანეტელებთან ბრძოლას ეხება, ამერიკელებმა კი თითქოს განაცხადეს, რომ მათ ასეთი გეგმა აქვთ. იქვე ისიც დაამატეს, რომ ამერიკელებმა ამ გამოწვევას რუსებთან ერთად უნდა უპასუხონ.

Fox New-ის კორესპონდენტი ჯო მეკი იქვე ეჭვს გამოთქვამს. ის სვამს კითხვას: რუსეთი და ამერიკა ირანის თემაზე ვერ ახერხებენ საერთო ენის გამონახვას და შეძლებენ კი ისინი ამ დიდ საფრთხესთან გამკლავებას?

ასე რომ, დედამიწის პრობლემებს მალე შესაძლოა კოსმოსური პრობლემებიც დაემატოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქართული თანამედროვე ხელ

მურთაზ შველიძე - JUMP

ელენე კაპანაძე
www.geoplatforma.blogspot.co.uk

ვილნიუსის სამიტისთვის ქართული სახელოვნებო წრეც ემზადება; ევროპულ საზოგადოებას ქართულ თანამედროვე ხელოვნებას კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით GALA GALLERY ქართულად წარუდგენს. „გალა გალერეა“ ქართული კომერციული გალერეების იმ მცირე რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც თავისი პროდუქტის კონტექსტსა და კონცეფციას დიდ ყურადღებას აქცევს. დედიკა ბულიას და ვატო წერეთლის ექსპოზიციაში ცენტრალური ადგილი კოტე სულაბერიძის, მურთაზ შველიძის და ვახო ბუღაძის სერიებს ეთმობა. „სამივე მხატვარი გალერეასთან მისი დაარსების დღიდან სისტემატურად თანამშრომლობს და არაერთი საინტერესო პროექტიც განუხორციელებიათ. ისინი, ერთი თაობის წარმომადგენლები, 90-იანელები არიან.

ეს მხატვრები დასავლური კულტურის გამზიარებლები არიან და მათი ხელოვნება ნათლად გამოხატავს ევროპულ ღირებულებებზე ორიენტაციას, მაგრამ ამასთანავე არ კარგავს თვითმყოფადობას.

გალერეა „გალა“ პირველია, რომელსაც მიეცემა შესაძლებლობა თავისი მოღვაწეობით წარდგეს ევროპულ აუდიტორიასთან. მისი მფლობელი და გამოფენის კონცეფციის ავტორი დედიკა ბულია ამბობს, რომ ექსპოზიციის მთავარი მიზანია ფართო საზოგადოებას გაცნოს ქართული ხარისხიანი ხელოვნება და ის არტისტები, რომლებიც მოწადინებულნი არიან ევროპული დონის ხელოვნება შექმნან. შესაბამისად, ვილნიუსის გალერეა KALNAS-ში გამოიფინებიან ის ხელოვანები, რომლებთანაც GALA GALLERY მჭიდროდ თანამშრომლობს.

ვახო ბუღაძე - ASPROVALTA

ბოლო ორი გამოფენაა - მურთაზ შველიძის JUMP-ი და ვახო ბუღაძის ASPROVALTA. ეს ზუსტად ის ორი გამოფენაა, რომელიც სამიტის კულტურულ მხარეზე პასუხისმგებელმა დელეგაციამ საქართველოში ვიზიტისას ნახა და თავისი არჩევანი GALA GALLERY-ზე შეაჩერა.

მურთაზ შველიძის JUMP 13 ტილოსაგან შედგება, სადაც 12-ზე მკვეთრი მიახლოებით სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა გარემოში თასმების შეკვრის პროცესში არიან აღბეჭდილნი. საინტერესოა როგორ იქმნება ინდივიდის პორტრეტი მხოლოდ მისი ფეხსაცმლის ჩვენებით, მაგრამ მთავარი აზრი იმაშია, რომ ადამიანები, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, ცხოვრების სტილისა თუ გარემოსი, მაინც ხელოვნურად იქმნიან ჩარჩოებსა და შეზღუდვებს, რომლებიც მერე მათი მთავარი პრობლემა ხდება. სერია მთავრდება ცენტრალური ნახატით, რომელსაც ნახტომი ჰქვია. დანარჩენებისგან ზომით განსხვავებულ ტილოზე დახატულია გოგონა ნახტომის პროცესში; როგორც დანარჩენ ტილოებში, რაკურსი აქაც უჩვეულოა - მის მხოლოდ კაბას და ჰაერში დაჭერილ შიშველ ფეხებს ვხედავთ ქვევიდან ზევით. ცისფერი ცა, მწვანე ბალახი, თხელი კაბა, უდარდელობისა და სილაღის განწყობას ქმნის, რომელიც მკვეთრი კონტრასტია გასაქცევად მომზადებულ ბოტასებსა და მოჭერილი ლაკის არაკომფორტული ფეხსაცმლის ფონზე. ეს სწორად ის თავისუფლებაა, რომლის პოტენციალიც ყველა ჩვენგანში დევს, უბრალოდ, ჩვენდაუნებურად ვებრძვით მას.

ვახო ბუღაძის ASPROVALTA მკვეთრად განსხვავდება მურთაზ შველიძის ცოცხალი, თითქმის შხამიანი ფერებისგან, თუმცა მისთვის დამახასიათებელ პირქუშ ფერთა გამაში კარგად ზის. სერიის ფოკუსია მიტოვებული სახლები და მაწანწალა ძაღლები, რომლებიც დღევანდელ რეალობაში მრავალ სოციალურ პრობლემას ეხმიანება. მარტივი მინიშნებებით გადმოტანილი კორპუსები იმ ნაცრისფერი რეალობის გამოძახილია, რომელიც ქალაქმა შეიძინა; ნაცრისფრად დატოვებული ფანჯრები მათ უკან სიცოცხლის არარსებულობაზე მიგვანიშნებს და იმას, რომ წინა პლანზე მოძრავი არსებები, რომლებიც ძაღლებს ჰგვანან, მარტოობისთვის არიან განწირულნი. ეს ყველაფერი მოვარდისფრო ნაცრისფერ ბურუსშია გახვეული, რომელიც იმედის ნაპერწკალს ააშკარავებს, რომელიც ამ არსებებს აცოცხლებს. მხატვრის თქმით, ორივე სერიაზე ასახულია მოგონებები წარსული სინამდვილიდან: “ერთი მხრივ, ის რეალობა, რომელშიც იგი ცხოვრობდა და რომელიც დღემდე უცვლელად გრძელდება და მეორე მხრივ, ის ბუნდოვანი სამყარო, რომელიც რაღაც სიახლის, ცვლილების სურვილი თუ მოლოდინია.” - ამბობს მხატვარი

კოტე სულაბერიძის ცა - 24 საათი მეხუთე არტისტერიუმის ფარგლებში იყო „გალა გალერეაში“ გამოფენილი. სწორედ ამ ნახატის ფრაგმენტი არის DOWN UP-ის გამოფენის პოსტერზე გამოყენებული. მხატვრისთვის დამახასიათებელია რამდენიმე ტილოსაგან შემდგარი ნამუშევრები; ცა - 24 საათი 24 სტანდარტული ზომის ტილოებს აერთიანებს, რომლებიც ცას დღის სხვადასხვა მონაკვეთსა და მასზე მფრინავ სხვადასხვა ობიექტებს ასახავს; ხანდახან ეს თვითმფრინავია, ხანდახან ანგელოზები ან ბომბები, ჩიტები და სტრიპტიზის მოცეკვავე ქალები. **კოტე სულაბერიძე:** „ნამუშევარი „ცა-24 საათი“ ცხოვრების ერთგვარ მეტაფორას წარმოადგენს. ყველაფერი ხდება ცის ქვეშ. ჩვენც, ყველანი ამ ცის ქვეშ ვცხოვრობთ. ხან დღეა, ხან ღამე. ციდან ბომბიც მოფრინავს და ყოვლისშემძლე ღმერთის ხელიც გვფარავს. ხან წვიმს და ხანაც ამომავალი მზის რბილი სხივები გვათბობს. ამ კონტრასტშია ცხოვრების ინტერესი და იდუმალი სიმშვენიერე“.

მურთაზ შველიძე - JUMP

კოტე სულაბერიძე ყოველთვის მოკრძალებულია, როდესაც თავის შემოქმედებაზე უნევს საუბარი. გამოირჩევა ცხოვრების ლირიული აღქმით, ულევი პოზიტივითა და ენთუზიაზმით, რომელიც მის ნამუშევრებშიც აისახება. მისი საკმაოდ ესთეტიკური ფერწერა, რომელშიც კონცეფციას დიდი ადგილი უჭირავს, მაშინაც კი, როდესაც მწვავე სოციალურ პრობლემებს ეხება, მაინც არ კარგავს იუმორისტულ ნოტას და ოპტიმისტურ მიდგომას.

კოტე ჯინჭარაძე ვილნიუსში ინსტალაცია „კოორდინატთა სისტემა - მეოთხე განზომილება“-ს წარადგენს, რომელიც ასევე გამოფენილია „გალა“ გალერეის სივრცეში. ინსტალაცია წარმოადგენს საქართველოს დღევანდელ პირობით მოდელს სამყაროს გეოპოლიტიკურ კოორდინატთა სისტემაში. კოორდინატთა სისტემის სამი მეოთხედი სარკის მიღმა არეკლილი სივრცეებია. სადაც იქმნება ინტერესთა ტრაექტორიების ერთგვარი გზაჯვარედინი. 4 სხვადასხვა ფერის ვექტორით, რომელთა ფერებიც ავტორისეულ ასოციაციურ თავსებადობაშია გარე სამყაროს კონკრეტული ქვეყნების ინტერესებთან და გავლენის სფეროების გადაკვეთებთან.

წითელი-რუსეთი,
ლურჯი - დასავლეთი (ევროპა, აშშ),
მწვანე - ახლო აღმოსავლეთი (აზია),
ყვითელი - ჩინეთი.

სარკე მაყურებელს სთავაზობს ჩვენი მდგომარეობისა და განვითარების ვიზუალურ ინტერაქტიულ ველს, სადაც ნებისმიერ მათგანს შეუძლია აირჩიოს შესაბამისი ფერის კვადრატი და დააფიქსიროს სარკის ზედაპირზე შესაბამის ვექტორთან. არტისტის თქმით, ინსტალაცია ღირებულებათა ვიზუალური სისტემაა. ინტერაქტიული ნამუშევარი ერთგვარი სოციოლოგიური კვლევაა, სადაც სარკეში არეკლილი აუდიტორია თავის პოზიციას და საქართველოს ადგილს მსოფლიოში კვადრატებით აფიქსირებს. კოტეს თქმით, ინსტალაციაზე ყველა ჯერზე ლურჯი კვადრატები ჭარბობს, რაც ქართული საზოგადოების დასავლური ფასეულობებისაკენ ერთსულოვან ლტოლვას ასახავს.

ოლეგ ტიმჩენკოს ნამუშევარი „კონსტრუქციული დიალოგი“ საქართველოს უახლეს ისტორიას ეხება, იმ ნაწილს, რომელიც ლოკალურს გასცდა და მსოფლიო ამბავი გახდა, უფრო კონკრეტულად კი 2008 წლის აგვისტოს ომს. ტიმჩენკომ თავისი დამოკიდებულება, ომის მთავარი მიზეზები და მის შედეგად გამოწვეული განწყობა ვიდეოკოლაჟში შეაჯამა, სადაც აღებულია ერთი ფრაგმენტი 1960 წლის ფილმი-ბალეტიდან „ოტელო“. ფონად, რომელიც ორ ნაწილადაა გაყოფილი, გამოყენებულია აშშ-სა და რუსეთის დროშები. მათ ფონზე, ავტორს არჩეული აქვს ყველაზე ტრაგიკული ცეკვის მომენტი ვახტანგ ჭაბუკიანის შესრულებით, რომელიც ამ შემთხვევაში საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს. შემთხვევითი არ არის სწორედ ამ ეპიზოდის შერჩევა, რომელიც ფილმის ყველაზე დრამატული, კულმინაციური მომენტია. ის ტკივილი, განწირულობისა და გამოუვალობის განცდა, რომელიც გენიალურად განასახიერა მოცეკვავემ, ავტორის მიერ გაიგივებულია საქართველოს მდგომარეობასთან. ძალიან მნიშვნელოვანია გამოფენაში, რომელიც სამიტის ფონზე იმართება, გაჟღერებულიყო პოლიტიკური თემები და დაფიქსირებულიყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება აგვისტოს ომის მიმართ.

ვიდეოხელოვნება, რომლის ჩართვა ლიტვური მხარის მოთხოვნა იყო, ვატო წერეთლის კურატორობით შეიქმნა. ვატო, თვითონ ხელოვანი და CCA-ს ხელმძღვანელია. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი საინტერესო გამოფენების გარდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოვნეჯა ვილნიუსის სამიტზე

ჯიტე სულაბერიძე - ცა 24 საათი

არაფორმალურ სამაგისტრო პროგრამას სთავაზობს ქართულ საზოგადოებას. CCA მომავალ ხელოვანებს იმ ვიტალურად აუცილებელ ცოდნებსა და თავისუფლებას აძლევს, რომელიც თბილისის აკადემიას აკლია. პროექტს ვატო წერეთელი თავის მორიგ ნამუშევრად აღიქვამს.

ვატო წერეთელი: „თანამედროვე ხელოვნებაზე ლაპარაკი ცოტა ხელოვნურად მიმაჩნია; ხელოვნებას არ სჭირდება დამატება, ის თანამედროვეა თუ არა. რასაც ჩვენ თანამედროვე ხელოვნებას ვეძახით, არის ის, რომ იგი გაკეთებულია ამ რეალობაში და ამ დროსთან მიმართებაში“.

გამოფენის ფარგლებში ვატო წერეთელმა საჯარო ლექციაც უნდა წაიკითხოს. „ეს იქნება შემოქმედების და ხელოვნების იმ სფეროებზე, რომლებიც ნაკლებადაა ცნობილი და დეფინირებული, ყოველ შემთხვევაში საქართველოში. მაგალითად, ჩვენ გვაქვს სასწავლო პროგრამა, რომელიც თვითონ შემოქმედებითი პროცესის შედეგია. მინდა შემოქმედებაზე ვილაპარაკო, არა როგორც ნამუშევრის გაკეთებაზე, სხვა პროცესებზე, მაგალითად, საგანმანათლებლო სფეროში შემოქმედებით პროცესზე. ჩემი ლექცია იქნება ახალ ტერიტორიებზე ხელოვნებაში. ჩვენი ცენტრი საინტერესო სინთეზია განათლებისა და საგამოფენო პრაქტიკის, რომელიც შემთხვევით აღმოჩენილი ფასეულობაა და საინტერესო პერსპექტივა აქვს. ყველა ადამიანი შემოქმედია, მაგრამ ხელოვანი პროფესიით შემოქმედია, ჩემი აზრით, ეს უნარი მაქსიმალურად უნდა იყოს გამოტანილი გალერეის კონტექსტიდან და სხვა სფეროებში უნდა იყოს ინტეგრირებული. მაგალითად, ჩვენ გვაქვს სასწავლო კურსი ხელოვნება და ეკოლოგიური მიწათმოქმედება, ეს არ ეხება არც LAND ART-ს და არც ბოსტნეულის მუზეუმში გამოფენას, არამედ ეხება იმას, რომ იმ კონკრეტულ სფეროში უნარების ინტეგრირება და განაყოფიერება მოხდეს.

კოკა რამიშვილი - ხატვის გაკვეთილი

ქართული საზოგადოება თვითონ არის გარიყული რეალობიდან და ეს არ არის საზოგადოების ბრალი. ჩემი აზრით, ეს ტრავმირებული საზოგადოებაა, საბჭოთა კავშირის და შემდეგი 20 წლის შედეგად, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს უნდა შეიცვალოს. საზოგადოება თვითონ უნდა განვითარდეს და გაუჩნდეს მონაწილეობის და პასუხისმგებლობის გრძნობა იმისთვის, რომ დემოკრატიულ საზოგადოებად ჩამოვყალიბდეთ.

განათლების თემა ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ გვაქვს საგანმანათლებლო პროგრამა. ვფიქრობ, კონტექსტუალური განათლება ძალიან მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ადამიანს სჭირდება, რომ ჰქონდეს გააზრებული რა კონტექსტში იღვიძებს, ცნობიერების მიმართ გაღვიძებას ვგულისხმობ; და როდესაც შენ არ გაქვს წარმოდგენა რა რეალობაში ცხოვრობ, რა გეოგრაფიულ-პოლიტიკურ გარემოში, ისტორიულ და კულტურულ სივრცეში არსებობ, შენ ადეკვატური არ ხარ და ამიტომ არის ანაქრონისტული მომენტები ხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც.

ხელოვნებას, რომელიც დამყარებულია წარმოსახვაზე, აქვს უნარი დაეხმაროს ადამიანებს, ვისაც არ აქვს წარმოდგენის უნარი. მაგალითად, კოკა რამიშვილმა შეამჩნია, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ არის SCIENCE FICTION, ფანტასტიკის ჟანრი, იმიტომ რომ დაჩლუნგებულია ტვინში ის ადგილი. ხელოვნებას აქვს უნარი ეს უჯრედები ისე გააქტიუროს, რომ ადამიანმა თავისი პოტენციალი დაინახოს. ამას შეიძლება სახელმწიფო მნიშვნელობაც ჰქონდეს“, - ამბობს ვატო წერეთელი.

DOWN UP-ის გამოფენისთვის ვატო წერეთელმა კოკა რამიშვილის „ხატვის გაკვეთილი“ (2003), მამუკა ჯაფარიძის „სახეები“ (2001) და ნინო სეხნიაშვილის THE GRIPES (2012) აარჩია.

ვატო წერეთელი: „ავარჩიე ნამუშევრები და არა არტისტები. ეს ვიდეოები თავისი კომპლექსურობით და ვიზუალური ხარისხით რეფერენსივით არის. ეს, რასაკვირველია, პიროვნულიც არის; ეს არიან მხატვრები, რომლებთანაც მე ვმუშაობ. თემატურად იმდენად არ არის კავშირი რამდენადაც კონტექსტუალურად. ეს ნამუშევრები დასავლეთსა და საქართველოს შორის მყოფი ადამიანების შექმნილია; ორი რეალობის გამაერთიანებელია ამ კუთხით. ინტენსივობა, რომელიც მაყურებელს იმ ენერგიას და ენერგეტიკას გადასცემს, როცა თვითონ ის მაყურებელი ინსპირირებული ხდება და შემოქმედებითი პროცესი ეწყება. აქედან გამომდინარე ინტენსივობა და აკუმულირებული ენერგია, რაც ამ ნამუშევრებში არის, იყო მთავარი ხიბლი“.

კოკა რამიშვილი ხატვის პროცესს აბრუნებს და ვიდეოს დასაწყისში ნახატი იშლება. დეკონსტრუქტირებული ნახატი მხოლოდ მეხსიერებაში რჩება. შედეგად ხატვა წერა ხდება, ნახატი რვეული და საბოლოო ჯამში იმ ადამიანის ისტორია ინერება, რომელიც თავისი ჩვეული ნიშიდან მოწყვეტილია. „ხატვის გაკვეთილი“ კოკა რამიშვილმა უკვე ჟენევაში გადასვლის შემდეგ შექმნა. ეს პირველი ნამუშევარია, რომლითაც არტისტი გამოსახულებას ათ წელზე დიდი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

კოკა რამიშვილი: „იმ დროს ეს ვიდეო ეწინააღმდეგებოდა ვიდეოარტის პროდუქციის ყველა მიღებულ ნორმას. რაღაც რადიკალურ და ექსცენტრიკულს ვქმნიდი. ეს იყო ბიოგრაფია, რომელიც დახატული სურათებით დავწერე. თვითონ ნახატები საკმაოდ მდაბიო იყო, რადგანაც ჩემი მთავარი ფოკუსი მონტაჟია. მე ქანდაკება შევქმენი ვირტუალურ სივრცეში, რადგანაც მაგ ეტაპზე კომპრესია და დეკომპრესია მაინტერესებდა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მეჩვენებინა რა იყო აკრძალული დასავლურ ქვეყნებში, მინდოდა მანუალური მუშაობა მეჩვენებინა“. საინტერესოა, რომ რამიშვილი ხატვას, როგორც ტრადიციულ არტ მედიუმს ნოვატორულ, ვიდეო არტს უპირისპირებს და ამ ორი თითქოსდა შეურწყმადი მეთოდით ქმნის ნამუშევარს, რომელიც ხატვის ძირითადად მარტო კრეატიულ პროცესთანაა ასოცირებული, მის ტექნიკურ მხარეს, ანუ მანუალურ სამუშაოს უსვამს ხაზს. ამავდროულად, საუნდთრეკი, რომელიც ფანქრით ფურცელზე ხატვის ჟღერადობაა, მუშაობის აკუსტიკურ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას. ვიდეომონტაჟის გამოყენებით არტისტი მედიუმის მთავარი მითის - მისი დოკუმენტური ხასიათის დანგრევას ცდილობს.

ნინო სეხნიაშვილი ძალიან საინტერესო კონცეპტუალისტი არტისტია. გალერეა „ნექტარი“ მისი ერთ-ერთი პროექტია ქართულ არტ სივრცეში. გალერეა ყოველთვის ახერხებს დამთვალიერებლის გაკვირვებას უჩვეულო თემატიკის ექსპოზიციებით. პრინციპში ეს ერთადერთი გალერეაა, რომელიც ასეთ სარისკო და ალტერნატიული ხელოვნების მასპინძელია, როგორიც მაგალითად, წყალტუბოელი და ქუთაისელი მხატვრების გამოფენაა.

მისი ვიდეო GRIPES ციურიხში ცხოვრების დროს შეიქმნა. „ფინიგენის ვეიქში არის ასეთი ნაწყვეტი ეზოპეს იგავიდან - „მელა, რომელიც ვერ შეწვდა ყურძენს“ და ფინიგენის ვეიქში ჯოისს უკვე სხვა ენაზე, პრინციპში არც ერთ ენაზე და ეს დავადე პენოპლასტის ფაბრიკაში გადავიღე მოძრავი ობიექტები. უზარმაზარი ობიექტები უწონადობის მდგომარეობაშია. იმ დროს ციურიხში ვიყავი სტიპენდიანტი და იქ არის ჯეიმს ჯოისის დიდი საზოგადოება, სადაც დავდიოდი კითხვაზე და ჩემთვის ძალიან სასაცილო იყო, იმიტომ რომ იყო სრულიად ბოდვის სამყარო; ამიტომ დავიწყე ამ ტექსტზე მუშაობა. საერთოდ ბოდვა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ხშირად ვარ ამ მდგომარეობაში, როდესაც ვერ ვხვდები და ვერ გადმოვცემ“,- ამბობს ნინო სეხნიაშვილი.

მამუკა ჯაფარიძე - სახეები



მამუკა ჯაფარიძის ვიდეო EYE TREES ანუ „სახეები“- ხეების ადამიანის სახის მიმსგავსება ხდება ოპტიკური ილუზიებით. ვიდეოს მისტიკური ხასიათი მაყურებლის წარმოსახვაზე თამაშობს და ნარატივის შექმნა - კულმინაციას მას ანდობს. მამუკა ჯაფარიძე ზუსტად ის ხელოვანია, რომელმაც თავისი შემოქმედებითი პოტენციალი მიწათმოქმედებაში გადაიტანა და ART FARM აქვს შინდისში, სადაც ეკოლოგიურ მეურნეობასა და ხელოვნებას ერთმანეთს უთავსებს; ასევე ცდილობს სტუდენტები ჩართოს თავის საქმიანობაში და მათ რბილი მეურნეობის ლექციებს უტარებს.

გამოფენა DOWN UP ვილნიუსში, ლიტვა, გალერეა KALNAS-ში 20 ნოემბერს გაიხსენება და ერთ თვეს გასტანს.

CCA - TBILISI

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

„დაიმახსოვრეთ ეს ბიჭი“

ეს ის ქართველი დრამერია, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ მარკუს მილერისა და დიჯეი ლოჯიქის ქება დაიმსახურა. ასე რომ, ამ პატარა ბიჭს მუსიკალურ წრეებში ძალიან კარგად იცნობენ, მაგრამ საქართველომ ის რამდენიმე დღის წინ „ნიჭიერით“ გაიცნო. 12 წლის დრამერმა გიორგი კაპანაძემ მთელი დარბაზი აიყოლია და მაყურებლის ოვაციაც უხვად დაიმსახურა. ნიკა გვარამია ფეხზეც კი წამოდგა, პატარა მუსიკოსის მიერ შესრულებულმა სოლომ მას სახეც გაუბადრა. „შენ უკვე ძალიან მაგარი მუსიკოსი ხარ“, - თქვა, მკაცრ შემფასებლად მონათლულმა ჟიურის წევრმა. „ეს არის ის სიღრმისეული ნიჭი, რომელიც ყველა მუსიკოსს სჭირდება და შენ ეს უკვე გაქვს, პროფესიონალი ხარ“- ამგვარი იყო აღიარებული პიანისტის ხატია ბუნიათიშვილის შეფასება. მანამდე კი ჯაზფესტივალზე ამ პატარა მუსიკოსის დაკვრით აღფრთოვანებულმა დიჯეი ლოჯიქმა ანუ ჯეისონ კიბლერმა თქვა „დაიმახსოვრეთ ეს ბიჭი“. გიორგი დასარტყამ ინსტრუმენტზე 6 წლიდან უკრავს.

გიორგი კაპანაძე: „ნიჭიერამდე“ ჯაზფესტივალზე მსოფლიოში ცნობილ მუსიკოსებთან ერთად მომიხდა დაკვრა. მითხრეს, მაგარი მომავალი გაქვსო. ძალიან გამახარა მათმა შეფასებამ. „ნიჭიერში“ კი მამა გამომყვა, იმიტომ რომ ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია. ძალიან გამიხარდა ხალხის რეაქციაც. მიყვარს ჯაზი და სამომავლოდ ამერიკაში მინდა სწავლის გაგრძელება“.

მამუკა კაპანაძე, გიორგის მამა: „ჯერ „ერისიონის“ სახელმწიფო ანსამბლში უკრავდა დოლზე. 2008-2012 წლამდე იქ იყო სოლისტი. ცეკვავდა კიდეც... მერე შემთხვევით სტუდიაში „დრამი“ ნახა, დაუკრა და ძალიან მოეწონა. მალევე აუღო ალღო. ამის შემდეგ რეპეტიციები თბილისში დაიწყო. „ერისონიდან“ გამოვიყვანე, დრო არ რჩებოდა. ახლა ჯაზმა გაიტაცა, ძალიან უნდა სწავლის ამერიკაში გაგრძელება. წელს ზაფხულში ბათუმის Black Sea Jazz Festival-ზე გამოვიდა. ძალიან შეგვიწყო ხელი ნიკა რურუამ, მიშა გიორგაძემ და კახი კანდელაკმა, ამისთვის მადლობა მათ. იქ ბევრი უცხოელი მუსიკოსის დადებითი შეფასება და მოწონება დაიმსახურა. თბილისის ჯაზფესტივალზე კი ჯემსეიშენზე მარკუს მილერთან და დჯ ლოჯიკის ბენდთან ერთად დაუკრა. მეორე დღესაც ვრცელი პროგრამა ჰქონდათ და მიიწვიეს, ერთად დავუკრათო“.

„ნიჭიერის“ პატარა „ფოკუს-მოკუსნიკები“

„ნიჭიერის“ პატარა „ფოკუს-მოკუსნიკები“ ანანო და ელენე უკვე ძალიან პოპულარულები არიან. თუმცა იმასაც აღნიშნავენ პოპულარობა რთულიაო. „ნიჭიერის“ შემდეგ ნაცნობი თუ უცნობი ფოკუსების ჩატარებას სთხოვს. გოგონები მეორე ტურის სამზადისში არიან. თუმცა, მათ მონდომებას წლინახევრის ლიკუნა უშლის ხელს. ხან რომელი ნივთის მითვისებას ცდილობს და ხან რომელის...

ანანო: - განა მარტო ნივთებს იღებს, ოთახებსაც გვირევს ხოლმე. ძალიან ცელქობს ხანდახან.

- ბავშვებმა როდესაც „ნიჭიერში“ გნახეს რა რეაქცია ჰქონდათ?

- ძალიან მოგვეწონა შენი გამოსვლაო. „ფოკუს-მოკუსებს“ ელენე მეც მასწავლის.

ელენე: - ძალიან მიყვარს ფოკუსების გაკეთება. „ნიჭიერში“ გამოსვლაც ჩემი იდეა იყო. მერე ანანო ცეკვით დამეხმარა, სიმღერასა და ცეკვაში – დედა. ფოკუსების განხორციელებაში კი ჩემი უფროსი მეგობრები. გვინდოდა კარგი ნომერი გამოსულიყო, მაგრამ ასეთ გამოხმაურებას მართლა არ ველოდით.

ანანო: - სკოლაში ვინც კი გვხვდება ყველა გვეუბნება ფოკუს - მოკუსები გვანახეო. ყველას აინტერესებდა როგორ გავაკეთეთ. მაგრამ საიდუმლოს ხომ ვერ გავცემთ?

ელენე: - შეიძლება სკოლაშიც მოვაწყოთ სანახაობა, ვნახოთ.

ანანო 6 წლის არის, ელენე 7-ის, ორივე ბასტი-ბუბუში დადის. ამიტომ ცეკვა, სიმღერა და მაყურებლის მოხიბვლა არ უჭირთ. როგორც ირკვევა, ანანომ ასოების წერა სამი წლიდან დაიწყო, 4 წლიდან კი წიგნებს კითხულობს და დღემდე უამრავი წიგნი აქვს წაკითხული.

ანანო: - ჟურნალისტი უნდა გამოვიდე, წამყვანი ვიქნები და ჩემი გადაცემა მექნება. ისე მსახიობობაც მინდა, კომედი არხშიც მიღებენ...

ელენე: - მე, ალბათ, მოცეკვავე ვიქნები, მაგრამ „ფოკუს-მოკუსების“ კეთებას არასოდეს შევეშვები. მიყვარს, როცა ხალხს ვაოცებ... „ნიჭიერშიც“ ხომ ასე მოხდა? თუმცა ცოტათი მაინც შევშინდი. როდესაც ხატიას სახეს შევხედე მეგონა ღილაკზე ხელის დაჭერა უნდოდა და ამან შემაშინა. ნიკასიც მეშინოდა, მივხვდი, რომ მკაცრი იყო. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. როდესაც მითხრეს გადასულები ხართო ძალიან გავიხარე. დარწმუნებულიც ვიყავი, რომ გადავიდოდით შემდეგ ტურში, იმიტომ რომ ყველა გვეუბნება ძალიან საყვარლები ხართო, ბოლოს ნიკამაც და გეგამაც ზუსტად ეს გვითხრეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

„ღამის შოუ სტუდია“ საკაბელო არხზე მუშაობს

„ღამის შოუ სტუდია“ ახალ არხზე მუშაობს. ეს არის საკაბელო არხი, რომლის სამუშაო სახელი „ტვ 11“-ია. მაუწყებლობას ახალი არხი იანვრის ბოლოსთვის გეგმავს.

დათო გოგიჩაიშვილი: - ახლა გადაღებები გვაქვს. ვიღებთ მასალებს, ეს სხვა კონცეფციის გადაცემებია. ვერ დაარქმევ გადაცემას. ეს იქნება გასართობი ტიპის არხი, სადაც 25 მიმართულების პროექტი გვექნება და არამხოლოდ იუმორისტული. სახელზე ბოლოს ვფიქრობთ ხოლმე. მთავარი ჩვენთვის შინაარსია. სამუშაო სახელად ერთმანეთში „ტვ 11“-ს ვეძახით, როგორც სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“. ჯერ არ ვიცი არხი „სილკტივიში“ ჩაჯდება თუ არა.

- თქვენი პროდუქცია „იმედიდან“ ხომ არ გადაინაცვლებს ამ არხზე?

- არა, არ გადაინაცვლებს. რაც „იმედზე“ გადის, ჯერ გაგრძელდება და მერე უკვე არხზეა დამოკიდებული.

„ღამის შოუ“ ასევე მუშაობს ახალ იუმორისტულ გადაცემაზე. შოუს წამყვანები ნოდარ გურგენაშვილი და ბაჩო ქაჯაია არიან. პილოტი გადაღებულია. თუმცა ჯერ უცნობია - სად გავა შოუ. „ღამის შოუს“ მოლაპარაკება აქვს „იმედთან“, „მაესტროსთან“ და „GDS“-თან. შოუ ახალი სეზონიდან გავა ეთერში.

„ეს არის „ქომედი ვუმენის“ მსგავსი გადაცემა, მაგრამ არა ქალების“ - აცხადებს დათო.

- რუსკას გმირი რატომ გაუჩინარდა სერიალიდან „ჩვენი ამბავი“?

- გმირები იცვლებიან. გავუშვით და „აქ არ დაგინახო-მეთქი“ - არ ყოფილა. სცენარზეა დამოკიდებული. ეს შემოქმედებითი პროცესია და როგორც სცენარი მოითხოვს, ასე იქნებიან პერსონაჟები.

„ღამის შოუს“ სიახლეები აქ არ დასრულებულა. უკრანელებთან ერთად ერთ სცენარზე მუშაობენ. მოვლენათა განვითარების შესახებ მოგვიანებით შეგატყობინებთ.

„DREAMEXE PRODUCTION“ წარმოგიდგენთ - TIESTO ბაქოში

აზერბაიჯანული კომპანია „DREAMEXE PRODUCTION“ წარმოგიდგენთ მსოფლიოში აღიარებული ჰოლანდიელ დიჯეი TIESTO-ს გრანდიოზულ ღონისძიებას ბაქოში.

საღამო, რომელიც 13 დეკემბერს 21 საათზე EXPO ცენტრში გაიმართება, წარმომადგენლობითი და გრანდიოზული იქნება. ღონისძიების ორგანიზატორები კი დაუვიწყარ სანახაობაზე TIESTO-ს გულშემატკივრებს მთელი მსოფლიოდან უმასპინძლებენ.

ჰოლანდიელი დიჯეი TIESTO ყველაზე მაღალშემოსავლიანი დიჯეია. „ფორბსის“ რეიტინგში, „Electronic Cash Kings“ TIESTO პირველ ადგილზეა და ის წელიწადში 22 მილიონ აშშ დოლარს გამოიმუშავებს. კომპანია „DREAMEXEPTODUCTION“ მისი ქართველი წარმომადგენლის დახმარებით ჰოლანდიელი დიჯეის მოყვარულ ქართველ მსმენელს TIESTO-ს კონცერტზე მოხვედრის საშუალება აძლევს.

ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლის - ნათია ბერიშვილის განცხადებით, საღამო, რომელიც TIESTO-ს მოყვარულები ბაქოში დაესწრებიან დაუვიწყარი და გრანდიოზული იქნება.

ბილეთების ონლაინ შეძენა შესაძლებელია ვებგვერდზე: http://www.ticketbox.az/. საქართველოში ბილეთების შეძენის მსურველებს შეუძლიათ ასევე დაუკავშირდნენ კომპანიის ქართველ წარმომადგენელს მოცემულ მისამართზე - https://www.facebook.com/nati.berishvili

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბექა გოჩიაშვილის კონცერტი და ახალი ალბომი

my View
დეა თავგერიძე

ჯაზის სამყაროში უკვე ყველასთვის ცნობილი ქართველი ჯაზმენი ბექა გოჩიაშვილი კვლავ ნიუ-იორკშია და სხვადასხვა პრესტიჟულ ჯაზ-კლუბებში მართავს კონცერტებს. მსოფლიოში აღიარებულ ვარსკვლავებთან მეგობრობა და დაკვრა მისთვის ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმად იქცა. რამდენიმე დღის წინ მუსიკოსმა სახელგანთქმულ ჯაზბასისტთან სტენლი კლარკთან ერთად ვაშინგტონის ყველაზე ცნობილ ჯაზკლუბში „ბლუზ ელიზში“ დაუკრა. ხოლო ერთი წლის წინათ, როცა **Blue Note**-ში გამართულ კონცერტზე, ბექა სტენლი კლარკთან და ლენი უათთან ერთად უკრავდა. ლენი უათმა თქვა: „ბექა ბებერი სულია ახალგაზრდა სხეულში“. ეს ბებერი სული, მალე სამშობლოში ბრუნდება და მაყურებლის მონუსხვას აქაც აპირებს.

ბექა გოჩიაშვილი: „10 დეკემბერს, თბილისში, რუსთაველის თეატრში, კომპანია SilkNet-ის თანადგომით ჩემი ახალი ალბომის, Beka & Logic Project - Chillin' In Batumi-ს პრეზენტაცია გაიმართება. ეს ალბომი ბათუმს მივუძღვენით, რადგან ბათუმში გავიცანით ერთმანეთი და იდეაც იქ დაიბადა. ალბომში სულ 10 კომპოზიციაა.

- რამდენი წელი გავიდა, რაც ნიუ-იორკში ხარ და რა მოგცა ამ წლებმა?

- 4 წელი გავიდა, რაც აქ ვარ, დიდი გამოცდილება მივიღე. ხოლო დეტალურად თუ ვინმეს აინტერესებს, შეუძლია კონცერტზე მოვიდეს და ნახოს ეს გამოცდილება...

- შენთვის ცნობილ ჯაზმენებთან ურთიერთობა უკვე რა ხანია ჩვეულებრივი ამბად იქცა, ამაყობ ამით?

- ეს არც ამბავია და არც ჩვეულებრივი. მეგობრობა მოხდა და საერთო ენის პოვნა ჩვენს შორის ჯაზით.

- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე ქართველ დამწყებ მუსიკოსს ეთოვოს შენთვის დახმარება გზის გაკვლევაში?

- ვერ გავიგე კითხვა.

- ვინმე თუ მოსულა თხოვნით, რომ მოგესმინა, შეგეფასებინა, რჩევა მიგეცა...

- რჩევების მიცემა და დარიგება-გარიგება მუსიკაში ნაკლებად ხდება. ცოდნის გაზიარება სხვა რამეა. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი მუსიკოსი პაპუნა ბარიქაძე. რომელიც ერთ-ერთი მგზავრია იმ ხელოვანებიდან, რომლებიც გზაში არიან და ძალიან მალე საინტერესო და ახალ რამეს აჩვენებს ხელოვნებას. მას ყოველთვის სიამოვნებით გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას. ჩვენ ორივეს ერთი მასწავლებელი გვყავს, ზურა რამიშვილი, გურუ.

- შენი წარმატების მთავარი მიზეზი, ალბათ, ნიჭია, მაგრამ საქართველოში რომ დარჩენილიყავი, როგორ ფიქრობ, რა იქნებოდა?

- არ ვიცი, რა ან ვინ ვიქნებოდი... დღესაც ჩამოყალიბებულ მუსიკოსად არ მიმაჩნია თავი. ჩემი წარმატების მიზეზი ბევრი რამ არის, მათ შორის ადამიანების ხელშეწყობა... მაგრამ წარმატება ტალღოვანია, ხან გაქვს, ხან არა. მთავარი დიდი წარმატება ის არის, რომ შენი ქვეყნისთვის გააკეთო რამე, დატოვო რაღაც, რომელსაც შემდეგ შვილები და შვილიშვილები ნახავენ და შეიძლება რაღაც მომენტში საზრდოც იყოს.

- ბექა, თუ შეგცვალა წარმატებამ და რა მხრივ?

- ბევრად უფრო კრიტიკული გავხდი ჩემი თავის მიმართ. მაგრამ წარმატებებზე საერთოდ არ მიყვარს ლაპარაკი. წარატებებზე ლაპარაკისას გაზრდის დრო იკარგება.

- ძალიან მალე მოიპოვე პატარა ვირტუოზის სახელი, უარყოფითი მხარეები თუ აქვს ამ თავბრუდამხვევ წარმატებას?

- თავბრუსხვევა საერთოდ უარყოფითი რამეა. ეგ თუ აქვს ადამიანს წარმატებას არავინ დააბრალოს. ჩემი აზრით, თავმდაბლობა და თვითკრიტიკაა ძალიან მნიშვნელოვანი.

- ხატვაც დაგიწყია.

-კი, ვხატავ ხოლმე, თავისუფალ დროს ვერთობი...

ბექა და ლოჯიკ პროექტის შემადგენლობა შემდეგია: ბექა გოჩიაშვილი – აკუსტიკური და ელექტრო ფორტეპიანო; ჯეისონ კიბლერი ანუ დიჯეი ლოჯიქი – დიჯეი; ჯალილ შოუ – ალტო–საქსოფონი; ჯეიმს ჰარტი – ქიბორდი; ლამონტ მაკკეინი – ელექტრო ბას-გიტარა და ჯასტინ ტაისონო – დასარტყამები.



„მურმანის წკვარამი“

my View
დეა თავგერიძე

ახალი მღვიმის „მურმანის წკვარამის“ აღმოჩენა რომან თოლორდავას უკავშირდება. მღვიმეებმა ბავშვობიდანვე გაიტაცა. პროფესიით ფოტოჟურნალისტია, ძალიან ბევრს დადის, იღებს და ამ ყველაფრის პოპულარიზაციაზე ზრუნავს. „ეს ფოტოები მინდა იმ ადამიანებმა ნახონ, რომლებმაც არ იციან რამდენად ღრმა და ამოუწურავი თემაა საქართველოო“. პირველი ფოტოალბომი სამეგრელოზე გაკეთდა, ახლა სვანეთზე მუშაობს. ალბომის გაცნობის შემდეგ სურვილი გიჩნდება შენი თვალით ნახო და დატკბე იმ სილამაზით, რომელსაც ავტორის წყალობით ეზიარე. ამბობს გამოსაკვლევი და გადასაღები ისევ ბევრიაო. მათ შორის უფსკრულები და მღვიმეები, რომლის შესახებაც თავადვე გვიამბობს. თავადაც ამ კუთხის შვილია, შესისხლხორცებული ამ ბუნებრივ სილამაზეს...

რომან თოლორდავა: „ჩემი დღესასწაული ზაფხულის არდადაგების დადგომასთან ერთად იწყებოდა. როცა ბაბუას ჯოგს, მოხალისე მწყემსის რანგში, გამოცდილ მეჯოგეებთან ერთად ეგრისის ქედის ალპური საძოვრებისკენ მივერეკებოდი. საოცარი იყო ჯადოსნური სილამაზის ჩანჩქერების, ათასფერი ყვავილების, ცადაზიდული მწვერვალების, ვერცხლისფრად შეფერილი ალპური ტბებისა და ამ გარემოს ბუნებრივ ბინადართა აღქმა... როცა პირველი ყინვა და თოვლი ალპურ საძოვრებს სასიცოცხლო ძალას გამოაცლიდა, ჩვენი ჯოგი შავი ზღვის ზამთრის სადგომისკენ მიიკვლევდა გზას. აქ კი, ჯერ კიდევ, ზაფხული და სითბო გვხვდებოდა, მწვანე, ხასხასა მდელო, აყვავილებული ჭაობები“...

ბავშვობაში ნანახი და განცდილი ბოლოს წიგნად აქცია და ეს ფანტასტიკური ადგილები, ფანტასტიკური სანახაობებით, ფოტოალბომში განათავსა. ამ წიგნში გამოქვეყნებული 80-მდე ადგილი, პირველად ნახა საზოგადოებამ.

რომან თოლორდავა: „სამეგრელოს ერთი ძალიან დიდი პლუსი აქვს. აქ შეიძლება ადამიანი ერთ დღეში წელიწადის ოთხივე დროში ამოგზაურო. შეგიძლია ანაკლიაში ზღვაზე აბანაო, საღამოს კი ხობისა და მაგანას მუდმივ მყინვარებზე აგუნდაო. აქ არის რეგიონი სადაც ზღვა, მდინარე, მყინვარი, მწვერვალი, ჩანჩქერი, მინერალური წყალი, მღვიმე, უფსკრული ერთადაა თავმოყრილი. ეს კომპლექსი კი იმის საშუალებას იძლევა, რომ ტურიზმი სერიოზულად განვავითაროთ, რადგან სხვაგან, აფხაზეთის გარდა, ამის შესაძლებლობა ჩვენ არა გვაქვს. არ გვაქვს რეგიონი, რომელიც იწყება ზღვით, მთავრდება მთით და ამავდროულად მოიცავს მღვიმეებსა და უფსკრულებს.

-ამ წიგნში მღვიმეები და უფსკრულები ვერ ვნახე, რატომ?

-ამ წიგნში მღვიმეები არ შევიტანეთ, ეს ცალკე თემაა, ამიტომ ცალკე გამოცემა კეთდება, რომელშიც იქნება მღვიმეები, უფსკრულები, მაღაროები და ის ადგილები, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისათვის მიუღწეველია. სპელიომასივებისა და სპელიოპოლიგონების კუთხით საქართველო კლასიკურ ქვეყნად ითვლება. უმეტესობა უფსკრულებისა და ჭების სახით არის წარმოდგენილი.ჩვენ ექვსი საერთაშორისო ექსპედიცია მოვაწყვეთ. კვლევა გრძელდება, ბოლო აღმოჩენა ეკშია. ეკის მასივი სენაკის





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი მღვიმე, რომელიც სამეგრელოში აღმოაჩინეს

რომან თოლორდავა: ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ისეთ იდუმალებასთან ურთიერთობა, რომელიც უტყვიც არის და ამავდროულად მეტყველიც...

EXCLUSIVE

„ისეთ უიშვიათეს ჯიშებს შეხვდებით, გაგიკვირდებათ. გადაღებული მაქვს აფრიკიდან ჩამოფრენილი ყარყატების მთელი გუნდი“

„...თუ სახელმწიფო არ ჩაერთო, ძალიან გაგვიჭირდება. არადა ეს ყველაფერი მომგებიანია ქვეყნისთვის, ჩვენ მინიმუმ უნდა ვიცოდეთ თუ რა განძი გვაქვს, რისი პატრონები ვართ. უნდა ვიცოდეთ რა ხდება ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშეთში“...

მუნიციპალიტეტში მდებარეობს. 2013 წელს ქართულ-ფრანგული საერთაშორისო ექსპედიცია მოვაწყვეთ. ორი ახალი უფსკრული აღმოვაჩინეთ, მათგან ერთში დავეშვით, ქართული მხარიდან დაშვებაში მე და სოფი ნიკოლაძე ვმონაწილეობდით, ფრანგული მხარიდან ალან ღავანი და ბეტი პაჩინი. „მურმანის წკვარამი“ ასე დაერქვა ამ უფსკრულს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა იქ ნანახმა, ჩვენ მხოლოდ ერთი მონაკვეთი ავგეგმეთ და მისი სიღრმე დაახლოებით 100 მეტრამდე იყო. რამდენიმე დღის წინ კი უკრაინელი მყვინთავების ჯგუფი გვყავდა მოწვეული, მათ მინისქვეშა სიფონურ ტბაზე დაყვინთეს, 35 მეტრის სიღრმე და 120 მეტრის სიგრძე აიღეს მყვინთავებმა. თუმცა, ეს მხოლოდ დასაწყისია. იანვარში ძალიან დიდ ექსპედიციას ვგეგმავთ, კვლავ უკრაინელებთან ერთად. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ ამ ეკის მღვიმეს ფარდა ავხადოთ და გავიდეთ მშრალი დერეფნებისკენ. ამ ზაფხულს კი ფრანგებთან ერთად ვაპირებთ იმ ლაბირინთში შევაღწიოთ, რომელშიც დასაბამიდან დღემდე ადამიანი არ ყოფილა. იგივე სიტუაცია გვაქვს მიგარიის მასივზე; 2004 წლის ექსპედიციის შედეგად დიდმა მეცნიერმა ნატალი ვანარამ ხავერდოვანას უფსკრულზე შეღება წყალი, რომელიც მეოთხე დღეს ხობის წყლის ხეობის კანიონში გამოვიდა. აქაც დადასტურებულია წყლის მიმართულება, ასევე ის, რომ ეს უფსკრული სათავეს იღებს მიგარიის მასივზე და მთავრდება ხობის წყლის ხეობის კანიონით, შიდა სივრცის დაახლოებით 14 კილომეტრზეა საუბარი“.

- როდესაც ასეთ სიღრმეებზე გიხდებათ ჩასვლა, შიში თუ გეუფლებათ?

- არის, რა თქმა უნდა, შიშის გრძნობა. მით უმეტეს, როდესაც უფსკრულში ეშვები, მაგრამ იმდენად დიდია ინტერესი და ის გარემო სადაც ხვდები, რომ ეს ყველაფერი თავისთავად ითრგუნება, გინდა, რომ წახვიდე. სხვა თემატიკაა თუ ადამიანი ერთხელ მაინც მოხვდება უფსკრულში ან მღვიმეში, ის განწირულია იმისთვის, რომ მთელი ცხოვრება იაროს. პირველად მღვიმეში როცა ჩავედი, ასე 12 წლის ვიყავი. მას მერე უამრავი ექსპედიცია მომიწყვია, ბედნიერი ვარ, რომ მაქვს ისეთ იდუმალებასთან ურთიერთობა, რომელიც უტყვიც არის და ამავდროულად მეტყველიც...

- ალბათ, გირთულდებათ ფოტოგადაღებები მღვიმეში?

- ჰაერის კონდიციის გამო ძალიან ძნელია, მღვიმეს ორი ისეთი თვისება აქვს, რაც გადაღებას ართულებს, მუდმივი სიბნელე და მუდმივი სისველე. ძალიან გვიჭირს გადაღება, მაგრამ ღირს, თითოეული კადრი მონაპოვარია უკვე. იქ ძალიან ბევრ უცნაურ რამეს შეხვდები. თუნდაც მღვიმური ფორმები, რომლებიც არ ემორჩილებიან დედამიწის გრავიტაციის კანონებს და სპონტანურად იზრდებიან. შეიძლება ერთი მონაკვეთი ქვემოდან ზემოთ გაიზარდოს, მეორე პირიქით, ზემოდან ქვემოთ და დღემდე ამოუხსნელია რატომ ხდება ასე.

- როგორ ფიქრობთ, ტურისტებს როდის მიეცემათ ამ მღვიმეების დათვალიერების საშუალება?

- ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე ვდგავართ. საბჭოთა კავშირი მიმართული იყო იქითკენ, რომ ალპინიზმი განვითარებინა, ამ ყველაფერს სამხედრო დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ სპერეოლოგია გამორიცხული იყო. ევროპაში კი ამ კუთხით განვითარდა, იქ ამ ყველაფერმა კომერციული დანიშნულება მიიღო. თითოეული კომერციული მღვიმე ძალიან დიდ მოგებას უტოვებს, როგორც მეპატრონეს, ასევე სახელმწიფოსაც. ჩვენთან კი არის მასივები, რომელიც საერთოდ გამოუკვლეველია. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩარევა, რომ შესაბამისი ინსტიტუტები დაფინანსდეს, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რომელ მასივში რა მღვიმე გვაქვს და რომელი შეიძლება იყოს მასობრივი ან ექსტრემალური ტურიზმისთვის. მართალია ძალიან გვეხმარებიან ჩვენი უცხოელი მეგობრები და ამ კუთხით ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ თუ თვითონ სახელმწიფო არ ჩაერთო, ძალიან გაგვიჭირდება. არადა ეს ყველაფერი მომგებიანია ქვეყნისთვის. ჩვენ მინიმუმ უნდა ვიცოდეთ რა განძი გვაქვს, რისი მეპატრონეები ვართ. უნდა ვიცოდეთ რა ხდება ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშეთში, ერთგვარი ვალდებულებაა ჩვენი. ტურისტები ითხოვენ მღვიმეებში ჩასვლას, ბევრია ისეთი, რომლებსაც ექსტრემალური ტურიზმი აინტერესებს.

- როგორია მათი ემოცია, ვინც პირველად ხვდება ამ ადგილებში?

- თავიდან არავინ ფიქრობს, რომ ასეთი სანახაობა დახვდება, მერე კი ამბობენ, ინფორმაცია გვქონდა, მაგრამ შეგრძნება ასჯერ მეტიაო. ბევრი მოგზაური აღმოაჩენს, რომ ნანახი და განცდილი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს და ამ მხრივ არათუ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ ტურისტულ ობიექტებს, არამედ ხელუხლებლობითა და პირველქმნილობით ხშირად აღემატება კიდეც. ამიტომაც ხშირად მესმის - ეს ადგილები აუცილებლად უნდა ვანახო ჩემებს. ტურისტები წელს საკმაოდ ბევრი გვყავდა, მაგრამ ტურისტული ჯგუფის მატებასთან ერთად საფრთხეებმაც იმატა. სამწუხაროდ ძალიან ბევრი ადგილია დაბინძურებული. აუცილებელი იქნება ეგრისის ქედის ტბების რაიონი და არამარტო ტბების რაიონი გამოცხადდეს ეროვნულ პარკად... ეს ერთადერთი საშუალებაა დავიცვათ ამ ტერიტორიის ლანდშაფტი და ათობით ენდემური ჯიშის ფლორა და ფაუნა ვიზიტორთა მავნე ზემოქმედებისაგან... სხვა დანარჩენ შემთხვევაში ჩვენ ძალიან ცუდ სურათს მივიღებთ. სპონტანური ტურიზმის შედეგად ძალიან ბევრი ნაგავი რჩება ადგილზე. კატასტროფული სიტუაციაა. ეს კი მთლიანობაში ქვეყნის იმიჯზე ცუდად მოქმედებს. ამიტომ აუცილებელია ამ თემატიკას მოებას თავი და გაკეთდეს ეროვნული პარკი. მით უმეტეს ამ პარკის პროექტი მზად არის, მთავარია, მოინახოს შესაბამისი დაფინანსება. ეს ისეთი თემაა, რომელიც ჩვენ მომავალ თაობებს აუცილებლად ეხმიანება. აუცილებელია დღესვე ჩაერთოს რეგულაციის ყველა მექანიზმი, მერე შეიძლება ამ ყველაფრის დასუფთავებასა და ინფრასტრუქტურის მოწყობას ასჯერ მეტი თანხა დასჭირდეს, ვიდრე იმის დაცვას, რაც დღეს გვაქვს.

ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი პოტენციალი და ამ პოტენციალის ამოქმედება მთელი ქვეყნისათვის ძალიან დიდი ბედნიერება იქნება. თქვენ იცით, რომ მხოლოდ ერთმა „პრომეთეს მღვიმემ“ რომელიც წყალტუბოში გაიხსნა ათასობით ადამიანი მიიზიდა და ძალიან წარმატებული პროექტი გამოდგა. ჩვენ იმდენად დიდი პოტენციალი გვაქვს, განსაკუთრებით დასავლეთში, რომ ამას თავი არანაირად არ უნდა მივანებოთ. თუნდაც ერთი მღვიმის გახსნა ნიშნავს დამატებით უამრავ სამუშაო ადგილს და ძალიან დიდ შემოსავალს ქვეყნისთვის.

„შიშის გრძნობა რა თქმა უნდა არის, მით უმეტეს, როდესაც უფსკრულში ეშვები, მაგრამ იმდენად დიდია ინტერესი და ის გარემო სადაც ხვდები, რომ ეს ყველაფერი თავისთავად ითრგუნება, გინდა, რომ წახვიდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

20 წლიანი პაუზის შემდეგ ელდარ შენგელაია ფილმს იღებს

my View

თამარ გონგაძე

„ვამბობ, რომ ეს ფილმი ჩემი დებიუტია. 20 წელიწადი ფილმი არ გადამიღია და ნელ-ნელა ვიხსენებ. ახალი განცდები მოიტანა“

EXCLUSIVE

„ნამეტანი აქტიური პერიოდი მიდგას. მომენატრა კინო... შევარდნაძის დროს შუქი არ იყო. კინო შუქის გარეშე როგორ გადამეღო? მერე ტრაგედია შემემთხვა. სულ ავირიე... ახლა კინოკავშირიდან წამოვედი, ამ ტვირთისაგან გავთავისუფლდი და კამერას ამოვუდექი უკან“

„არის ერთი 102 წლის ბრაზილიელი რეჟისორი, რომელიც ფილმებს იღებს. თუ ღმერთი ამ ასაკამდე მიმიყვანს, არც მე გავჩერდები, ბევრ ფილმს გადავიღებ“

„არის ერთი 102 წლის ბრაზილიელი რეჟისორი, რომელიც ფილმებს იღებს. თუ ღმერთი ამ ასაკამდე მიმიყვანს, არც მე გავჩერდები, ბევრ ფილმს გადავიღებ“ - ამბობს ელდარ შენგელაია. 20-წლიანი პაუზის შემდეგ 80 წლის მაესტრო ფილმს იღებს. „ისეთი პროფესიონალია, რომ შემოქმედებითი პაუზა მის სამუშაო პროცესს არ ეტყობა. გენიალური რეჟისორია, მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. ასეთი განწყობა და მუხტი არც ერთ გადასაღებ მოედანზე არ მიგრძნია“, - ამბობს ფილმის ესპანელი ოპერატორი გომეს გორკა. ფილმი ევრიმაჟისგან დაფინანსდა და მას კინოგაერთიანება „სინეტეკი“ იღებს. ფილმის პროდიუსერია ზურა მაღალაშვილი. ტრაგიკომედიის სახელწოდებაა „კავკასიური ტრიო“ და ის აზერბაიჯანელი მწერლის რუსტან იბრაგიმბეკოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების ეკრანიზაციაა. ფილმის გადაღება სექტემბერში დაიწყო. ტრაგიკომედიისთვის მუსიკის შესაქმნელად ისევ ძველი ტანდემი შეიკრა. მუსიკაზე გია ყანჩელი მუშაობს. „კავკასიური ტრიო“ სომხურ-აზერბაიჯანულ ურთიერთობაზეა. როგორც რეჟისორი ამბობს, ფილმის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი სიყვარულს და მეგობრობას უნდა ეძებდეს და არა მტრობას.

ელდარ შენგელაია: „ამ ორი ერის კონფლიქტის ფონზე ფილმში ასეთი ისტორია ვითარდება - სომეხი წარმოშობის პიროვნება ბავშვობაში ოჯახს მოწყდა, გასაზრდელად აზერბაიჯანელმა აიყვანა და თავისი აზერბაიჯანული გვარი მისცა. მერე ამ გმირს ნამდვილი მამა ეცხადება და თავის შვილს სომხური გვარის დაბრუნებას სთხოვს. ვითარდება კონფლიქტი. ამ კონფლიქტში ერთვება ქართველიც. ის შემრიგებლისა და შუამავლის ფუნქციას იკისრებს. გმირი პროფესიით მსახიობია და მოსკოვში პრემიერაზე უნდა წავიდეს, მაგრამ ჭაში ვარდება და მთელი თავგადასავლები გადახდება თავს. საბოლოოდ მაინც მიდის პრემიერაზე“.

მოქმედება ხდება თბილისში, მოსკოვსა და ბაქოში. ბაქოსა და მოსკოვში თითოკვირიანი გადაღებები უკვე ჰქონდათ. ახლა თბილისში მუშაობენ. 80 წლის რეჟისორი არც ღამის თენებას ერიდება და არც ხანგრძლივ გადასაღებ პროცესს. არ ვიღლებიო, ამბობს და საკმაოდ მხნედაც გამოიყურება.

„გუშინ აეროპორტში გადავიღეთ კადრები, საღამოს 7 საათზე დავიწყეთ და ღამის 3 საათზე მოვრჩით“.

- არ გიჭირთ ღამის თენება?

- არა, არ ვიღლები. ახლა ხომ ფირზე არ ვიღებთ, ფილმის გადაღება ციფრულით ბევრად ადვილია. ფირზე როცა ვიღებდით, გვიჭირდა დუბლების გაკეთება. მოსასვენებელი ვაგონები გვაქვს, შეგიძლია წამოწვე, ივახშმო, ასე რომ - არ ვიღლები. არ მიჭირს. კარგი ჯგუფიც შეიკრიბა, მეხმარებიან. ფილმი სამ თვეში გადავიღეთ, პოსტ პროდაქშენი მარტში დასრულდება, მოკლედ, ექვს თვეში მზად არის ფილმი, როცა ადრე ერთი ფილმის გადაღებას წელიწადს ვანდომებდით. „თეთრ ქარავანს“ ორ წელიწადს ვიღებდით.

ფილმში თამაშობენ მსახიობები - გოგა პიპინაშვილი, იური სტაიანოვი, ბაადურ წულაძე, კირა ანდრონიკაშვილი, კახა მიქიაშვილი, გია კორკოტაშვილი... ელდარმა ერთი ეპიზოდური როლი თავის ქალიშვილსაც მისცა. ნატო შენგელაია გმირის დედის როლს თამაშობს.

- ბატონო ელდარ, რას დაარქმევთ თქვენ შემოქმედებაში ამ ეტაპს?

- ვამბობ, რომ ეს ფილმი ჩემი დებიუტია. დიპლომივით არის. 20 წელიწადი ფილმი არ გადამიღია და ნელ-ნელა ვიხსენებ. ახალი განცდები მოიტანა. გაგიმხელთ - ჩაფიქრებული მაქვს, რეზო გაბრიაძესთან ერთად სურათის გადაღება. ცოტა ავადმყოფობს და რომ გამოჯანმრთელდება, ჩვენი თანამშრომლობა გასამდება. რეზოს კარგი ჩანაფიქრი აქვს.

- რაზე?

- სიყვარულზე...

- რომელიც ვერტიკალურია და თან ბრუნვადი?

- რეზო, ხომ იცით, რა ფანტაზიის კაცია?! სად წაიყვანს ვერტიკალს და სად ჰორიზონტალს - კაცმა არ იცის. ძალიან ნიჭიერი კაცია, მიყვარს. ამაზე სექტემბრიდან ვსაუბრობთ, მაგრამ ჯერ ამერიკაში იყო, ახლა გერმანიაშია, თვალთან დაკავშირებით პრობლემები აქვს. ღმერთმა ქნას თუ კარგად იქნა, მესამე სურათს გადავიღებთ.

ეს დუეტი მართლაც შეუდარებელია. ჩემი უსაყვარლესი ფილმები - „მერეკილები“ და „არაჩვეულებრივი გამოფენა“ სწორედ ამ დუეტის შედეგია. ჩასაფრებული ვარ - რა იქნება მესამე. რეჟისორი გვიტყდება, რომ რეზოსთან თანამშრომლობის გარდა კიდევ სხვა მხატვრული და დოკუმენტური ფილმის გადაღება სურს.

„დოკუმენტურს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე გადავიღებ. ჩემს ბიძაშვილ ბორია ანდრონიკაშვილს კარგი წიგნი აქვს ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე. მის მიხედვით ვაპირებ ფილმის გადაღებას. რაც შეეხება მხატვრულ ფილმს, მისთვის დაწერილ სცენარს ჰქვია „აგარაკი“. ჯერჯერობით ვერ გეტყვით ვინ არის სცენარის ავტორი. სიუჟეტს მოგიყვებით: მინისტრმა იყიდა სავარძელი, რომელიც „კნოპკით“ იმართება. თუ ისეთი სტუმარი ეწვევა, რომელსაც ზევიდან უნდა უყუროს, ეს სავარძელი აიწევა, თუ ისეთი ეწვევა, რომ უნდა დაემორჩილოს, ქვევით იწევს. მასში ყველა ჩვენი მინისტრის კრებითი სახეა. ცხოვრობს სახელმწიფო აგარაკზე და ფიქრობს, რომ მუდამ იქნება მინისტრი და სულ იცხოვრებს ამ აგარაკზე. არჩევნებზე მის პარტიას აღარ ირჩევენ. თუმცა ის მაინც არ თმობს საყვარძელს. დიდი პერიპეტიებია. ბოლოს მოდის სპეცნაზი და ძალით გამოჰყავთ აგარაკიდან. როცა აგარაკს დაატოვებინებენ, მისი ცოლი იმ მინისტრთან მიდის, რომელმაც მისი ადგილი დაიკავა. ამ ყოფილს მოხუცი დედა ჰყავს მთაში. მასთან მიდის და ბავშვობას უბრუნდება. აი, ასე... 104 წლამდე კიდევ რამეს გადავიღებ. ნამეტანი აქტიური პერიოდი მიდგას.

- ეს რამ მოიტანა?

- მომენატრა კინო... ჩემი პოლიტიკაში ყოფნა ზურა ჟვანიამ განსაზღვრა. დიდი მეგობრობა გვქონდა. პოლიტიკიდან წასვლა მინდოდა, მაგრამ მთხოვდა, ბატონო ელდარ, არ წახვიდეთო. შევარდნაძის დროს შუქი არ იყო. კინო შუქის გარეშე როგორ გადამეღო? მერე ტრაგედია შემემთხვა... სულ ავირიე... ახლა კინოკავშირიდან წამოვედი, ჩემს ადგილას ზაზა ურუშაძეა. ამ ტვირთისაგან გავთავისუფლდი და კამერას ამოვუდექი უკან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეპერ მასტერს გია ყანჩელმა „როცა აყვავდა ნუში“ ანდო

my View

თამარ გონგაძე

„რასაც ვფიქრობ, რეპში იმას ვამბობ. ამიტომ შეიძლება ჩემზე თქვან, პოპულარობის მოსახვეჭად ეს ბიჭი ყველაფერს ედებაო. ვისაც ლირიკა მოსმენილი აქვს, ეს ჩვეულებრივი თემაა“, - ამბობს რეპერი მასტერი. მისი სიმღერების ტექსტებში გვხვდება ფრაზები: „ჩემი ყოფილები ჩემ ფანებთან გორაობენ“, „გლდანში ჯერც ისევ არ დაგვიდგეს თაუერი“, „ბევრჯერ ბევრი მეჯიბრება“, „უნიჭოებში გამცვალეს“, „ეს ქალაქი ვერ გავაფერადე“, „ფული არ გვაქვს, კლიპს ვიღებთ აიფონით“, „თბილისში ცეკვავენ ფანტანები და „ვარსკვლავები“ და გვანერვიულებენ „ჩემი ცოლის დაქალები“, „იქნება მისამღერით იყოს კმაყოფილი მაია ასათიანი და მისი „პროფილი“, „გილოცავთ, გათხოვილა ია ფარულავა“, „იქნებ ახლა დაინტერესდეს ჟურნალი „სითი“, და შემიყვანოს 20 საუკეთესო სასიძოში“, „რამდენიმე ჯალათს თურმე პატიმარი გაელახა, მაგრამ მერე რაც ვნახე, ნეტა სულ არ მენახა“.

აიფონით

მღერის, მუსიკას და ტექსტს წერს, არანჟირებას აკეთებს, მიქსინგი, მასტერინგი, კლიპის გადაღება - სულ გიორგი მასტერია. არ მეამაყება, უბრალოდ, ასე მინევსო. დიდ დროს თავის სტუდია „ქსენონფროდაქშენში“ ატარებს. წელს მეშვიდე კლიპს ვიღებო, ამბობს. ახლახან „აიფონით“ გადაიღო ვიდეორგოლი „თბილისი სითი 2“, რომელსაც მასტერის თქმით, 3 კვირაში „YouTube“-ზე 55 ათასი ნახვა აქვს. კლიპის პირველი ნაწილიც რეიტინგული აღმოჩნდა. კომენტარები დავათვალიერე, მოსწონთ მასტერის შემოქმედება, გულშემატკივრობენ. შევამჩნიე, რომ მასში მის მსმენელს რეპერის გულწრფელობა და უშუალობა ხიბლავს და იზიდავს. ამიტომაც ჰყავს უამრავი ნაცნობ-მეგობარი. გმირთა მოედანზე მინისქვეშა გადასასვლელში აიფონით გადაღებულ კლიპში რეპერი „ბაზრობს“ - „ფული არ გვაქვს, კლიპს ვიღებთ აიფონითო“. „აიფონით რატომ იღებ, რა პონტშიო?- მეუბნებიან. არ გვაქვს ფული და მაინც არ ვჩერდებით-მეთქი, ვპასუხობ. ეს მიღებულია რუსეთში, ამერიკაში. „ჰოუმვიდეოს“ ეძახიან. აიფონით ვებრძვით კინოკამერიან მეომრებს:). გადაღებული მასალა რომ ნახეს, არ არის აიფონით გადაღებულიო, არ დაჯერეს. „აირეფ ფროდაქშენი“ დავაარსე, სადაც განვათავსებ აიფონით გადაღებულ კლიპებს“.

უკრაინა, ლილუ და კატია

უკრაინელ ლილუ ვეგასთან ერთი თვის წინ დუეტი „თბილისი-კიევი“ ჩაწერა. დუეტზე კლიპი თბილისსა და კიევში გადაიღეს, როგორც ამბობს, მაღალბიუჯეტიანი. ანუ აიფონის კლიპის პარალელურად მასტერს მალე ძვირადღირებული ვიდეოც ექნება. „თითეზზე გრიმს რომ მიკეთებდნენ, აი, მაშინ მივხვდი, რომ სხვაგან ვიყავი. კლიპი ჯერ არ მინახავს“. უკრაინით, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი, გიორგიც მოხიბლულია. კლიპი გადაიღო, კიევური კატლეტი მიირთვა და სუსტი სქესით ისე გაერთო, ერთმა თბილისშიც ჩამოაკითხა. „ძალიან პოზიტიური ხალხია, ქართველები ვუყვარვართ. ერთი კატია, რომელიც კლიპშია გადაღებული, ზრდილობის გამო თბილისში დავპატიჟე და იქიდან რომ ჩამოვედი, ორ დღეში ჩამომაკითხა. შანსი არ არის ეგ სიმღერაში არ ვთქვა. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ კარგია.

- რითი მოხიბლე?

- დილით კვერცხი შევუწვი და მე მგონი ძალიან მოეწონა. სხვათა შორის, იქ გოგონას კარს რომ გამოუღებ და გაატარებ, სიხარულით იღებენ, მადლობას გიხდიან. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ყურადღება აკლიათ უკრაინელი ბიჭებისგან. თბილისში მადლობის თქმაც უტყდება ქართველ გოგოს და თუ კარი გამოუღე, ჰგონია, რომ მოგეწონა. მოკლედ, ბევრგან ვარ ნამყოფი, მაგრამ წადით, რა, კიევში.

თანხმობა გია ყანჩელისგან

ორი წელი ამერიკაში ცხოვრობდა. თვლის, რომ ამერიკულმა ორმა წელმა ბევრი რამ ასწავლა და გავლენის ქვეშ მოაქცია, დამოუკიდებელ ცხოვრებას მიაჩვია, ფერადკანიან სკოლელებთან კი კაბუს რეპს „ბაზრობდა“. აფრო კულტურის სიყვარულმა რეპი შეაყვარა, რეპმა სახელი - „მასტერი“ მოუტანა. ბულგაკოვის „ოსტატმა და მარგარიტამაც“ თავისი ქნა და დღეს ქართულ რეპსამყაროს თავისი „მასტერი“ ჰყავს. 2004 წელს კაბუსთან და ძვალთან კლიპში „მომე“ გამოჩნდა, როგორც ამბობს, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა. მერე მამუკა ღლონტმა ია ჩანტლაძის „არ მიყვარხარ“ გაარემიქსებინა. 2010 წლამდე საჯაროდ არ გამოჰქონდა ნამუშევარი. თუმცა ალბომი 2007 წელს გამოუშვა. 2010-სა და 2011 წელს „წლის რეპერის“ ნომინაციით „მეგა“ გადაეცა, 2012 წელს კი ბერამ აიღო ეს ნომინაცია. ახლა მუსიკალური დაჯილდოების ცერემონიალზე „ოქროს ტალღა“ ორი სიმღერითაა წარდგენილი. ერთ-ერთია სიმღერა „როცა აყვავდა ნუში“. აი, აქ კი ჩვენს რეპერს აქვს „საბლატაო“. „შარშან, ქართველ ებრაელ მომღერალ აბი ხანუქაშვილთან („ვოისში“ იყო) ჩავწერე დუეტი - გია ყანჩელის „როცა აყვავდა ნუში“. ნამუშევარი გადავუგზავნე ბატონ გიას. არც კი ველოდი თანხმობას, სკეპტიკურად განვეწყვე. ოთხ დღეში მეილზე მოვიდა პასუხი, მომეწონა თქვენი გაკეთებული მუსიკალური ვერსია და გაძლევთ უფლებას - გადაიღოთ მუსიკალური კლიპიო... სიხარულისგან სახლში წრეებზე დავრბოდი. ახლა ეს ფაქტი ტუზივით მაქვს. როცა მეკამათებიან, ვპასუხობ - ბატონმა გია ყანჩელმა მომიწონა ნამუშევარი-მეთქი. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია, წარმოუდგენლად დიდი. ვამაყობ“.

მასტერს „პროფილში“ მოხვედრა უნდა

ამბობს, რომ „YouTube“-ზე მის კლიპებს 90 ათასი ნახვა აქვს. ანუხებს ფაქტი, რომ წამყვანი არხების წამყვან შოუებში ვერ ხვდება. „სიმღერას რომ გამოვუშვებ, მინდა ყველა ადამიანამდე მივიდეს. არის გადაცემები, სადაც ახალი მუსიკალური ნომრების პრემიერები კეთდება, მაგრამ არ მიშვებენ. თან მიზეზსაც ვერ მეუბნებიან. ვგულისხმობ, ტელევიზიებს, შოუებს.

- ამიტომ ახსენე მაია ასათიანი სიმღერის ტექსტში?

- იქნება ამ მისამღერით იყოს კმაყოფილი მაია ასათიანი და მისი „პროფილი-მეთქი“.



- და რეპერს „პროფილში“ მისვლა გინდა?

- მე მინდა ჩემი სიმღერა ყველასთან მივიდეს. ამ გადაცემას ბევრი უყურებს და ეს მარკეტინგია. მაგრამ ტელევიზია ჰამბურგერად იქცა, ანუ იმად, რაც მაგრად იყიდება, მაგრამ არ არის გემრიელი. მამა მეუბნება, „დაიკიდე“ რა, ისტორია დაგაფასებსო. მე ფიროსმანობა არ მიზიდავს. ბოლო დროს ჩემი ფანების რიცხვი ძალიან გაიზარდა და ეს ძალიან მსიამოვნებს. თავს ვალდებულად ვთვლი, ბევრი ვიმუშაო. მწერენ, რას შვრები, რას აკეთებ ახალსო? ნარკოტიკივით არის...

„ახლა ერთზე ვფიქრობ“

„საქართველოში რეპსამყარო ახლა უფრო კარგია, ვიდრე წინა წლებში იყო. რომ არ ვთქვათ, არ შეიძლება: ბერამ რეპისთვის ბევრი რამ გააკეთა. დღეს იმდენად აღარ „ტეხავს“ რეპერობა, როგორც რამდენიმე წლის წინ „ტეხავდა“. გოგოს რომ გავიცნობ ცოტა ხანი არ ვეუბნები, რომ რეპერი ვარ. ცუდი წარმოდგენა აქვთ რეპერებზე - „პლანი, ქალები, ბარიგები, დახოცე...“ თუმცა ახლა აღარ ტეხავს, მილიარდერის ბიჭი რეპავს. ესე იგი, კაი პონტია. ამ ფაქტმაც რაღაც წილად განაპირობა ეს. ისეთმა გოგონებმა თქვეს უკვე, რეპი მომწონსო, ადრე პრინციპულად რომ არ ამბობდნენ ამას. „დინამოს“ სტადიონი გაიესო. ისეთი თემაა - რეპზე დადიან.

მე და ბერა? ახლო მეგობრები არ ვართ, ერთმანეთს მოვიკითხავთ ხოლმე. მასთან ჩემი მეგობარი ჯერონიმი მუშაობს. პატარაა და ასაკთან შედარებით მაგარი ბიჭია, ნიჭიერია“.

- ფულიანი მამის შვილი არ ვარ და 17-კარატიანი ბრილიანტი არ მიკეთიაო, ერთ კომპოზიციაში რეპავ. ბერას ჩაურტყი?

- არა, ბერას არ ვკბენ. ეგრე რომ იყოს, ვიტყოდი, ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოს-მეთქი. არ არის ეგრე. კლიპებს რომ ვიღებ, მიკომენტარებენ, ფულიანი მამის შვილიაო. საერთოდ ვამბობ, ბევრი რომ მქონდეს, ხომ უფრო კარგი ტიპი ვიქნებიმეთქი.

- ფარულავას გათხოვება მიულოცე?

- სიმღერით :) იამ დადო თავის გვერდზე ეს კლიპი. ძალიან ჯიგრულად მიიღო. გილოცავთო, იმანაც მიაწერა. არც შორენა ბეგაშვილს ჰქონია პრობლემა, რომ ვახსენე. ამერიკაში რეპერები მსახიობებს ახსენებენ, ჰოლი ბერისაც ახსენებენ და ყველას.

- უნიჭოებში გამცვალესო რატომ რეპავ?

- როცა ისეთ კონცერტზე არ გამოგიყვანენ, სადაც თავისუფლად არის შენი ადგილი და შენზე გაცილებით უნიჭოს ამღერებ ამიტომ. ჩვეულებრივი ფრაზაა, ბევრ სიტუაციას აღწერს.

- რა გმატებს ამბიციას?

- ბევრი ძალიან მაგარი მუსიკოსის დადებითი შეფასება. ბიბი კვაჭაძე ჩემი უფროსი მეგობარია, ბევრი რამ მასწავლა. ასევე დათო ხუჯაძეც. ჩემთვის მისაბაძი ადამიანები რომ მიქებენ ნამუშევარს, ეს ყველაფერი მმატებს ამბიციას.

- „ჩემი ყოფილები ჩემს ფანებთან გორაობენ“ - აგვიხსენი :)

- რაც ჩემს ცხოვრებაში ხდება, ამაზე ვმღერი. ერთ გოგოს დავშორდი და ერთ კვირაში „ფეისბუქიდან“ გავიგე, რომ ჩემ ერთ მსმენელ ბიჭზე დაწერა, რომ ღია ურთიერთობაშია. ეს ბიჭი ისევ მწერდა, გამომიგზავნე შენი ახალი „ვეშებიო“. მეც სიმღერები გავუგზავნე და ვეხუმრე, ჩაყარე მანქანაში, იმას მოასმენინე-მეთქი.

- შენ და თიკა ჯამბურიას რატომ მოგინდათ „ფეისბუქზე“ „ურთიერთობა?“

- თავი გავიპიარეთ მხოლოდ :) დუეტი „აუ“ ახალი ჩაწერილი გვქონდა და გავერთეთ. ამაზე დაიწერა ბევრგან.

- შეყვარებული არ ხარ?

- ერთხელ მიყვარდა. ახლა ერთზე ვფიქრობ... ლექსებს ვწერ. მუზასავით არის. ამას კი საჩემოდ ვიყენებ. ეს გოგო ცნობილიც არის.

- რომ მოიფიქრებ, გვითხარი.

- აუცილებლად.



ლილუ

„მე მინდა ჩემი სიმღერა ყველასთან მივიდეს. ამ გადაცემას ბევრი უყურებს. მაგრამ ტელევიზია ჰამბურგერად იქცა, ანუ იმად, რაც მაგრად იყიდება, მაგრამ არ არის გემრიელი“

„ბერამ რეპისთვის ბევრი რამ გააკეთა. დღეს იმდენად აღარ „ტეხავს“ რეპერობა, როგორც რამდენიმე წლის წინ. მილიარდერის ბიჭი რეპავს. ესე იგი, კაი პონტია“

აიფონების კლიპების რეპერს „პროფილში“ მოხვედრა უნდა

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკა ცქიტიშვილი: „ალიარება მიჭირს, მაგრამ ქა

„გაურკვეველი მიზეზების გამო, რომლებსაც დღემდე ვერ ვხვდები, არ მომეცა საშუალება ჩემი შესაძლებლობებით მაქსიმალურად დავხმარებოდი გუნდს“

გუნდი

„ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად ესაჭიროება ისეთი მეთაური, რომელიც ყველანაირ ხარვეზს უკეთესობისკენ შეცვლის“

ექსკლუზივი დუბაიდან

my View
დეა თავგერიძე

ამ ლამაზ წყვილს დუბაიში დავუკავშირდით; ქართველი ფორვარდი თავის კარიერას ამჯერად არაბთა გაერთიანებულ საამიროებში აგრძელებს. ნიკა ცქიტიშვილმა „ან ნაჰლ შარიაჰშთან“ ერთწლიანი კონტრაქტი უკვე გააფორმა. ეს მეცხრე ქვეყანაა, რომელთანაც ცოლ-ქმარს შეგუება უხდება. იმდენად ხშირად უწევთ ქვეყნების გამოცვლა, ხუმრობენ გამუდმებით „ჩემოდნებზე“ ვზივართო. ერთად ყოფნა და დიდი სიყვარული ყოველგვარ სირთულეს აიოლებს, მაგრამ ეს სიყვარულიც თურმე თავისებურ მსხვერპლს მოითხოვს; გათხოვების შემდეგ სოფომ სცენა დათმო. ულამაზეს მოცეკვავეს დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. კალათბურთელი მეუღლის უცხოეთში თამაში და ქართული ცეკვა ვერ შეეთავსა ერთმანეთს. ასე ჩაანაცვლა მოცეკვავის კარიერა კალათბურთელ ქმართან სიახლოვემ. ახლა დუბაიში ორ შვილთან ერთად ცხოვრობენ. ლიზი 3 წლის არის, ელენი კი 7 თვის.

- სოფო, როგორ გრძნობთ თავს ახალ გარემოში?

- მეცხრე ქვეყანაა უკვე, სულ ჰაერში ვართ, მაგრამ, როგორც ყველგან, თავს აქაც მშვენივრად ვგრძნობთ. თავიდან ძალიან გვცხელოდა, მერე კი ნელ-ნელა ამ სიცხემაც ჩაიარა და ახლა ბევრად უკეთ ვართ. აქ ბევრი რამით მოიხიბლები, განსაკუთრებული შთაბეჭდილება დუბაის თანამედროვე არქიტექტურამ მოახდინა. თუმცა მე ყველაზე მეტად მაინც სან ფრანცისკო მომწონს. ყველაზე ლამაზ ქალაქად მიმაჩნია, გეოგრაფიული მდებარეობა ისეთი აქვს, რომ მიმოიხედავ მიხვდები, რომ ყველაფერი გაქვს. ამას გარდა, ამდენი წლის მერე ნიკას ქუჩებში დიდი სიყვარულით ხვდებიან, იქ ყოფნისას ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სახლში ვიყავით. გაგიმხელთ ჩვენს სამომავლო გეგმასაც, ნიკას გადაწყვეტილი აქვს, რომ სანახევროდ მანდ დავბინავდეთ.

- ეს სამომავლო გეგმა დაახლოებით როდისთვის გაქვთ დაგეგმილი?

- ნიკას კარიერის დასრულებისთანავე, 40 წლამდე მაინც არ აპირებს გაჩერებას, ამ გზით გვინდა მსოფლიოს მოვლა, მომთაბარეობით...

- რთულია ასე ცხოვრება?

- იმდენად ცხოვრების წესად გვექცა, რომ სიამოვნებას უფრო გვანიჭებს. რა თქმა უნდა, სიძნელეებიც თან ახლავს, ორ ბავშვთან ერთად რთულია, მაგრამ ამასაც ვუმკლავდებით.

- ამბობენ, სოფომ თავისი კარიერა ოჯახს შესწირა, თორემ ძალიან დიდი მომავალი ექნებოდაო...

- არ დავეთანხმები იმას, რომ წარმატება მექნებოდა და არ მექნება... უბრალოდ, ჩემი სურვილით, დროებით მივატოვე ჩემი საყვარელი საქმე, ცეკვა. სამომავლოდ ცეკვას ვაპირებ. გაგრძელებასაც. ვიცი, რომ ნიკას ხელშეწყობით იმაზე ბევრად მეტ წარმატებას მივაღწევ, რისი მიღწევაც მარტოს შემეძლო. ნიკას გვერდში დგომა ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს, თვითონაც დარწმუნებულია ჩემს წარმატებაში. მიუხედავად უცხოეთში ცხოვრებისა და ჩემი ოჯახური მდგომარეობისა სწავლას მაინც ვაგრძელებ. აქაც გამუდმებით ვმეცადინეობ. პროფესიით ეკონომისტი ვარ, რომლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ალტერნატიული დანახარჯებია; მე, ერთის სანაცვლოდ დავთმე მეორე. რადგან პირველი, ანუ ნიკა, უფრო ღირებული და ბევრად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. თუმცა, როდესაც საქართველოში დავბრუნდებით ჩემს საყვარელ საქმეს ისევ დავუბრუნდები. ასე რომ, დანებება არ ითქმის, უფრო დროებით შევწყვიტე.

- ე.ი. სცენაზე ისევ გიხილავთ?

- რატომაც არა? ნიკას ძალიან უყვარს ქართული ცეკვა და უყვარს, რომ ვცეკვავ. მაგრამ ყველაზე მეტად დედაჩემს უხარია ჩემი სცენაზე დანახვა და მინდა მისი გაბრწყინებული თვალები მომავალში კიდევ ვნახო.

- შენ თუ გენატრება ხოლმე სცენა?

- სცენა სულ მენატრება.

- ადრე ნიკა სიურპრიზებით ძალიან განებივრებდა, მახსენდება 100 ვარდის ამბავიც... ახლაც ასეა, თუ უკვე ბავშვები ართმევენ შენს წილ ყურადღებას?

- სიურპრიზები ისევ გრძელდება. ნიკა ამ მხრივ არ შეცვლილა, პირიქით. ბეირუთში ყოფნისას ვალენტინობის აღსანიშნავად კაფეში შევედით. იქ მისულებს კი დიდი წითელი დათუნია დაგვხვდა, თავისი საჩუქრებით. გავგიჟდი ისეთი სილამაზე იყო. თვალს ვერ ვაცილებდი და უცებ აღმოჩნდა, რომ ჩემია... ამ სიურპრიზმა, მაშინ ძალიან გამახარა.

NBA-ის ყოფილი მოთამაშე, აზიაში 2011 წლიდან თამაშობს. ჯერ ირანის „მაჰრამთან“ ერთად სპარსეთის ჩემპიონი გახდა, შემდეგ „მაჰანში“ დაიწყო და ლიბანურ „ჩამპვილში“ განაგრძო. ის დასავლეთ აზიის თასის მფლობელიც გახლავთ. კალათბურთელის გულისტკივილი დღეს ქართული კალათბურთი და მისი მომავალია. ამ საკითხთან და პირად წყენასთან დაკავშირებით ნიკამ „პრაიმტაიმთან“ გულახდილად ისაუბრა. ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამდე კი თავად ნიკასგან შევიტყოთ თუ როგორი მამაა და მეუღლესთან თანაცხოვრების რამდენიმე წელმა რა შეცვალა კალათბურთელის ცხოვრებაში.

ნიკა ცქიტიშვილი: - მაქსიმალურად ვცდილობ სოფოს დახმარებას და ვფიქრობ, რომ გამომდის კიდეც. როცა თავისუფალი დრო მაქვს და ჩემი საქმე დასვენების საშუალებას მაძლევს, ვცდილობ სოფოსთან და ბავშვებთან ვიყო. როცა სოფო დაკავებულია ბავშვების გართობა ჩემი საქმეა. თუმცა, სასეირნოდ მარტოს არასდროს დამყავს, ყველანი ერთად დავდივართ.

- პატარა რამდენის არის და ვისი სახელი ჰქვია?

- პატარა ახლა 7 თვის ხდება. არავის სახელი არ ჰქვია, უბრალოდ, გვინდოდა ელისაბედის მსგავსად ინტერნაციონალური სახელი აგვერჩია და ელენი დავარქვით.

- რთულია ორი ბავშვის მამობა? რომელი უფრო ცელქია და შენ რომელი გგავს?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ართულ კალათბურთში ძალიან ცუდი სიტუაციაა“

„ვიცი, რომ ნიკას ხელშეწყობით იმაზე ბევრად მეტ წარმატებას მივაღწევ, რისი მიღწევაც მარტოს შემეძლო. ნიკას გვერდში დგომა ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს“

ქვეყანა

„ყოველთვის შევეცდები ჩემი გამოცდილების პატარა მარცვალი დავთესო ჩემს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალება მომეცემა“

- არ არის რთული, რადგან, ღვთის წყალობით, არაპრობლემატური ბავშვები მყავს. ორივე, მეც და სოფოსაც ძალიან გვგავს. ერთმანეთსაც გვანან, მაგრამ აქვთ ორი უკიდურესი სხვაობაც, უფროსს მუქი შავი თვალები აქვს, პატარას ღია ლურჯი. ლიზი ხასიათებით ჩემი კოპიოა. ჩემსავით აქვს იუმორის გრძნობა. ერთ წამს შეიძლება სერიოზული სახე ჰქონდეს, მეორე წამს კი მასხარაა. ანალოგიური გემოვნება აქვს ყველაფერში.

- რა შეცვალა თანაცხოვრების რამდენიმე წელმა?

- ბევრი რამ გვასწავლა. ის, რომ დიდი პასუხისმგებლობა გვეკისრება. ასევე ვხვდებით, რომ მუდამ მზად უნდა ვიყოთ ცხოვრებისგან მოულოდნელობებისთვის. თანდათან კი უფრო და უფრო ერთმანეთზე დამოკიდებულები ვხდებით.

- მესამე შვილის ყოლასაც აპირებთ, ალბათ; მახსოვს, როდესაც პირველ შვილზე იყო სოფო ორსულად მითხარი, ბიჭი გვინდოდაო, სახელიც გქონდა შერჩეული, მიშიკო.

- რა თქმა უნდა, ვგეგმავთ მესამე შვილს, მაგრამ ჯერ არა. თუმცა, ღმერთი როგორც ინებებს ისე იქნება ყველაფერი. ისე, კომფორტულად ვგრძნობ თავს ჩემს გოგოებში, მესამეც რომ გოგო იყოს არ მეწყინება, მაგრამ კალათბურთელი ბიჭიც ძალიან გვინდა. ორ დას ხომ უნდა ძმა? აქ მეუბნებიან უბედნიერესი კაცი ხარო, როცა დავბერდები რამდენი მომავლის...

- რაც შეეხება დუბაის, როგორ გრძნობ ახალ გუნდში თავს და რა სამომავლო გეგმები გაქვს?

- აქ საუკეთესო კალათბურთი არ არის, მაგრამ კომფორტს და ანაზღაურებას თუ გავითვალისწინებთ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამ მხრივ, დიდი სხვაობაა. მეც 16 წლის აღარ ვარ, რომ კარიერული თვალსაზრისით მხოლოდ ლიგას ვითვალისწინებდე. ერთწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. სამომავლოდ „ასიასში“ თამაშს ვფიქრობ, რადგან კმაყოფილი ვარ. მოგეხსენება დუბაი ინდუსტრიული ქალაქია, ბევრი საინტერესო იდეაც მაქვს, ვნახოთ რა გამოვა. რაც არ უნდა იყოს ჩემს მომავალს მხოლოდ კალათბურთის ირგვლივ ვხედავ, კალათბურთი ჩემი ნაწილია, და არა მარტო ჩემი, უკვე ჩემი ოჯახისთვისაც ასეა.

- ქართულ კალათბურთზე რას იტყვი. რა მდგომარეობა გვაქვს დღეს?

- აღიარება მიჭირს, მაგრამ ძალიან ცუდი სიტუაციაა. როდესაც იმას იტყვი, რომ 50-70-იანი წლების კალათბურთი დღევანდელ კალათბურთს სჯობნის, იქ უკვე ცუდადაა საქმე. დროა, ყველამ რაღაც ილონოს ამ სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ბევრს ჰქონდა გარკვეული დრო, რომ ფეხზე დაეყენებინა ქართული კალათბურთი, მაგრამ აქცენტი მხოლოდ ნაკრებზე და რამდენიმე ამოჩემებულ მოთამაშეზე გაკეთდა, მაშინ როცა უფრო საყურადღებო მთლიანად ქართული კალათბურთი იყო. ზუსტად ვიცი, რომ აუცილებლად ესაჭიროება ისეთი მეთაური, რომელიც ყველანაირ ხარვეზს უკეთესობისკენ შეცვლის. ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა დადებითად განმანყო კალათბურთის მომავლისადმი, ვნახოთ რა იქნება. ჩვენ გვჭირდება მხოლოდ კალათბურთზე ორიენტირებული ხალხი, არანაირი სხვა ინტერესები.

- ამ გადასახედიდან რას იტყვი შენს სპორტულ კარიერაზე, სამომავლოდ ხომ არ ფიქრობ, რომ შენი გამოცდილება ქართულ კალათბურთს მოახმარო? არამხოლოდ როგორც მოთამაშემ?..

- პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ჩემს კარიერაში პატარა წვლილი შეიტანა. იმის გათვალისწინებით, ბოლო 14 წელი რა დონის ლიგებშიც მითამაშია, ჩემს ადგილზე კაცი უკმაყოფილო არ უნდა იყოს, მაგრამ, რაც შეეხება ბოლოდროინდელ სანაკრებო კარიერას, უკმაყოფილო ვარ, რადგან რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო, რომლებსაც დღემდე ვერ ვხვდები, არ მომეცა საშუალება ჩემი შესაძლებლობებით მაქსიმალურად დავხმარებოდი გუნდს. როგორც გითხარი, ჩემს თავს კალათბურთის სფეროს გარეთ ვერ ვხედავ, ამიტომ ყოველთვის მაქსიმალურად შევეცდები ჩემი გამოცდილების პატარა მარცვალი დავთესო ჩემს ქვეყანაში, რა თქმა უნდა, თუ ამის საშუალება მომეცემა.

„კაფეში დიდი წითელი დათუნია დაგვხვდა, თავისი საჩუქრებით. გავგიჟდი ისეთი სილამაზე იყო, უცებ აღმოჩნდა, რომ ჩემია...“

ოჯახი

სიურპრიზები ისევ გრძელდება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეგობი

ელენე კაპანაძე
www.geoplatforma.blogspot.co.uk

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი გამოფენა „მემკვიდრეობას“ მასპინძლობს. ლევან მინდიაშვილი, უტა ბექაია, ირაკლი ბუგიანი, ტატო ახალკაციშვილი და ქრისტიან ტონჰაისერი ისტორიის, მემკვიერეობის და მათ რეალობასთან რელევანტობაზე მსჯელობენ.

„ქართული საზოგადოება, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, აქტიურად ცდილობს საკუთარი ისტორიული იდენტობის აღდგენასა და რეაბილიტაციას. მას ძირითადად შორეულ წარსულსა და ტრადიციებში ეძებს და ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად არ ითვალისწინებს ახლო გამოცდილებას“, - წერს ლევან მინდიაშვილი.

პროექტის ავტორები ის ადამიანები არიან, რომლებმაც საბჭოთა ისტორიის უგულებელყოფისა, დავიწყებისა და იგნორირების გაბატონებული ტრენდი შეამჩნიეს და ამითი გამოწვეული საშიშროებაც დაინახეს.



უტა ბექაია: „ჩემთვის ყველაზე შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი ცირკულაციაა - როდესაც ბუნებაში ორგანიზმები ჩნდება, ვითარდება, იხრწნება და ახალ ფორმაში გადადის“

დღევანდელობა საქართველოსთვის და, ალბათ, ყველა მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ტრადიციების ქვეყნებისთვის ძალიან პრობლემატურია. რთულია არ დაკარგო ეს ტრადიციები, მაგრამ, ამავდროულად, ადეკვატური დარჩე დანარჩენ სამყაროსთან. მაგრამ უფრო საინტერესოა ქართული ამნეზია იმ 70 წლის მიმართ, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. ის ტრავმა, რომელიც რეჟიმმა და მერე მისმა დანგრევამ საზოგადოებას მიაყენა, გამოინვია ის დავიწყების საყოველთაო სურვილი, ანალიზისა და შეჯამების გაკეთების მაგივრად. გამოფენა „მემკვიდრეობის“ ქვეშ გაერთიანებულმა ჯგუფმა საქართველოს უახლესი ისტორიის როლი დაინახა დღევანდელი ქართული მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში და გადაწყვიტა იგი გაეანალიზებინა.

ლევან მინდიაშვილი: „ჩვენი მიზანია, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, იმ კონსტრუქციებზე ფიქრი, რომლებიც იდენტურობის ბაზისს წარმოადგენენ, იმ ქვეცნობიერი თუ ცნობიერი ფაქტორების წარმოჩენა, რომლებიც ქმნიან პიროვნებას და მას საზოგადოების ერთეულად აყალიბებენ“.

ამ არტისტებს საბჭოთა კავშირის ყველაზე ცუდ ფაზაში მოუწიათ პირველი ნაბიჯების გადადგმა, მის დაშლას მოესწრნენ და ცნობიერი ცხოვრება 1989 წლის 9 აპრილით დაიწყეს. ლევან მინდიაშვილი თავის შემოქმედებას იდენტობის საკითხებს, მისი ჩამოყალიბების სირთულეებსა და ნიუანსებს უთმობს. გადაწყვიტა, რომ თემა გაეშალა, განეზოგადებინა და უფრო მასშტაბურად, ქვეყნის ეროვნულ იდენტობაზე ეფიქრა.

მისი ტილოების ფოკუსი ისევ არქიტექტურაა, როგორც სოციუმის ისტორიის ყველაზე სრულყოფილი დოკუმენტაცია; ამ ეტაპზე მან მხატვრის სახლისა და ტაძრის ფასადებზე იმუშავა. მხატვრის სახლის შენობა ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს 90-იანი წლების ისტორიაში. იგი საბჭოთა მმართველობის ერთ-ერთი სახასიათო დაწესებულება იყო, სადაც ხელოვნების დოგმატურობა მკაცრად კონტროლდებოდა და ბუნებრივია, ხელოვანს, რომელიც საბჭოთა წარსულზე ფიქრობს, უნდა გაეანალიზებინა საბჭოთა დამოკიდებულება ხელოვნების მიმართ. მაგრამ, დღესდღეობით, მხატვართა სახლი საბჭოთა დოგმების მაგივრად სამოქალაქო ომის რეფერენსად გადაიქცა. ნახატზე ერთმანეთს კვეთენ შენობის ისტორიული ფასადი, მისი ახალი ფუნდამენტი (ამ ეტაპზე იმავე ტერიტორიაზე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი შენდება) და შენობის მაკეტი. ნითელი ნრიული ლაქები კი თითქოს იმ სისხლზე მიუთითებს, რომელიც 1989 წელს რუსთაველის პროსპექტზე დაიღვარა.

ლევან მინდიაშვილი: „მხატვრის სახლი ეს კულტურის პოსტ-ქრისტიანულია აღქმაა; იგი ძალიან მნიშვნელოვანი, სიმბოლური და ამავდროულად პროპაგანდისტული შენობა იყო. ჰქონდა ძალიან მკვეთრად განსაზღვრული ფუნქცია და ძალიან სიმბოლურად განადგურდა მაშინ, როდესაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო; თითქოს საბჭოთა წყობილებასთან ერთად განადგურდა“.

მოპირდაპირე კედელზე იგივე ზომის და იმავე ფერთა გამაში გადაწყვეტილი ტაძარია გამოსახული. მის ესთეტიკას უფრო უხდება ყავისფერი, მოოქროსფრო და კრემისფერი ტონები; ვერტიკალური, წვრილი, მსუყე ფორმები ძალიან ჰგავს ეკლესიაში სარკმელიდან შემოსულ სინათლეს. აქაც ტაძრის პროექტი, მისი ნანგრევების ჩანახატები და მაკეტი ერთმანეთზეა გადახატული. რელიგიას, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ძალიან აქტუალური გახდა, უდიდესი როლი უჭირავს საზოგადო ცხოვრებაში. ის საუკუნოვანი ტრადიციები დღემდე ძალიან აქტუალურია და ნამდვილად წამყვანი როლი უჭირავს ჩვენი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებაში. ამას თავისი მიზეზებიც აქვს; ეს ბუმი შეიძლება საბჭოთა ტრავმასაც გამოეწვია როგორც მის მიმართ პროტესტს; მოსახლეობის უმრავლესობა მკაცრად იცავს ორთოდოქსულ ქრისტიანულ წესს. რელიგია მუდმივად არის პოლიტიკოსების მიერ საკუთარი ინტერესებისათვის ექსპლოატირებული. ტაძრის ეს ნახატი ზუსტად იმ ღრმა წარსულში კვლევასა და ძიებას ეხმაურება, რომელიც დღევანდელი ცხოვრების რიტმთან უთანხმოებაში მოდის.

ინსტალაცია „არქივი“ ადამიანის უთავო ფიგურის გარშემო ტრიალებს. ცენტრში დაკიდებულ ტანს წინ ცვილის სახე უსვენია, გარშემო კი სხვადასხვა ნივთები კიდია. ძალიან საინტერესო და სახასიათო ობიექტები თითქოს ამ ფიგურის ცნობიერებიდან არის ამოკრეფილი, როგორც მისი იდენტობის მთავარი შემადგენელი კომპონენტები. აქ არის მწვანე რვეული, რომელშიც თაობები კარნახებსა და საკონტროლოებს წერდნენ; საქართველოს ისტორიის წიგნის ყდა, საქართველოს პასპორტის პირველი გვერდი, 8 მარტის მისალოცი ღია ბარათი, საქართველოს მხატვართა კავშირის წიგნაკი, სოხუმის ტურისტული ბუკლეტი - ეს ის ყოველდღიური ნივთებია, რომლებიც ერთ დღეს უბრალოდ გაქრა საქართველოს რეალობიდან. სამაგიეროდ გაჩნდა 9 აპრილი, „LOVE IS“ ის საღეჭი რეზინი, ახალი საქართველოს პასპორტი და სოხუმის სამხედრო რუკა. ვიტრინაში ჩასვენებული ცვილის თვალდახუჭული სახე პირდაპირ დიალოგშია კედელზე მიმაგრებულ სისხლიან ხელებთან და გადაბინტულ ტერფებთან. ეს ის დასახჩრეული და ტრავმირებული თაობის ნარჩენებია, რომელმაც სამოქალაქო და აფხაზეთის ომი გამოიარა.

ირაკლი ბუგიანის მთავარი ინსპირაცია, ონლაინ არქივში ნაპოვნი საბჭოთა პროსპექტების ფოტოები, მის ტილოებზე ახალ ცხოვრებას იძენენ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნამუშევრები კონკრეტულად ამ გამოფენისთვის არ შექმნილა, ამ კონტექსტში არქიტექტურის, როგორც ისტორიული მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილი მედიატორის პოტენციალს გაუსვეს ხაზი.

ირაკლი ბუგიანი: „იდეაა საბჭოთა არქიტექტურა - ყველა რეჟიმს აქვს თავისი არქიტექტურა, როგორ მოქმედებს ინდივიდზე. ადამიანი, რომელიც ასეთ გარემოში ცხოვრობს და ასეთ შენობებს უყურებს, საინტერესოა, როგორი ფსიქიკა უყალიბდება“.

სერიის კულმინაცია დიფტიქი „გლდანი პარკინგია“. გლდანის, როგორც პოსტსაბჭოთა ფენომენის განხილვა ძალიან საინტერესოა. უბანი საბჭოთა თბილისში აშენდა, მაგრამ უკვე დემოკრატიულ თბილისში გაფართოვდა და მჭიდროდ დასახლდა. შესაბამისად, ეს არქიტექტურაში ამ არტისტების შესატყვისია, საბჭოთა ბავშვებს სისტემების ნგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად თავისი საბჭოთა ტვირთით უწევთ რეალობაში ნავიგაცია; გლდანის დასახლება, თავისი მოშენებული ლოჯიებითა და უკანონო ფარეხებით ამ ჰიბრიდული საზოგადოების არქიტექტურული შესატყვისია.

ირაკლი ბუგიანის ტილოებზე ასახული თეთრი შენობები რეალურ ცხოვრებაში დაბზარული, დასვრილი, ნაცრისფერი ფასადებია. ეს ძალიან ჰგავს ადამიანების ნოსტალგიას და წარსულის გაიდეალიზებას - ყველაფერი საუკეთესო მაშინ იყო. თითქოს ეს შენობები დღევანდელობასთან არაადეკვატურობის გრძნობებს და პრობლემებს გაურბიან იმ დიად წარსულში სადაც ჟურნალებში იბეჭდებოდნენ და საბჭოთა გაზვითარების სიმბოლოები იყვნენ. ეს ის შავი იუმორია, რომლითაც ირაკლი მთელ ეპოქას და წარსულის გაიდეალების სენით შეპყრობილ ადამიანებს აკრიტიკებს.

ტატო ახალკაციშვილს ხატვის ძალიან სახასიათო მანერა აქვს. იგი ზეთში მუშაობს, მაგრამ მედიუმს საქართველოსთვის საკმაოდ უჩვეულად ხმარობს. ის არ ტოვებს სქელი ფუნჯის ანაბეჭდებს, არც გამომშრალ ფუნჯს იყენებს. მისი ზედაპირები ყოველთვის სუფთა და პრიალაა. ამ ეტაპზე მხატვარი თავის ნახატებს კოლაჟის მეშვეობით ასრულებს.

ტატო ახალკაციშვილი: „ბავშვობიდანვე ვიყავი აკადემიზმით დაინტერესებული და ამ კუთხით ვანვითარებდი ჩემს ტექნიკას და ცოდნას. აკადემიური ხატვის და ფერწერის გამოცდილება მაძლევდა საშუალებას სხვადასხვა ემოციების გამოსახატავად. აკადემიური სწავლების მომხრე ვარ, მაგრამ არა ჩარჩოში ჩარჩენის. მე ვფიქრობ, რომ ხელოვნებაში იმხელა გამოცდილებაა დაგროვილი, ძალიან ბევრი რამ არის ნაცადი და მე ვფიქრობ, რომ ხელოვანმა მიზანმიმართულად არ უნდა იფიქროს, რომ ახალი ტექნიკა აღმოაჩინოს. არ უნდა იყოს მიჯაჭვული იდეასთან, რომ მან ისე იმუშაოს, როგორც სხვა არავინ მთელ მსოფლიოში. უნდა თავისუფლად ხატო, მიზანმიმართულად და გონივრულად უნდა გამოიყენო ის გამოცდილება, რასაც ამდენსაუკუნოვანი ხელოვნების ისტორია ინახავს“.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან მინდიაშვილი: „ჩვენი მიზანია ქვეცნობიერი თუ ცნობიერი ფაქტორების წარმოჩენა, რომლებიც ქმნიან პიროვნებას და მას საზოგადოების ერთეულად აყალიბებენ“

ტილოების ცენტრალური ფიგურები, ხშირ შემთხვევაში ბავშვები, ფოტოებიდან ან პლაკატებიდან არიან ამოჭრილნი. მემკვიდრეობის ფენომენის განხილვა ბევრი კუთხიდან შეიძლება, მათ შორის გენეტიკითა და ქვეცნობიერებით გადმოცემული ინფორმაცია და გამოცდილება, რომელიც ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო. ტატო ახალკაციშვილის სერიის ფოკუსი ბავშვობა, არის ის პერიოდი, როდესაც ადამიანის ქვეცნობიერი ყველაზე ადვილად აღწევს გარეთ და ინტუიტიური არსებობა არ ითრგუნება მორალური ბერკეტებით.

„დაბადებულნი“: საბჭოთა ცისფერ, პრიალაკედლებიან და თეთრცარციან ჭერიდან სპორტდარბაზში აუზია, მაგრამ, როგორც პოსტ-საბჭოთა შენობების უმრავლესობამ, მანაც განიცადა დეგრადაცია და იხრწნება. სტალინის პორტრეტი, რომელიც ტილოს ცენტრის ოდნავ მაღლაა, თავისი წითელი ფონით მომენტალურად იქცევს ყურადღებას. ნახატიდან ბელადი ამაყად უყურებს მის გამოზრდილ შთამომავლობას - სათამაშო მანქანაში ჩამსხდარ ბავშვებს, რომლებიც ცარიელ აუზში დაღუპვისათვის არიან განწირულნი. ნამუშევარი ძალიან საინტერესო ანალიზია იმ 70-წლიანი უტოპიისა, რომელმაც დაასახიჩრა და დაამახინჯა თაობები. იდეოლოგიის მოთხოვნები, მექანიზმები და წარმოდგენები მომავალზე ისეთივე შეუსაბამო იყო რეალობასთან, როგორც სათამაშო მანქანები ცარიელ აუზში. ასევე აღსანიშნავია იმ ჩაკეტილობის განცდა, რაც უწყლო აუზში ყოფნისას ეუფლება ადამიანს, რომელიც საკმაოდ კარგად შეესაბამება იმ კლაუსტროფობიულ გარემოს, რაც საბჭოთა კავშირში არსებობდა.

ნამუშევარი ავტობიოგრაფიული სახისაცაა. მხატვარი თავის თავს საბჭოთა ბავშვად აღიქვამს და როდესაც მემკვიდრეობაზე დაიწყო ფიქრი, ავტომატურად ეს პერიოდი გაახსენდა. კოლაჟზე ერთ-ერთი ბავშვი მისი პატარაობაა.

შერეული ტექნიკით (ზეთი, ტილო, წყლის საღებავი და ფოტოკოლაჟი) დახატულ ტილოებს ძირითადად ლათინური სახელები აქვთ, ლათინურ ენაში სიტყვებს მრავალაზროვანი განმარტება და ტატოც ამ ნიშნით იყენებს მათ. EGRESUS ყავისფერ ხეივანში კედლისკენ მიტრიალებული ბავშვები ხატია, რომლებიც ემბრიონების ფოტოებს უყურებენ. ცა, რომელიც გამჭვირვალე სისხლისფერი ლაქაა, დანარჩენ ფერებთან კონტრასტში, თეთრ ფონზე მომენტალურად იპყრობს დამთვალიერებლის ყურადღებას.

ტატო ახალკაციშვილი: „ყველაზე ახლოს იყო განდევნის განმარტება. ჩემთვის ეს გაწყვეტილი დიალოგის მეტაფორაა. ეს არის სხვადასხვა ვითარების გამო გარდაცვლილი ბავშვების შეწყვეტილი სიცოცხლე. ჩემთვის საინტერესოა ეს ადამიანები, როგორ განვითარდებოდნენ და რას გააკეთებდნენ ამ სამყაროსთვის. ნებისმიერი ახალი სიცოცხლე იბადება კონკრეტული დანიშნულებით და რაღაცა განვითარების შემდეგ ის უკვე საკუთარ გამოცდილებას იძენს, დამატებით კიდევ აქვს მთელი კაცობრიობის გამოცდილება ქვეცნობიერში დალექილი და უცებ მთელი ეს თაობა ამოჭრეს, გააქრეს, სხვადასხვა ვითარებების გამო - ეს იქნება აბორტი, ომი. ჩემთვის საინტერესოა, ეს ადამიანები რას გააკეთებდნენ, როგორ განვითარდებოდნენ და რას დაუტოვებდნენ სამყაროს“. ძალიან ჰგავს აფხაზეთის ომში დაღუპულ თინეიჯერობას, რომელმაც მთელი თაობის პოტენციალი დაასაფლავა და დანარჩენებს მხოლოდ ვარაუდები დაუტოვა.

უტა ბექაიამ მემკვიდრეობის თემა პერსონალურ გამოცდილებებს დააშორა და უნივერსალურ კონტექსტში განიხილა; შესაბამისად იგი სამ შრედ დაყო და ფიზიკურ, ინტელექტუალურ და სულიერ მეხსიერებაზე შექმნა ინსტალაცია. ცენტრალური როლი ფიზიკურ მეხსიერებას უჭირავს; ნახევრად ჩაბნელებულ ნაცრისფერ დარბაზში, თეთრ კაბაში გამოწყობილი ფიგურა მომენტალურად იპყრობს ყურადღებას. იატაკზე თეთრი თიხის ფიგურები კაბაზე მომრგვალებულ ფორმებში იზრდება, რომელიც საბოლოოდ ადამიანის სხეულად გარდაიქმნება; ეს თითქოს სხეულის ჩამოყალიბების ფიზიკური გამოხატვაა. სითეთრე მის განზოგადოებას უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ ეს უნივერსალური ფიზიკური მეხსიერება ქალის სხეულითაა გამოსახული. უტას თქმით ეს იმ მარტივმა რეალობამ განაპირობა, რომ მას მხოლოდ ქალი მანეკენი ჰქონდა. თუმცა მისთვის სამყაროს ცენტრი და საწყისი ქალია, როგორც სიცოცხლის სიმბოლო.

გონებრივი მემკვიდრეობა კარადაა, რომელსაც ბევრი უჯრები აქვს, საიდანაც უცნაური ფორმის არსებები მოცოცავენ. ეს შემოქმედის ნეირონებია, რომლებიც ინფორმაციას ინახავენ და მთელს ორგანიზმს აწოდებენ. ყველა მათგანი უნიკალურია და ერთმანეთს არ იმეორებს. კარადაზე მოთავსებული მცენარეები ნამუშევრის ბიოლოგიურ მხარეს გვახსენებს; გარდა ამისა ხვიარები, რომლებიც ერთმანეთში ისე იხლართებიან, რომ ძნელია ერთი ტოტის გამოცალკევება, ძალიან ჰგავს ჩვენი ტვინის მექანიზმსა და მასში დალექილ ინფორმაციას. გვერდით კედელზე იგივე თიხის ფორმები ნაწერების ნაგლეჯებთან და სინჯარებთან ერთად კიდია. ეს ის ინფორმაციაა, რომელიც ბოლომდე ვერ დაიმახსოვრა და ყუთი ვერ მიუჩინა გონებამ. „ეს ჰაერში გამშრალი ინფორმაციაა“.

უტა ბექაია: „მე ჩემს თავს აღვიქვავ, როგორც გარკვეული ენერგიის მატარებელ მედიუმს, რომელიც უნდა გაუშვას სამყაროში. ჩემი ნამუშევრები შესაბამისად არ მეხება ხოლმე პერსონალურად მე, უფრო ვიზუალური და ეზოთერულია. ყოველთვის გავურბივარ ჩემი საკუთარი გამოცდილებების კონცეპტუალიზაციას ჩემს ხელოვნებაში. ჩემი ნამუშევრები უფრო ორნამენტულია. ჩემთვის მემკვიდრეობა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით იყო საინტერესო. ცირკულაცია ჩემთვის ყოველთვის ყველაზე საინტერესო თემაა; ეს პროცესები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რა მნიშვნელოვანია ის ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვატარებთ - ყველაფერი ერთმანეთში ტრიალებს, ქრება და მერე თავიდან იწყება“.

სულიერმა მემკვიდრეობამ, რომელიც შემოქმედის თქმით რაიმე მატერიალურში ძალიან რთული გადმოსატანი იყო, ანატომიური გულისა და ლავის ფორმები მიიღო.

„ეს ძალიან აბსტრაქტულია, არავის შეუძლია თქვას როგორია, მაგრამ ჩემთვის ის გულის ფორმისაა, ლავას და აფეთქებას ჰგავს“. ვულკანიდან ამოფრქვეული ლავა აბსტრაქტულია სანამ არ დაიღვრება და გარემოს ფორმას არ გაიმეორებს. სულის კონცეფციაც ძალიან ჰგავს ამას; მისი აბსტრაქტული რაობა იმ სხეულის ფორმას იღებს, რომელშიცაა მოთავსებული.

„ჩემთვის ყველაზე მთავარია ვიზუალური და ესთეტიკური მხარე და ინსპირაცია მაქვს ბუნების ფორმებისგან, ჩემთვის ყველაზე შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი ცირკულაციაა - როდესაც ბუნებაში ორგანიზმები ჩნდება, ვითარდება იხრწნება და ახალ ფორმაში გადადის“, - ამბობს უტა ბექაია.

ქრისტიან ტონჰაისერი ბუენოს აირესელი ხელოვანია, რომელმაც ქართველ ჯგუფთან ერთად იმუშავა მემკვიდრეობის კონცეფციაზე. მისი ამ გამოფენაში ჩართვა სარისკოდ ჩანდა, რადგანაც დანარჩენები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან განსხვავებულ ხელოვნებას ქმნიან, მაინც იზიარებენ იმ საერთო წარსულსა და ამომავალ წერტილს. მაგრამ ქრისტიანის ინსტალაციამ NEMESIS სკეპტიკოსები გააკვირვა. ემიგრანტების ოჯახში დაბადებული, ნახევრად სლოვაკი და ნახევრად იტალიელი ქრისტიანისათვის რელიგია მისი მემკვიდრეობის ისეთივე აქტუალური და ორგანული ნაწილია, როგორც ყველა ქართველისათვის. თუმცა მისი ირონიანარევი მიდგომა ნაკლებად ახლოსაა ქართულ აღქმასთან; საინტერესოა, რომ ვინაიდან ეს მაინც კათოლიკური ქრისტიანობის გაშარჟება იყო, ამას ქართველი აუდიტორია საკმაოდ მშვიდად შეხვდა. NEMESIS ლათინურიდან ცოდვისათვის ღვთიურ სასჯელს ნიშნავს; ამ თემაზე შექმნილი ინსტალაცია გამოფენის ბოლო პატარა ოთახში იყო, რომლის პირქუში, ნაცრისფერი კედლები ძალიან უხდებოდა განწყობას. ცენტრში მოთავსებულ ვიტრინაში პურის და წითელი ღვინის ნარჩენებს ზიარების რიტუალი შემოაქვს დარბაზში. კედელზე განათებულია ოთხი ფოტო, რომელზეც მამაკაცი იგივე პურის და ღვინის მირთმევას აპირებს, უშუალოდ „ზიარების“ მომენტში მის თავზე შარავანდედი ჩნდება, ბოლო სურათი კი იმავე შიშველი ადამიანის მწოლიარე სხეულის ნაწილია.

სასჯელის მომენტი ერთ-ერთი ცენტრალური თემაა ქრისტიანულ რელიგიაში, მით უმეტეს ინდულგენციაგამოვლილ კათოლიციზმში. სასჯელი ძირითადად სიკვდილის შემდეგ მოდის, როდესაც არასწორი ცხოვრებისთვის ჯოჯოხეთში ხვდები. ამავდროულად ქრისტიანი ხაზს უსვამს სიკვდილს, როგორც თვითონ სასჯელს.

„ადამიანი როცა სცოდავს, ყოველთვის იცის, რომ დაისჯება“ და თითქოს ეს ადამიანიც, რომელმაც იცის რომ დაისჯება, ბოლო ზიარებით ემზადება სიკვდილისთვის. თვითირონიზაცია ქრისტიან ტონჰაისერისათვის მნიშვნელოვანია, რომ შემოქმედი ამ მემკვიდრეობისაგან გათავისუფლდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პარადოქსი“ - პირველი



my View
თამარ გონგაძე





„GDS“-ზე რომ ძალიან „რაღაცნაირ“ სერიალს იღებენ, მსახიობებისგან ცალ-ცალკე შევიტყვე. „დურუჯის“ მიერ ნომინირებული „წლის საუკეთესო მსახიობი“ - ანა ალექსიშვილი მოხიბლული დამხვდა: „კინოში და თან ასეთ ჟანრში ჩემი პირველი გამოცდილებაა და დასაწყისში ძალიან ვნერვიულობდი. გადაღებები საინტერესო იყო. მიხარია, რომ ამ სერიალში მოვხვდი. იმედი მაქვს მაყურებელს საინტერესო ტიპაჟს შევთავაზებ. ამისთვის ძალიან მოვინდომებ. ეს გამოცდილება ბევრს მომცემს“. მერე ნანკა კალატოზიშვილმაც მიხსენა „პარადოქსი“. „ასეთი ჟანრის სერიალს პირველად იღებენ და ჩემთვის უკვე თავისთავად ძალიან საინტერესოა. ჯაბას სახით ძალიან საინტერესო და ნიჭიერი ადამიანი გავიცანი. სერიალს ძალიან პედანტურად იღებს. პირველად ვარ ასეთ გადაღებაზე, სადაც ყველაფერი მიხარია. ყველა თავის საქმეს აკეთებს. მობილიზებული გადაღებაა. თან ასაკით პატარები არიან. ყველაფერს მცირე დროში ასწრებენ. ყველა მაქსიმალურად იხარჯება. სერიალს ძალიან მაგარი ჯგუფი ჰყავს. პროექტს ვგულშემატკივრობ“. ასეთი შეფასების შემდეგ ჩემი დაინტერესება გაიზარდა. აღმოჩნდა, რომ 28 წლის ჯაბა მელქაძე ჯერ „GDS“-ზე არხის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ, მერე სტატუსი შეიცვლა და გადასაღები მოედნისთვის მოიცალა. ჯერ პროექტის - „პარადოქსის“ იდეის ავტორია. გარდა ამისა, ზაზა კოშკაძესთან ერთად ამ სერიალის სცენარის ერთ-ერთი ავტორი, რეჟისორი, მემონტაჟე - ყველაფერი ჯაბა ყოფილა. სერიალს მუსიკასაც ის ურჩევს. სხვათა შორის, მასზე მცირე წარმოდგენა რომ შეგიქმნათ, გეტყვით, რომ ოთხი წლის წინ ლევან დაბრუნდაშვილთან ერთად „ვეფხისტყაოსნის“ თრეილერი გადაიღო. ნამუშევარი სოციალურ ქსელებში გამოჩნდა და საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მახსოვს, ემოციები - ძალიან მოგვეწონა ნამუშევარი. მერე ამ ბიჭების დუეტმა მხატვრული ფილმი „ანო და ვანო“ გადაიღო. „ვეფხისტყაოსნის“ გადაღებად 20 მილიონი მართლა რომ მოეცა ვინმეს, დიდი პასუხისმგებლობა დაგვეკისრებოდა. თუმცა მიზანი არ გვქონდა, რომ ფული გვეშოვა და მერე ფილმი გადაგვეღო. ძალების მოსინჯვა გვინდოდა. ბევრი ვილაპარაკეთ, ეს პოემა რომ გადავიღოთ როგორს გავაკეთებდით. მაშინ ლევანი „ღამის შოუში“ მუშაობდა, მე - სარეკლამო კომპანია „სარკეში“. ჩვენი ჰონორარები შევკრიბეთ, ავაშენეთ დეკორაციები, სამხატვრო აკადემიაში მხატვართა ჯგუფი შევკარით და თრეილერი გადავიღეთ. ამ თრეილერით დავრწმუნდით საკუთარ თავში. რგოლი ყველას ნანახი ჰქონდა და აღნიშნავდა, რომ კარგია. მას შემდეგ დიდი სურვილი მაქვს კინოში ვიმუშაო. აქამდე ხელმძღვანელობის პოსტი არ მაძლევდა ამის საშუალებას“, - აცხადებს ჯაბა.

„პარადოქსზე“ ვხუმრობთ - პირველი სერია საშინელებათა ფილმია, მეორე სერია „ბოევიკი“, მესამე დრამა და იქით კიდევ სხვადასხვა ჟანრი-მეთქი“

ჯაბა მელქაძე

კომპიუტერული გრაფიკა

პროექტის იდეა დიდი ხანი უტრიალებთ. მანამდე პროექტები „ლეგენდა“ და „დროის მანქანა“ განახორციელეს. როგორც ამბობს, გრაფიკოსების ჯგუფი მოამძლავრეს. მიხვდნენ, რომ უფრო რთულის გაკეთება შეუძლიათ.

ჯაბა მელქაძე: „ჯერ ქართულ სატელევიზიო პროდუქტში კომპიუტერული გრაფიკა და ვიზუალური ეფექტი ასეთი დოზით არავის გამოუყენებია. ამაზე გიორგი გოგუაძე თავის ჯგუფთან ერთად მუშაობს. როცა უკვე მივხვდით, რომ ექსპერიმენტებისთვის მზად ვიყავით, გაგვიჩნდა ამ სერიალის გაკეთების იდეაც. „პარადოქსში“ ბევრი რამ გრაფიკაზეა დამოკიდებული. პილოტი აგვისტოში გადავიღეთ, რომელიც არხის მფლობელებმა როგორც პირველი სერია ისე დაამტკიცეს. ამ სერიალის აღმასრულებელი პროდიუსერი ბერაა. გადაღებები სექტმბრიდან დავიწყეთ. უკვე მეხუთე სერიას ვიღებთ“.

„პარადოქსი“

- რითი იქნება „პარადოქსი“ ქართველი მაყურებლისთვის განსხვავებული და საინტერესო?

- ჟანრი ფანტასტიკაა. სერიალს ექნება ბევრი ვიზუალური ეფექტი. აპოკალიფსის მიუხედავად ადამიანური ინტრიგები და ერთმანეთის გვერდში დგომა, მეგობრობა წინა პლანზე მოდის. ისევე, როგორც „LOST“-ში, მთავარი თემა - თუ რა ხდება სინამდვილეში, ბოლო სეზონში გაიხსნება.

თავიდან სერიალს „ზომბები“ დავარქვი. დედამიწაზე გაჩნდნენ რაღაც არსებები (მათ შორის თბილისშიც), რომლის პირველი ნაკბენიდან ვითარდება ვირუსი. დაკბენილი ადამიანი გადის 4 ეტაპს: ციებ-ცხელება პირველი ეტაპია, მეორე მთვარეულივით სიარული, მესამე სიკვდილი და მეოთხე ეტაპია - დაზომბება, რომელსაც „მეოთხეს“ ვეძახით.

„პარადოქსს“ რომ ნახავს, ყველა იტყვის, რომ ფილმს დიდი ბიუჯეტი აქვს“

სიუჟეტი

„სიუჟეტი ასეთია: გუგა, რომლის როლსაც თორნიკე გოგრიჭიანი ასრულებს იღვიძებს მეტროში და არაფერი ახსოვს. ფლეშბეკებით იხსენებს, რა მოხდა. შემოდის ნანკა კალატოზიშვილის პერსონაჟი, ელენა. გმირები ავარიაში მოყვებიან და ჯარისკაცები გადაარჩენენ. მათ ბაზაზე „მეოთხეები“ (დაკბენილი მეოთხე სტადიის ადამიანები) მიაგნებენ და სერიოზული შეტაკება მოხდება. ჯარი „მეოთხეებზე“ გაიმარჯვებს. ამ დროს მთავარი ხაზი შემოდის, ელენეს 13 წლის შვილი ექსკურსიაზეა პრომეთეს მღვიმეში და იკარგება. ელენე შვილის მოსაძებნად ჯგუფს შემოიკრებს და მიდის. მას გუგა და ორი ჯარისკაცი - ერთი მათგანია მარიამი (თინა დალაქიშვილი) და მეორე რიგითი კახიანი (ლევან კახელი) მიჰყვება. შვილი მარიამი (ანა ფოჩხუა) ეპილეფსიითაა დაავადებული. წყალტუბოში მიტოვებულ სანატორიუმში აღმოჩნდებიან. იქ შემოდიან ანა ალექსიშვილის, გიორგი კალანდაძის, გიორგი მახარაძის, ვახო ჩაჩანიძისა და ნატალია მეტრეველის პერსონაჟები.

საერთოდ, მსახიობების არჩევამდე ყველაფერი თორნიკე გოგრიჭიანით დაინყო. პირველი სერიის პირველი 16 წუთი მხოლოდ მისი კადრებია. მას „ვეფხისტყაოსნის“ თრეილერიდან მოყოლებული ვეთანამშრომლებით. იმ 16-მა წუთმა ბევრი რამ გადაწყვიტა. კადრიც და თორნიკეც კარგი გამოვიდა. მერე სხვა მსახიობებზე ვიფიქრეთ და არჩევანი ნანკაზე გაკეთდა. მგონია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. ეს ორი მთავარი გმირია. მათ ურთიერთობაში ჩანს ის, რაც სერიალის მთავარი სათქმელია. მეგობრობა და თანადგომაა მნიშვნელოვანი. აპოკალ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ამ პროექტზე მომუშავე ყველა ნევრი ხვდება, რომ რაღაც ახალს აკეთებს. ამ პროექტის ნახვის შემდეგ მაყურებელი კიდევ უფრო სხვა ეტაპზე გადავა“

პარადოXი

„იმ თექვსმეტმა წუთმა ბევრი რამ გადაწყვიტა. კადრიც და თორნიკეც კარგი გამოვიდა. მერე სხვა მსახიობებზე ვიფიქრეთ და არჩევანი ნანკაზე გაკეთდა. მგონია, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ“

იპტურ მდგომარეობაში მყოფ სამყაროს ეს აგრძელებინებს არსებობას“.

მომთხოვნი

„ასეთი ტიპის სერიალში ყველაზე მნიშვნელოვანი სცენარია. მიხარია, რომ ჯგუფი სცენარით კმაყოფილია. გადასაღებ მოედანზე ყველა ცდილობს ბოლომდე იყოს კომფორტი. თქვენგან გავიგე, რომ მსახიობები ჩვენი გადასაღები მოედნით კმაყოფილები არიან. ძალიან მიხარია. არ ვიცი, მიჭირს ავხსნა, რატომ არიან კმაყოფილები, მაგრამ თუ ასეა, ესე იგი სწორი გზით მივდივართ. შეიძლება პატარები ვართ, მაგრამ ამ ჯგუფში უამრავია ისეთი, რომელიც ბეტაკამის პერიოდიდან ვმუშაობთ. მე მაშინ გამნათებელი ვიყავი. მინდა ვთქვა, რომ პატარა ასაკიდან ვართ ამ სფეროში“.

- როგორი რეჟისორი ხართ?

- მომთხოვნი. ეს ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის. რეჟისორობაზე ვოცნებობდი. მამა „პირველ არხზე“ 40 წელი მუშაობდა და იქ გავიზარდე. პირველ რიგში საკუთარ თავს ვთხოვ და მერე ყველა დანარჩენს. ცოტა მკაცრი ვარ, მაგრამ მეგობრული. გადასაღებ მოედანზე ყველა ჩემი მეგობარია. მაგრამ საქმეზე ბევრი შემიძლია ვიჩხუბო.

პრომეთეს მღვიმეში

„წყალტუბოში მიტოვებულ, აჭედილ, უზარმაზარ სანატორიუმში გვქონდა გადაღება. ვხუმრობდით, იქნებ ვინმე ან რამე გამოჩნდეს, რომ გადავიღოთო, მაგრამ არაფერი მსგავსი არ ყოფილა. მღვიმეში გადაღებისას თინა დალაქიშვილი გახდა ცუდად, ქვევით ღრმად ვიყავით ჩასული და უჰაეროობის გამო. ეს სცენები ვერ გადავიღეთ. გამნათებლებმა გადაწოდებებით გამოიყვანეს. ძალიან ვინერვიულე.



„მღვიმეში გადაღებისას თინა დალაქიშვილი გახდა ცუდად, ქვევით ღრმად ვიყავით ჩასული და უჰაეროობის გამო... ძალიან ვინერვიულე“

ანა ალექსიშვილი

მეორედ მივდივართ გადასაღებად. მონდომებულია თვითონ. ეს სცენები მის გმირზეა აგებული. ელენეს ჰგონია, რომ მღვიმეშია მისი შვილი. „გაჭედილი“ აქვს - ეპილეფსიიანი შვილი უნდა ნახოს. ასე რომ, ჟანგბადის ბალონებით გადასაღებად უნდა წავიდეთ პრომეთეს მღვიმეში“.

სხვადასხვა ჟანრის

„ყველაზე დიდი დრო მიაქვს გრაფიკულ ნაწილს. ვვარაუდობთ, რომ დეკემბრამდე ეს სერიალი ეთერში არ გავა. კვირაში ერთხელ 40-წუთიან სერიას გავუშვებთ.

ვფიქრობთ, რომ პირველი სეზონი 8 სერიიანი უნდა იყოს. სეზონის ფინალი იქნება ისეთი, რომ მეორე სეზონს მაყურებელი დაელოდება. გაგრძელება კი დაახლოებით სექტემბერში იქნება. ასეთი სერიალი ჯერ არ გაკეთებულა. რთულია გასაკეთებლად. ვადებს ვერ იტყვი, ავირიეთ. პირველმა სეზონმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს და იმედია, ასეც იქნება. „პარადოქსს“ რომ ნახავს, ყველა იტყვის, რომ ფილმს დიდი ბიუჯეტი აქვს. ამ დროს სტანდარტული სამუალო ბიუჯეტის მქონე პროექტია.

ამ პროექტზე მომუშავე ყველა წევრი ხვდება, რომ რაღაც ახალს აკეთებს. ამ პროექტის ნახვის შემდეგ მაყურებელი კიდევ უფრო სხვა ეტაპზე გადავა. ამ სერიალის მერე უფრო მაღალი დონის სერიალს მოითხოვს. მხოლოდ ერთ ოთახში გადაღებული იუმორისტული სერიალით ხომ ვერ განვავითარებთ ამ სივრცეს. „პარადოქსის“ თითო სერია 40-წუთიანი ფილმია, სერიალის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. კადრით, მონტაჟით, მუსიკით, განათებით - სრულყოფილი ფილმია. ერთ კონკრეტულ ჟანრს ვერ მიაწერ. მხოლოდ ფანტასტიკას ვერ იტყვი. პირველ სერიას ბევრი „ჰორორის“ ელემენტი აქვს. თორნიკე გოგრიჭიანის გმირი მეტროს გვირაბებში მარტო დადის და საშიში გამოვიდა. პოლიტექნიკურის მეტროს შახტაში გადავიღეთ. ღამის 1 საათიდან დილის 5 საათამდე. ბევრი მტვერი ვყლაპეთ. მეტროს ქვევით მთელი ქალაქია. „პარადოქსზე“ ვხუმრობთ კიდეც - პირველი სერია საშინელებათა ფილმია, მეორე სერია „ბოევიკი“, მესამე დრამა და იქით კიდევ სხვადასხვა ჟანრი-მეთქი.

მეორე სეზონიდან პავილიონები დაგვჭირდება. იქ უკვე მხოლოდ დედამიწაზე არ ხდება მოქმედება. არ ვიტყვი - რა ხდება, უმცა დიდი დეკორაციებია გასაკეთებელი.

მხატვრები არიან - მელანო ზიბზიბაძე, ნინო ლეფერაშვილი და ნინო დარასელია. მუსიკაზე ბევრი ვიფიქრე. ჩემთვის მნიშვნელოვანია კინომუსიკა. ჩვენს ტელევიზიას კონრეტულ კომპანიასთან აქვს კონტრაქტი, რომელსაც მსოფლიოს მასშტაბით კომპოზიტორებთან აქვს მოლაპარაკება. მე ვისი ნაწარმოებიც მომეწონება, ვიწერ. ცოტა რთული პროცესია, უამრავი მუსიკაა. ცოტა ვწვალობ, მაგრამ საუნდთრეკი ასევე ძალიან მაგარი იქნება. შეიძლება კონკრეტული სიმღერა დავწეროთ ქართველი შემსრულებლისთვის, რომელზეც კლიპსაც გავაკეთებთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N46 (244), ორშაბათი 18 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EXCLUSIVE

ნიკა ცქიტიშვილი და სოფო გოგეშაშვილი - ექსკლუზივი დუბაიდან

EXCLUSIVE

ოცნლიანი პაუზის შემდეგ ელდარ შენგელაია ფილმს იღებს

„ამ პროექტზე მომუშავე ყველა წევრი ხვდება, რომ რაღაც ახალს აკეთებს. ამ პროექტის ნახვის შემდეგ მაყურებელი კიდევ უფრო სხვა ეტაპზე გადავა“

EXCLUSIVE

„პარადოქსი“ - პირველი ქართული ფანტასტიკა

ISSN 1987-7404
9 771987 740005



„მურმანის ნკვარამი“ - ახალი მღვიმე, რომელიც სამეგრელოში აღმოაჩინეს

რეპერ „მასტერს“ გია ყანჩელმა „როცა აყვავდა ნუში“ ანდო

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება